

სრულადან მნიშვნელოვანი

კ. კალაძე — მთავარი საქმე. ი. ვაკელია — წერილი ახალ-
გაზრდობას. ე. პოლუმორდვინიძე — რეინის მმები.
ფ. ნაროვაშვილი — ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში.
კ. ლორთქიფანიძე — ბორანი. ს. ერლი — წინა ლაშათ.
კ. კალაძე — გლეხები. კ. ბობოხიძე — კომედიუმული
ფორმით. მუშაობა მხატვრული ლიტერატურის დარგში
(საქ. კ. პ. (ბ). ა-კ. საოლქო კომიტეტის ოქრომბრის პლე-
ნურშის ჩემოლიუცია). ბ. ბუაჩიძე — მემარჯვენე საშიშ-
როება ლიტერატურაში პროლეტარული მწერლობის
დღიური: ლიტერატურული უცოდინარობის წინააღმდეგ —
შ. ჩადიანი. მწერლის შენიშვნები — კ. ლორთქიფანიძე.
უკაცისა და ხალტურის წინააღმდეგ — ვ. თუარხაშიძე.
მმხ. ლისე ექიმბაში ანუ ვინ „იცავს“ პროლეტარულ
მწერლობას? თეატრალური ცხოვრება: „ანზორ“ —
შ. მანაგაძე. ქუთაის-ბათომის აკადემიური დრამა —
კ. კალაძე. საქ. პრ. მწ. ასოციაციის მეორე პლენური.
ბიბლიოგრაფია.

ოქტომბერი
ნოემბერი

10-11

სახელმა
1928

პროლეტარები მნიშვნელობა

№ 10-11

(22-23)

ქართველი

ნოემბერი

1928 წ.

ხაქართველოს პროლეტარულ მწერალთა ახოციაცია
უოველთვიური თრგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსამიძის, ა. მაშაშვილის
დ. რომდელის და კ. ფეოდოსიშვილის რედაქციით.

ქართველი კალაბი

მთავარი საქმე

აქ, თვალი ქვეყანას რომ შემოავლო, ჯერ უოველ დილის
ცხოვრება ეგ არი,—და მე სიხარულს აუტანივარ!

როდესაც ომში მდგარ მოსახლეობის შრომა მედგარი,
და ისევ ჩვენ მიერ სამაგალითოდ შენდება ტფილისი!—

მოსკოვებს და მოზიდეს ქვა და აგური და ქალაქს აგებენ,—
ჩვენი მანქანებით, ჩვენი ხელოსანი ამხანაგები.

ვადგენარ ამრიგად, მეც, ერთი კაცი ამ ახალთაობის
შენობებს,—სართულებრ თვალ და ხელ შუა რო ვითარდებიან...
რა ბევრი ძალონე დაუხარჯიათ!—და აგერ დაბოლოს
მაღალ სარქმელებში ჟავილები და თეთრი ფარდებია!

ცხოვრობენ. და ზოგჯერ რამდენი თვალი თოახი არ არი—
იმდენი გულრსთქმა ერთმეორისგან კარმოხურულია...

ჩვენი საყვარელი დღედასოფელი

უთუოდ სხვაგვარი იქნება სრულიად.

ერთობილია შრომაში გრძნობა და საქმე და ამიერ-
იდან ამგვარივე აღიდებული ცხოვრება გვინდა...

ეგ უკანასკნელი კარგი თქმა არი (კურსივი ჩემია კ.)
მაგრამ ამ საკითხში ზემო სტრიქონები ძალაში რჩებიან.

იონა ვაკალი

ჭერილი ახალგაზრდობას

ძმებო, ამ წერილს
 ასხმულს ლექსებად,
 თუ ტკბილი სიტყვა
 საღმე ერევა,
 თქვენ ნუ მიიღებთ
 მიალერსებად,
 ნურც უკანასკნელ
 ბეღნიერებად.
 რა საჭიროა
 ალერსი როცა,
 ხმალ ამოწვდილი
 გვიღგას მტერია,
 და ერთი დარტყმით
 როცა სურს მოჰკლას,
 რაც თქვენს შესახებ
 მე მიმღერია.
 განა ათასჯერ
 არ სჯობს, რომ ეხლა
 მეც ხმალს შევაჭრა
 ყველა ლვედები,
 და თქვენთან ერთად
 დავიცვა მტრისგან
 ბუდე შრომის
 და შემოქმედების?
 დე, ჩვენმა სიტყვამ
 საქმესთან ერთად,
 ერთ ძლიერ ხმებად
 დაიგრიალოს,
 გამოვსჭედთ შრომის
 საფუძველს მკვეთრად
 შენ კი ყვანჩალავ
 ოქერ-ტიალო!

ნუ თუ დღეს ოდნავ
 არ გრძნობ, არც გესმის,
 დაუნდობელად თავზე
 რომ გვესმი,—
 როცა გძელდება
 აქ ბრძოლა მწვავი,
 ბრძოლა უტეხი
 და გულ საკლავი?
 თითქოს პირიქით:
 ამ ბრძოლის ველზე
 როს ვეხეთქებით
 ქარიშხალივით,
 შენ ჩვენი გულის
 კორტნას განაგრძობ
 ყვაო, ყვანჩალავ
 ავი ჩხავილით.
 დაგვჩხალე თავზე, შენებურად,
 ხომ სულ ერთია,
 საქმის კაცებში
 ბევრი დადის გონიერ თავით,
 და მოცლილს გარდა, აბა ეხლა
 ყურს ვინ დაუგდებს,
 საბრალო ყვავი,
 თუ როგორ ჩხავის.
 ესეც არ იყოს
 მომავლისთვის, როცა ჩვენ ვიბრძვით,
 შემოქმედების
 ყველა კბილებით,
 რა უნდა მისცეს
 ამ დროს ჩვენ საქმეს:
 „სიბრძნემ“ უდღეურ
 „მუშიშვილების“?!
 მაგრამ რა ვუყოთ,
 რაც არი, არი,
 არც ბალში ხარობს
 ყველგან ყვავილი,
 და ჩვენს სიყრმესაც,
 გასალედევებულს,

ნუ შეაშინებს
ყვავის ჩხავილი.

* * *

ძმებო სიყრმისავ,
 უკეთესნო მეგობართ შორის,
 ამხანაგებო, წარსულის
 და მომავალ დღეთა,
 ჩვენ, მოწყენა და სიხარული
 ბრძოლის და შრომის,
 დღეს დუღაბივით
 გვაერთებს ერთად!
 და რაც ვსთქვი ზევით, მეგობრებო,
 დარჩეს კვლავ ისე,
 სხვა მხრივ მწადია
 ეხლა გავხსნა გულის ნადები,
 თუ როგორ უნდა
 ავამლეროთ მასის ცხოვრება
 და მომავლი
 განთიადები.
 ჩვენ გვინდა ტვირთი
 ახალ ცხოვრების
 ერთ მძლავრი დაკვრით
 აესწიოთ ზევით,
 და თუ ხან ამ დროს
 გვლალატობს ლონე,
 და ქადილის წინ
 უკან ვიხევით,
 გულს ნუ გავიტეხთ
 მაინც ძმებო, ძმებო სიყრმისავ,
 თუ ამ ტვირთის ქვეშ
 იკიცება ფოლადის წელი,
 სამაგიეროდ ვინ გამოვა,
 რომ სთქვას გაბედვით,
 ეს სურვილი რომ
 არ არის წრფელი!
 როგორ წახდება იგი საქმე,
 რომელიც ლარიბს,

აძლევს სიცოცხლეს
 იმედს გულისას,
 და თუ წახდება,
 როდის უნდა გაშალოს სხივი
 მზემ დიდებულმა
 დაჩაგრულისა?
 მაგრამ ჰე, ძმებო,
 უკეთესნო მეგობართ შორის.
 ამხანაგებო წარსულის და
 მომავალ დღეთა,
 დღეს შრომის ცაზე
 ამოსული მზე დიდებული
 უკანასკნელი ბრძოლისათვის
 თავს გვიყრის ერთად.
 და ნუ შევკრთებით,
 როცა თავზე გვესხმის ხროვებად,
 უნიათონი, უმეცარნი
 და თავხედები,
 ჩვენი ბრძოლის გზა
 ნათელია და საპატიო,—
 უკეთესნო განცდებით, ბრძოლის ეინით
 და იმედებით.
 ძმებო სიყრმისავ, უკეთესნო
 მეგობართ შორის,
 ამხანაგებო, წარსულის და
 მომავალ დღეთა,
 მედგარ შრომის და
 პოეზიის მზე დიდებული
 დღეს დუღაბივით
 გვაერთებს ერთად.
 წინაპრებისაც მოვიგონოთ
 ხსოვნა კეთილი,
 მათ მოიხადეს თავის ვალი
 კარგად თუ ავად,
 და ჩვენც პატივი ვსცეთ
 გულწრფელად მდუმარ აკლდამებს
 თუნდ ძველი ყოფის
 აღსანიშნავად.

გაშინ თუ ძმებო,
საუკუნე ას წელს იქრებდა,
დღეს იგი უკვე
ათი წელია,
და ყველა ტვირთის
ზიდვა ასეთ სწრაფ დინებაში
რაღა თქმა უნდა
უფრო ძნელია.
მაგრამ ჩვენს იმედს,
ნუ შებორკავს სულ მოკლეობა,
მომავლის ხილვას—
აჩქარებულ ხმების ბგერანი
და შორს არ არის იგი წამი,
როდესაც ყველგან,
ალვირს აიწყვერს
ცეცხლის მერანი.
ძმებო სიყრმისავ,
უკეთესნო მეგობართ შორის!
ამხანაგებო, წარსულის და
მომავალ დღეთა,
დღეს შრომის ცაზე
ამოსული მზე დიდებული
უკანასკნელი ბრძოლებისთვის
თავს გვიყრის ერთად.

ელიზაბარ პოლუშორიძის იმპ.

რპინის ქმები

IV *)

— ლეჩებუმი ჩვენია!.. ვაისმოდა ყოველ ქოხში და სასიხარულო
ამბად გადადიოდა სოფლიდან სოფელში.
ყველგან,—ორლოვებული, შარებზე და ბილიკებზე ახმაურდა
ხალხი, ყველა ცაგერისაკენ ეშურებოდა, რომ საკუთარი თვალით
დაწინაათ აჯანყებულთა გამარჯვება, რომ თვითონაც გამარჯვების
მონაწილენი გამხდარიყვნენ.

*) დასაწყისი იხ. „პროლეტარული მწერ“. № 9.

- გილოცავ!..
- რას?..

— გამარჯვებას!.. ებმაურებიან ერთშანეთს კლეხები და დაძავ-რულ ხელებს მტკიცედ ართმევენ და დალლილ ჩაერდნილ მკერდებს ღრმა სუნთქვით ამოძრავებენ.

ცაგერში კი, იქ სადაც პირველი მოწოდება მთის ანკარა წყა-როსავით შესვა ხალხმა, ყველანი ფეხზე დგებოდენ. ალარაფრად მი-ანდათ საკუთარი კერაც კი თუ მთლიანი კოცონი, მათი გულებით დანთებული ჩაიფერფლებოდა.

— საზღვარის მკერდი კლდე არის და მტკიცეა. წევნი მკერდე-ბიც ფოლადისაა. ვერავინ ვერ შემოანგრევს ამ ძლევამოსილ ჯების; — ამბობდა სიტყვას მორჩაძე. ის ჩვეული არ იყო გაბმულ ლაპარაკს. მისი სიტყვა ბრძანება იყო, განკარგულება, რომლის აუსრულებლო-ბაც შეუძლებელი იყო. მან სთვევა ეს სიტყვები, მაგრამ ამავე დროს გულში გაიტარა შიგნიდან გამტყდარი ციხის ამბავი და ტანი წინ წამართა, თითქოს თვითეული წინ მდგომის გულში ჩაეშვა და უფ-რო მძლავრად დაუმატა.

— ვინ გაბედავს ლალატს!.. სიცოცხლეს შემოყაგლეჯთ!.. მუშ-ტით ჰაერი გააპო, თვალებით სიჭრუე გასჭრა, თვალებით თვალებში ჩასწვდა შეგრიავილებს.

— ვინ გაბედავს!.. ვინ!?. აგრევინდა ყველა.

— ვერავინ!.. გადასწყვიტა ისევ მორჩაძემ.

მეორე ჯგუფში მხოლოდ ჩამოქოლი იყო. იქ იდგა ბარნაბა. ის უსმენდა შუახნის ტანწერილ კაცს. მისი სახიდან აშკარად მოსჩანდა მხოლოდ თვალები, რომელნიც მოუსვენრად მოძრაობდენ.

— ლაილაშიდან მოვდივარ... მეორეთ წარმოსთქვა მან. ცალი ხელით ჩასკიდებოდა თოფის ლულას, მეორეს ულვაშს არ აშორებდა, წვრილს გაწერებილს ბეწვებს იგრეხდა.

— მერე?.. გამოეპასხა ბარნაბა.

— ორასი რაზმელი მზად არის საქმისათვის.

— საიმედონია?..

— მე ხომ მიცნობ, ბარნაბ, როგორც ჩემი მარჯვენა.

— კილეშში იქნები შტაბის უფროსად. გამოუხადდი სვანიძე-სთან და გადაეცი ჩემგან.

ეს იყო ხეცურიანი — ის შეტრიალდა სვანიძესთან. მათ ერთმა-ნეთი ჯერ არ ენახათ. ახედ-დახედეს გაიზომნენ თვალებით. შემდეგ ბარნაბას სიტყვა გადასცა.

— კარგი. დაბანაკდები ჭილეშში. ორპირის ხიდებს გუშაგებს მიუჩინ. დაზოგეთ ტყვია. დაიკავეთ კავშირი ჩემთან; — რამდენიმე წამში გადმოულაგა სიტყვები სეანიძემ და პასუხის დაულოდებლივ სხვებისაკენ შეტრიიალდა.

— ტყვია-წამალი მოვკეცით. ორასნი ვართ. უფრო ხმა-მალლა მიაძახა ხეცურიანმა და რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა, რომ როგორმე ეგრძნობინებინა სეანიძისათვის თვისი მოთხოვნა.

— თქვენ უნდა გქონდეთ. რად ვარგიან მებრძოლებად თუ თითო ვაზნაც არ მოეპოვებათ; განუმეორა ისეგე მშრალად და თვალი მოაშორა.

ხეცურიანი მოსცილდა. მას არ ესიამოვნა გაერთიანებული შტაბის უფროსის ასეთი მოპყრობა. ულვაშის ბეწვებს ტუჩებით იკვნეტდა და ბრაზს გულში იკლავდა. გაემართა თავის ორას მებრძოლისაკენ, მოუთმენლად რომ ელოდენ მეთაურს.

— რა ამბავი მოგაქვს?.. შეეკითხენ მის გამოჩენისთანავე.

— კარგი!..

— მაინც როგორი?..

— უნდა ვიბრძოლოთ.

— ტყვია-წამალს გვაძლევენ?..

— გულას მაგიერ თუნდ საკუთარი გულები ჩააწყვეთ ვაზნაში, ოლონდ თოფი ცივი არ იყოს; — უპასუხა მან. მცირეოდენი სიჩქმის შემდეგ ისევ დასძინა. ჭილეშში მივდივართ. ორპირი უნდა გავამაგროთ.

და ორასი კაცი, რომელიც მოწყურებული მოელოდა ვაზნა-ტყვიას მაინც გულჩათხრობილი დარჩა. თვითეულ მათგანმა დაიწყო დათვლა თუ რამდენი მტერი შეეძლო გაეწვინა.

— მოემზადეთ!.. გასცა ხეცურიანმა განკარგულება და რაზმი შეშფოთდა.

იქ კი, სადაც მორჩაძე ხალხს გამარჯვების სურვილებს უნერ-გავდა გულში იზრდებოდა დრტვინვა.

იქაც, ბარნაბა, რომ ზომავდა გამოცხადებულ ბიჭებს იშლებოდა წყურვილისა და სიხარულის უცნაური ბგერები.

სადაც სეანიძე იყო, იქაც პირდაპირი. გადამწყვეტი სურვილის ხმები ისმოდა.

— შენ ვისთან გინდა?.. ეკითხებოდა თვითეულს მათგანს სეანიძე.

— მორჩაძესთან. უპასუხებენ ცოცხლად.

— გახსოვდეს, მოწინავე ხაზი იქნება. იქ სადაც პირველი ტყვია გავარდება.

- არათუერია!..
- შენ ვიღასთან?..
- მორჩიაძესთან!..
- შენ?..
- მორჩიაძესთან!..
- მორჩიაძესთან!..
- მორჩიაძესთან!.. პასუხობდენ თითქმის ყველანი და აღტაცების აღმორი სწავლდა მათ სახეს.

და ასე, სვანიძის თვალის წინ გადადიოდა ყმაწვილ-ვაჟობა, რომელიც რაზმებად ყალიბდებოდა და ექლეოდა ერთ მთლიან სურვილს,—ბრძოლისას და გამარჯვებისას.

მაგრამ მარტო ეს ხომ არ იყო. მარტო ვაჟკაცები ხომ არ მთდიოდენ. ყოველი სოფლის გული და სული აქეთ მოემართებოდა, თვითეული ქოხი მზათ იყო შემოწირა თავისი უძვირფასების განძეული.

მოსიანდა მთის ფერდობზე ცხენები, ძროხები, ხარები, შეჯვუფებული შავ მოძრავ წერტილებად. ეს იყო სოფლის სიმდიდრე, სარჩო-საბადებელი, რომელიც კი მებრძოლებისთვის გაემეტებინათ და თვითონვე მოჰქონდათ, მოუთხოვნელად.

ძლიეს თავისუფლად ამოისუთქა სვანიძემ. სამი რაზმი ჩამოაყალიბა. წამოდგა ზეზე, სურდა გადაეხედა ჭალებისაკენ, ცხენისწყალისაკენ, თვალი გაეყოლებინა მდინარის დენისათვის გულისა და თვალის დასამშეიდებლად. მაგრამ არ სჩანდა ქალა, არც მდინარე, არც ნაპირები. იქ იკოხნიდა საქონელი. იქ ფრუტუნობდენ ცხენები, კრიკინებდენ ურმები ულლების მოხსნის დროს და ყველაფერი ეს პფარავდა მიდამოს.

მის წინ კი იდგნენ ქალები, მოხუცები, ბავშები, მოუთმენლად ელოდენ გამოლაპარაკებას და ეხლა როდესაც ფეხზე წამოდგა გარს შემოეხვივნენ.

— თქვენ რალას იტყვით?! შეეკითხა ეს მხნე ვაჟკაცი და აწეული წარბებათ თვალები წინ წამართა.

— ლუხევანომ სამი ხარი და ორი ცხენი გამოგზავნა. უპასუხეს მოხუცებმა ერთიანეთის დასწრებით.

- კარგია!..
- დეხვირება ძროხები და ცხენები.
- დიდი მადლობა.

— ჩვენმა სოფელმა ოცი ბათმანი სიმინდი და კვერცხები. გამოელაპარაკენ თორმეტი წლის ბავშები. ჩვენ თვითონ მოვაგროვეთ სოფელში, ხომ მიიღებთ?..

— როგორ არა, ყოჩალით ბიჭებო!.. ალერსიანად უთხრა ქს
ორი სიტყვა და ორთავ ხელი მხრებზე დაადო, თვალებზი ჩააშტრიდა.
დიდანს უცერდა დაუინებით პატარა სახეებს, გონებაში კა
ერთი ფიქრი უტრიალებდა: „რა გმირები იქნებით, როცა გაიზრდე-
ბით, რა გმირები!..

იჯებოდა ცაგერი საქონლით, ცხენებით, მებრძოლთა საგზა-
ლით და იმ მთლიან სურვილით, რომელსაც გამარჯვება ერქვა.

და დღე კი იხრებოდა მხესთან ერთად, ის იძირებოდა ახლად
შეფუთლილ ტყეებსა და ოდნავ ამწვანებული მოების იქით.

ათასმა სახემ გადიარა სვანიძის თვალწინ, ათასი სიტყვა მო-
ისმინა მან და ყველა ეს წააგავდა ერთმანეთს სიმტკიცითა და
სიძლიერით.

ბოლოს სვანიძემ დალლილობით მოლუშული სახე გამართა.
ლრმა ამოსუნთქვა ამოპყვა მის მკერდს, მაგრამ მაინც დაუღლელი
ხმით დაიძახა!..

— მორჩაძე!..

— აქა ვარ.

— გადაითვალეთ ხუთმეტი ცხენი. სამი დღის საგზალი და გორ-
მალაზე გაემართე. ას ბიჭს ათასის წინააღმდეგ გაძლევ.

გესმის!..

— მესმის!.. ერთმა ათი უნდა იმსხვერპლოს.

— დიახ. კიდევ რამე გინდა?..

— ბარნაბა მინდა გვედში ვიყოლიო.

— წაიყვანე. კიდევ?..

— მე მივდივარ?!

და წუთის შემდეგ ასი მებრძოლი გადასინჯა. ალტაცებით
მიეგებენ საყვარელ მეთაურს და თეითეულ მათგანმა ამ სიყვარულის
გამოსახატვად წინ გადმოხარა თვისი იარაღი, რომ ეწვენებინათ
მორჩაძესთვის თავისი ძლიერება.

— კენჭაძე!.. შენ კიდევ ხვამლისკენ წახვალ. კლდის ერთი ნა-
ტებიც არ მისცე უსისხლოდ. აირჩიე ათი ცხენი; — უბრძანა მანვე
ახალ რაზმის უფროსს და გადასძახა ყველას.

— მოემზადეთ!..

რამდენიმე საათის შემდეგ ცხენისწყლამდე გადაჭიმულ მოე-
დანზე ჩამომწკრივდენ აჯანყებულნი. რაზმის უფროსები ცხენებზე
ისხდენ და თავს დასტრიალებდენ თავიანთ მეომრებს. მათ ზურგში
სანოვაგით დატვირთული ცხენები და ხარები ურმებით გამგზავრე-

ბის მოლოდინში მოუსვენარად ფრუტუნობდენ და სტკეპნიდენ ატა-
ლახებულ ნიადაგს.

განვლო კიდევ საათმა და რაზმები დაიძრენ. ის გადაიჭიმა
თვალუწვდენელ სიგრძეთ და მტერის კორიანტელი ააყენა ჰაერში.
ყაბალახების ქნევით, ვაშას ძახილით და დამშეიცობების გრძნობიე-
რი ბევრებით აცილებდენ მათ ქალები, ბავშები, მოხუცები.

ზურგში მიაჟვებოდათ ცხენები, ურმები და ამ ურმების ჭრიალ-
ში იძირებოდა დღეც და განშორების წუთებში განცდილი გრძნო-
ბებიც.

VI.

დალლილ-დაქანულმა რაზმა გორმალიას უკანასკნელ ბჭეჭე
შესდგა ფეხი და ოდნავ ამწვანებულ ზედაპირზე გაიშალა.

გორმალიას წვერი თითქოს ცას ებჯინებოდა და ისინი ფიქ-
რობდენ რომ უახლოებებოდენ ღრუბლიან კამარას, მაგრამ ცა ისევ
შორს იყო, მიუწდომი იყო ცა.

დიდხანს უძრავად იწვენ. ხმის ამოღებაც არ შეეძლოთ. მაგ-
რამ საკმარისი იყო მორჩაძის მხოლოდ ხმაც კი, რომ მებრძოლებში
ძლიერება ჩასხმულიყო.

— შეარჩიეთ საომარი ადგილები და შემდეგ დაისვენეთ; — გას-
ცა განკარგულება მორჩაძემ და გადაპხედა შორეულ სიკრცეს, დი-
ლის ბურუსში რომ გახვეულიყო. მის თვალწინ გადაიშალა რიონი,
მთები, მთებზე სოფლები და შორს კიდევ, როგორც პატარა, ტბა,
ლურჯი ზედაპირი ზაფი ზღვის.

უკვე დაბანაკდენ. დასვენებას მიეცენ. მყუდროებაში ჩაიძირენ.
სოფლის, ცხოვრების და შრომის ერიამული აქედან შორს იყო. თვი-
თეული მათგანი მოლოდინად გადაიქცა. როგორც მძიმე ლოდი ისე
აწვებოდა მყუდროება მათ სიცხოველეს მოწყურებულ გულებს და
სურდათ, რაც შეიძლება მალე დარღვეულიყო ის. მდუმარება გულს
უწყულებდა და ჰაერიც რომ აზუზუნებდა ყურებს უცნაურ წარ-
მოდგენებს შლილა მათ გონებაში.

— ნეტავი თოფი გავარდეს, ფიქრობდა თვითეული მაოგანი
და დარწმუნებული იყვნენ, რომ ცხელ გულას შეეძლო აემზურეალე-
ბინა მათი ამხედრებული სული.

თვალებამლვრეული იცემობოდა ბარნაბა. ის თავს დასტრია-
ლებდა მორჩაძეს და ელოდა ახალ განკარგულებას. თვითონ კი უძ-
ლურებას გრძნობდა. არაფრის მოგონება არ შეეძლო. მებრძოლებიც
გარს შემოხვეოდენ და ეკითხებოდენ.

- ბარნაბავ, ძილი შეიძლება?..
- ბარნაბავ, ბუჩქებისაგან კარვებს აფაგებთ.
- ის კი სდემდა. უძრავი იყო მისი სახის ყოველი ნაკვეთი.
- ხმაურმა იმატა. შეკითხები გამრავლდა.
- რაო?!. გამოერკა ბარნაბა. გაიხედა მთებში ჩამჯდარ ცისაკუნ. ფითრდებოდა ლავარდის ფირფიტა. იძირებოდა ბინდში.
- რა დროს ძილია?.. მისმინეთ. შესწორდა ტანში. თითქოს გონების მივარდნილ კუნკულში რაღაცა სხივი აღმოაჩინა.
- მოწინავე ხაზზე თორმეტი გუშაგი. თვითეული მათგანი დაემსგავსოს კლდის ნატეხს. ექვსი კაცი ზურგში კავშირისათვის. დანარჩენებმა საომარი ადგილები მონახონ.
- ყველანი თვალებში შესჩერებოდენ. ისინი კიდევ ელოდენ რამეს.
- კიდევ რამე გინდათ. დაუმატა ბარნაბამ და დანაოჭებულ შუბლზე ხელი გადაისვა. გადაიწმინდა ოფლის წვეთები.
- ვასრულებთ. გაისმა ჯგუფური პასუხი და სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. მათში სიმხნე ჩაისხა.
- მორჩიაძე ზესხ წამოდგა. ვიდრე ბარნაბა ლაპარაკობდა ის ჩუმად უსმენდა. ბოლოს გულში გაიტარა „სწორეა“ და მთის კიდურს მიუაბლოვდა. ჩაიხედა მთის ძირში, საღაც ისეთის სამხედრო გზა მიიღლა კუნძული.
- დიდხანს უცემერდა. დიდხანს ფიქრობდა. დიდხანს ულრონიდა გულს რაღაც აზრი, რაღაცა სევდა. უცბად შარაზე გამოჩნდა უაძრავი ხიშტი. ქუთაისიდან გამოსული დამსჯელი რაზმი მოემართებოდა გორმალლასკუნ, რომ ეს ურყევი სიმაგრე დაეკირათ. მაგრამ უკვე გვიან იყო. უბრძოლველად ზედ ფეხს ვერ შეაღვამდენ.
- გადიოდა დრო. მორჩიაძე ადგილიდან არ იძროდა. ხედავს ის პატარა ადამიანები, როგორ მოემართებიან მთისკენ.
- შენიშნეს სხვებმაც. ალელვებულნი მისცვივდენ მეთაურს. ის კი ხელისჩაქნებით უპასუხებდა.
- გადის წუთები, საათი. ისანი უკვე სულ ახლო არიან. საღაც არის პირველ ნაბიჯებს ასდგავენ აღმართზე და მერე... მერე გადივლიან მთას.
- ფიქრობს მორჩიაძე. რა ჰქნას მორჩიაძემ. ასტეხოს სროლა, გაუგზავნოს ცხელი ტყვები. რამდენიმე წუთში გაამტფოს ქვევით ცეცხლი და სიკვდილი?., რათა?.. ისინიც ხომ, რომ მოდიან აქეთ ჩერნი მშები არიან. ჯარისკაცები, რომელნიც იძულებულნი არიან იბრძოლონ სხვისთვის, იმიტომ რომ მოტყუილებულნი არიან, იმიტომ, რომ

თვითონ არა აქვთ საკმარისი სიმბნე რომ საკუთარ გულისტების გზა მისცენ.

იქნებ შეიძლება მათი უკან დაბრუნება. გაიფიქრა მან და ბრძანა.

— ბარნაბ, აბა სამჯერ გაისროლე. გააგებინე რომ აქა ვართ.

ეს უნდოდა ბარნაბას. შეინძრა. შეშფოთდა. დაუმიზნა ცას, ლრუბელს, მთვარეს. გავარდა სამი ტყვია და ტყვიებმა დასჭრეს სივრცეც, სიშვიდეც, მოწყენილობაც.

ძირს კი ჯარისკაცები წერტილებივით შეაჩერდენ ზოგი ბუჩქს, ზოგი მოვლეჯილ ლოდიანს, ზოგი კიდევ ბილიკოვან გზებს.

ეს იყო რამდენიმე წუთით. შემდეგ ისევ ამოძრავდენ, ისევ წინ წამოვიდნე.

— აპა, არ დრკებით!.. ხმა მაღლა წარმოსთქვა მორჩაძემ და რამდენიმე ნაბიჯი უკან გადმოსდგა.

— პირველმა ათეულმა სამ-სამი გულა!.. ათეული მოემზადა. არა, არ ვარგა დაუმატა მანვე. დაყარეთ თოფები.

ძირს-კი ჭიათულებივით მოფუსოფუსებდენ ადამიანები და ძვრებოდენ კლდეებზე, ამოდიოდენ მთაზე.

— დააგორეთ ქვები. მოისმა ისევე მორჩაძეს ხმა.

და ყვის მაღლი რთის მწვერვალიდან სეტყვასავით დაეშვა კლდის ნატეხები, დაგორებული ლოდიანები გზაში გლეჯდა ბუჩქებს, თხრიდა მიწას, საზარელი ზხულითა და ხმაურით ეცემოდა ძირს, იქ სადაც მტკიცნეულმა ლრიანცელმა დაჰვარა მიდამო.

ის პატარა ადამიანები ცოცდებოდენ კლდეებზე და ყოველ ათეულ ნაბიჯზე წვებოდენ, ეფარებოდენ კლდის ნატეხებს სიცოცხლისათვის, ემალებოდენ სიკედილს.

— კორა 12. ხშირი ცეცხლი. იწყე. გაპკიოდა აბზეინვარებულ ეპოლეტებში გამოწყობილი მათი მეთაური და მოუსვენრად იქნევდა ხელებს. თვითონ სამშეილომ ადგილზე იყო. ქვები მას არ იღწევდა. განკარგულება განკარგულებას მოსდევდა, მათაც კვამლში გაახვიეს თოფის ლულები.

ამავე დროს შორიდან უზარმაზარი ტუჩებით გადმოიხედა ქვემებმა. ქვემეხები ამოძრავდენ და გვრგვინვით და ქშენით გადმოანთხიეს კვამლი და კვამლთან ერთად ცეცხლოვ ნი ნიალვარი. მაგრამ რა გაუძლებდა მიუღვომელ სიმაგრეს. სიცოცხლის გადარჩენისათვის, სინათლე რომ არ ჩაპქრობოდათ თვალებში და რომ ესუნთქათ ეს მოშხამული ჰაერი, ყველამ უკანასკნელ ერთამდე იბრუნა ზურგი.

— თქვე მამაძალლებო, თქვე მხდალებო, არცხვენთ სამშობლოს,
თქვენი დედა...

ილანძლებოდა მეთაური. პირიდან ქაფი გადმოსდიოდა. აზრე-
ბოდა ნერწყვი ტუჩებზე.

ჯარისკაცები კი არეულნი, აშლილნი დაეშვენ უკან, მირბოდენ
სამშეიღობოსკენ.

ეცემოდა ყუმბარები მთებზე. სკდებოდა ყუმბარები სალი კლდის
ზედაპირზე და დიღხანს, დიღხანს გუგუნებდენ მთები. დიღხანს ის-
მოდა საზარელი ღრიანცელი.

ჩამოწვა სიბნელე. გადარჩა ასეული სიცოცხლე. მთის ძირში
კი იწვენ დაჭრილნი, დახოცილნი. დიოდათ სისხლი, სისხლი ღებავდა
მიწას, ბალახებს, ადამიანებს.

მიწყნარდა გარემო. დასცეროდა მორჩაძე მაღლიდან და სიბ-
ნელეში ძლიერ არჩევდა აშლილ ჯარს, დამარცხებულ, უკან მიმავალ
ჯარს.

ეს იყო პირველი გამარჯვება, პირველი მწარე სიხარული.

დაღამდა. მიიძინა გარემომ. მთის ცივმა ჰავამ დაზარა ადა-
მიანთა სხეული. მიწვნენ მიწაზე ნაბდებზი, მთელი სხეულით გაეცვიენ
ძველ, გახნენბულ მაზარებზი და პირის ორთქლით ითბობდენ გა-
ციებულ სხეულს.

ყველას ეძინა. მხოლოდ გუშაგები ჩასაფრებიან კლდის კიდუ-
რებში და ნახევრად მძინარე თვალებით გასცერიან რიონის ჭალებს.

არ ეძინა მორჩაძეს. ფრთხილი ნაბიჯით გაუარა მძინარე მებრ-
ძოლებს და შემდეგ გადაპხედა იმ მთებს, იმ კლდეებს, იმ ტყეებს,
რომელიც გორმალალას შემოპვეოდა.

რა გვინდა აქ?.. რა?.. ფიქრობდა ის. მისი თვალები მიწას ჩა-
აშტრერდა. მოილუნა ზურგში როგორც ძალმიხდილი, მისუსტებული,
ეს ადამიანები ცივ მიწაზე რომ წვანან, რათ უნდა იყვნენ აქ, რათა?..
წარმოუდგა თვალწინ ქოხები, კვარტლით და ნესტით გაეღლნილი.
წარმოუდგა სოფლები, მშიერი სოფლები. ისინი ჩაჭკრიან მიწას. ეს
მათია, მისთვის იბრძვიან, მიწისთვის. მაშ რამ წამოიყვანა ესენი
აქ, თუ არა ტანჯვამ და უბედურებამ!?

მუქდებოდა ღამე. ზევი ღრუბლები მალავდა მთვარეს, ვარს-
კვლავებს. იშლებოდა აუტანელი სიმძიმის მწუხრი.

ვიღაცის სუბუქი ფეხის ხმა გაისმა მორჩაძის მახლობლად. მას
უახლოვდებოდა პატარა ლანცი ფრთხილი, გამოზომილი ნაბიჯებით.

ვიღაცამ ლანცს რომ ემსგავსებოდა მხარზე ხელი დაადო უძრა-
ვად მდგომს და როგორც მძინარე ნადირი ისე შეაძრწუნა.

— ვინა ხარ?! წამოიძახა დახუთული ხმით და მაჯაში ხელი სტაცა.

— დამშეგიდდი. ბარნაბა ვარ. საუბარი მინდა შენთან. ჩურჩულით უპასუხა მან.

მორჩაძე დაწყნარდა. ისევე დუმილს მიეკა.

— ამხანაგო მორჩაძე!.. განაგრძო ისევე ბარნაბამ. დარდი და ფიქრი ჩამომაზევა გულზე. ვერ დავიძინე. მე მინდა გავიგო როდემდის უნდა ვიყოთ აქ.

— თბილი საწოლი მოგენატრა. ამ ხრიოკ მთაზე ვერ იძინებ.

— არა, ამხანაგო მორჩაძე, ხომ იკი მამა მყავს მოხუცი. და სულ ახალგაზრდა ცოლი. ისედაც ვავერანანგულია ჩემი ოჯახი. წლის სარჩო არა გვაქეს. შეიცრები იქნებიან უკელანი. სთქვა ესეც და თვალწინ წარმოიდგინა მოხუცი გიგა, ხელში კომბლით და მშეოთვარე სახით.

— ბარნაბ, რას ამბობ?.. აბა უფრო კარგად დაფიქრდი. ფიქრის შემდეგაც მაგას იტყვი?..

დუმილი ჩამოვარდა მათ შორის. ჩაფიქრდა ბარნაბა. მას უნდოდა გამოერკვია სიმძღვრე ალაპარაკებდა მას თუ მეტისმეტი გონიერება.

— ეს მაინც მითხარი, ამხანაგო მორჩაძე, როდემდის უნდა ვიდგეთ აქ და ჩვენი გამარჯვების შედეგი რა უნდა იყოს. მარტო ლეჩხუმის ჩვენ ხელთ ყოფნა რას გვარებეს.

— რადგან საკუთარ თავში ეჭვი გეპარება გეუბნები, რომ მხოლოდ ლეჩხუმშე არა ვფიქრობთ ჩვენ. საშა უნდა გადმოვიდეს კავკავიდან. მას კარგა დიდი რაზმი ჰყავს, სულ რჩეული ბოლშევიკები არიან. მოგვეშველება იარალით, ტყვიაწამლით, ქუთაისისაკენ გავალთ. გზაში შემოვიერთებთ აჯანყებულ გლეხებს და მთელ საქართველოს მოვედებით.

— საშა უნდა მოვიდეს?... ალტაცებით წარმოსთქვა ბარნაბამ. გაუგონია მასზე მრავალი გმირული ამბავი და ასეთი ძლიერი ადამიანის დამხმარედ ყოლამ გული გაუმავრა.

— გარდა ამისა რამდენი ამხანაგი ვვყავს ტფილისში, ქუთაისში მთელ საქართველოში, რომელნიც მუშაობენ მშრომელთა გამოსახულებლად, დღეს თუ ხვალ ხელისუფლება მუშებს და გლეხებს ექნებათ.

ბარნაბას გულმა ინათა. მან არ იცოდა რომ მათი გამარჯვება ლეჩხუმის გარეთაც უნდა გასულიყო. უცბად შეეცვალა აზრი. გაუნათდა გონება, სახე.

წყვდიადიც ნელი-ნელ იფანტებოდა და შავ ლრუბლებს მიჰყევი-
ბოდა ღამის სიბნელე.

კონცხებივით ჩამოლაგებულ მთებზე გადაშლილიყო ნისლი და
ცაში შემოპარული სინათლე ნაცრისფრად თრთოდა.

აქა-იქ შეინძრენ მეომრები. ზოგმა თავი ამოპყო მაზარიდან და
ირგვლივ უაზროდ დაიწყო ცქერა, ზოგმა ისევე თოფი მოიმარჯვა
და ტანსაცმელი შეისწორა, ზოგი კიდევ ფეხზე წამოდგა.

გათენდა.

მორჩაძემ და ბარნაბამ საუბარი შესწყვიტეს.. ისინი თვალს
ადვენებდენ მათ წინ მწოლარე მეომრებს თანდათანობით რომ ილვი-
ძებდენ.

ჩაცკერდენ სივრცეში თითო წერტილს. დიდხანს უცკერდენ.

თანდათანობით იფანტებოდა ბურუსი და მორჩაძის თვალის
წინაც თანდათანობით აშრიალდა თერთი ბაირალი.

თეთრი, მოზრდილი ბაირალი ჩაშვებული ქოხის წინ შრიალე-
ბდა უწყინარად და მშვიდობას პპირდებოდა აჯანყებულთა რაზმს.

— ხედავი!.. გაიშეირა თითო ბაირალისკენ.

— რას?.. შეეკითხა ბარნაბა.

— თეთრი ბაირალი.

დიდხანს დაეინებით უცკერდა.

— დავინახე... რას ნიშნავს?..

— მოლაპარაკება ენდომებათ. ალბათ მოსატყუებლად. იცი,
ბარნაბ, ვიდრე საშა ლეჩხუმში გადმოვიდოდეს თავი უნდა შევიმა-
გროთ ამ საზღვრებზე, მერე იერიშზე თვითონვე გადავალო.

ვერ მიხვდა ბარნაბა, რისთვის სთქვა ეს.

— მოლაპარაკება რომ მოისურვონ უნდა დავეთანხმოთ, რომ
დრო გავაგრძელოთ.

დაუმატა ისევ მორჩაძემ, რომ უფრო აშკარა ყოფილიყო მისი
აზრი.

— სამი კაცი გაევზავნოთ. მოელაპარაკონ.

ერთი წამით გაიფიქრა მორჩაძემ ბარნაბას გაგზავნა, მაგრამ
ფიქრი არ განაგრძო. მისი გულგატებილი ლაპარაკი ლამით ამის
უფლებას არ აძლევდა, სისულელებზე დაიყოლიებდნ. გადასწყვიტა გულ-
შივე და ხმამალლა დაუმატა:

— მე თვითონ მივდივარ...

ფიქრობდენ შეეჩერებინათ საყვარელი მეთაური, მაგრამ მორ-
ჩაძის სურვილის წინ ვერავინ ვერ გაჩერდებოდა.

წამოდგა ზეს. ტანში გაიმართა ტანდაბალი, მაგრამ მხნე ვაჟ-
კაცი. წელშე მაუხერი გაისინჯა, ჯიბეში ნაგანი. ტყვიები თავის
ადგილს იყო. ერთხელ კი გადაპხედა თავის ხალს და თავქვეჭე
დაეშვა.

მირბის დაღმართხე. გვერდს უხვევს ბილიკებს, გზებს. რაც
შეიძლება მალე სურს მიყიდეს. საკუთარი თვალით უნდა დაინახოს
მტრის ჯარები. მგლის მუხლი აქვს მორჩაძეს, რა დაღლის მას. მო-
კლე ხანში მოსკრა მანძილი და უკვე მთის ძირში მოექცა. გვერდში
გაუარა დახოცილთა გვამებს. ცდილობდა არ შეეხედა, მაგრამ თვალს
იტაცებდა ეს საზარელი სანახაობა. გაიარა ეს ადგილიც. კაცივით
გული ააფოლადა და ნაბიჯებს სიმტკაცე მოუმატა.

აი სულ ახლოა თეთრი ბაირალი. რამდენიმე ასეული ნაბიჯიც
და მივა ქოხთან, მივა მოსისხლე მტრებთან.

— შესდექი!.. შესძახა უცბათ გუშაგმა და თოფი დაუმიზნა.
მორჩაძე შეჩერდა.

— იარალი მოიხსენ და ისე მობრძანდი; — დაუმატა ისევე გუ-
შაგმა და თოფის ლულა შუბლთან გაუსწორა.

— გადაცი მოჩავ, შენს ბატონებს, რომ მორჩაძე ვარ თავი-
სუფალ მშრომელი ხალხისაგან გამოგზავნილი, ნახვა მინდა მათი.

„მონავ, ბატონებს!“ — როგორც შხამიანი ისრები ისე მოხვდა
გულში ეს სიტყვები. ნუ თუ მართლა მონა ვარ. წარმოსთქვა მხო-
ლოდ ჩურჩულით და დაიხედა საკუთარ თავშე, ტანშე, თვალმა დაა-
ნახვა რომ იარაღში ჩასხმული ჯარისკაცი იყო, მაგრამ გულმა სულ
სხვა უთხრა. ვისთვის იბრძოდა, ვის წინააღმდეგ, მისი მკლავები
ჩეული იყო რეინებთან შრომას, ლვედებთან და ბორბლებთან, იქ
სადაც ჰქონიან, აკეთებენ, აშენებენ, ეხლავი მოწოდებული იყო მო-
სასპობად, დასანგრევად. გაწითლდა, თვალები აუქრელდა. ერთის
მაგიერ თავისუფალი ხალხის ათს წარმომადგენელს ხედავდა. კარგა
ხანს ხმას ეერ იღებდა. მარჯვენა ფეხის თითებზე ძირს დაშვებულ
თოფს ატრიალებდა და თვალების წინ უგორავდა მისი ქარხნის ბორ-
ბლები. ლვედები, მანქანები, მერე მისი ცოლშეილი გამხდარი, გა-
ყვითლებული, დიდთვალება ბავში სველი ჭადის ნატეხით ხელში და
მოტიტინე:

— მამა, დღეს ჩეუნ მშივრები არა ვართ. თითო გირვანქა ჭა-
დი დაგვირიგეს ფურნეში.

და ეს ბავში, მისი დიდთვალება ბავში, კმაყოფილია ჭადის
ნატეხით. მამა კი ხედავს, მამა გრძნობს, რომ გამსდარია, გაყვით-
ლებული, შეციებული.



— კიდევ რამდენ ხანს გინდა გამაჩირო. მიაძახა ისევ მორჩა-
ძემ და გუშაგს მიუახლოვდა. გუშაგს ხელში თოფი ალარ ეკავა. მირს
დავარდნოდა, თვითონ კი მიყრდნობოდა კედელს და ათს ერთნაირი
სახის ადამიანს შესცემოდა თვალამლურეული.

მორჩაძემ თოფი აიღო. მხარზე ხელი დაადო გამოარკვია და
იარალი მიაწოდა.

— ჩემს რაზმში რომ იყო, იარალს ჩამოგარომევდი, საჭმელს
გაზიდვინებდი მეომრებისთვის. ვაუკაცურად დადექი, ამაყად დამა-
ცქერდი თორემ დაგხვრეტავენ. წელში გასწორდი... უთხრა მორჩა-
ძემ და ისევ მოშორდა.

გუშაგმა სასტვენი დაუკრა და რამდენიმე წამში ქოხის კარი
გაიღო, თავი გამოჰყო ახალგაზრდა ოფიცერმა.

— რაშია საქმე?.. მკვახედ დაიძახა მან.

— თეთრმა ბაირალმა მომიწოდა მოვსულიყავი თქვენთან. გა-
მოეხმაურა მორჩაძე.

ქოხის კარებს გამოსცდა აფიცერი. რამდენიმე ნაბიჯით წინ წას
მოვიდა. ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი ჰქონდა როგორ მოქცეულიყო.
მერე უცბად შეტრიალდა, შევიდა ქოხში და რამდენიმე წუთის შემ-
დეგ მასვე გამოჰყება სამი სხვა, მასავით გამოწყობილი.

— მე ვარ მორჩაძე. თხუთმეტი კაცი კლდის მოსახვევში მიც-
დის. გაქვთ თუ არა ჩემინთან საქმე. მოახლოვებისთანავე შეეკითხა
მორჩაძე და მარჯვენა ხელი მაზარის საყელოზე ჩამოიკიდა.

— მორჩაძე!.. განიმეორა ყველამ გულში. ისინი იცნობდენ მორ-
ჩაძეს. გაეგონათ ეს გვარი, ერთი წამით გული ამოეთხარათ, დადოშ-
დენ. მცირე ხნის შემდეგ თითქოს გამოერკვენ. ქუსლი ქუსლს შე-
მოჰქონდეს და საგამარჯვობოთ ხელი ჩამოართვეს.

— წამოდი შტაბში. წარმოსთქვა მოთეთრწვერო აფიცერმა და
წინ წარუდმდე.

ვერავინ ვერ ბედავდა იარალის ჩამორომევაზე სიტყვა შაინც
ეთქვა. მდგრადი უცქერდენ მის მაუშერს და მოჯადოებულნი თვალს
ვერ აშორებდენ.

შევიდენ ქოხში. სტიროდა ქოხი გამურული კედლებით და
ჭრისა კედლებს. შორის ხაესმოდებული ადგილებით. აქა-იქ ეგდო
მტვრიანი ჩექმები, ლაფში ამოსერილი მაზარები და რევოლუციების
ბუდეები. ფეხის მძიმე სუნს მოეწამლა ჰაერი. ოთახის კუთხეში იწვა
ახალგაზრდა ულვაშებაწყპილი ყმაწყილი. ბინტით შეხვეული შებ-
ლის ძირიდან ანთებული თვალები გადმოანათა წინ უცხო კაცის შე-
მოსელაზე და უურები ცევიტა. ოთახის მარჯვენა კედელთან იდგა

მაგიდა დატვირთული სხვადასხვა ქალალდებით და ქარტებით, შესვ-ლისთანავე ერთმა მათგანმა მიალაგა უწესრიგოდ დაყრილი ქალალ-დები და იქვე სამფეხაზე ჩამოჯდა. ყველანი მაგიდას შემოსხდენ. კარგა ხანს ჩამად ისხდენ. ბოლოს ერთმა მათგანმა სიჩუმე დაარღვია. შემუშტული ხელები მაგიდაზე თვალშინ დაიწყო და ორივე მუ-შტრის ამოძრავებით ალაპარაკდა.

— ჩვენი სურვილია ლეჩხუმი დავამშვიდოთ. არ გვინდა სისხ-ლის დალერა. ყველაფერს გაპატიებთ თუ იარაღს ჩაგვაბარებთ და წინააღმდეგობას თავს მიანებებთ.

ულვაშებში ჩაეცინა მორჩაძეს. ქუდი მოიხადა, მაგიდაზე და-სდო, მიმიარემ გულშვიდათ ყველას თვალი გადაავლო და წყნარად მაგრამ დარკინული ხმით წარმოსთვეა.

— ეგ შეუძლებელია. ეგ მშრომელი გლეხების ღალატია. მე რომ მაგის თანხმობა მოვცეთ, მისვლისთანავე ტყვიას მომახლიან. ეს უნდა ჰყითხოთ ყველა მათ, ვინც იმ მოებში ბინადრობს და ვინც იარაღის ქვეშა სდგას. მე ვფიქრობდი უფრო სხვა წინააღმდებით მოხვიდოფით. თქვენი ბატონობა რომ გვედომებოდა არც აჯანყდე-ბოდა ლეჩხუმი. სიტყვის დამთავრებისას ისევ გადაავლო თვალი მა-გიდასთან მსხდომთ და მერე ერთ ქალალდის ფურცელს გაუშტერა თვალი. შეიძლებოდა თუ არა მისი წაკითხვა ვერ გადაეწყიტა მორ-ჩაძეს. ყველა მიაცეკერდა მას და მიხედენ რომ ლამობდა მაგიდაზე მდებარე ფურცლის წაკითხვას. მის პირდაპირ მჯდომის ხელი გამო-ცურდა და თვალების წინ გადაუშალა ნაბეჭდი ფურცელი.

— თუ გსურთ წაკითხეთ. თავაზიანათ მიმართა იმავე ხელის პატრონმა და თვალები სახეზე დაასო, რომ ამოეკითხა პისი შინა-ვანი განცდა.

ბრძანება №· გადირბინა მორჩაძემ სტრიქონებზე თვალებით.

„რევოლუციისა და სამშობლოს მოლაპტენი ძირს უთხრიან ქავენის კეთილდღეობას“. შექრდა ერთი წამით მისი შეხრა და გო-ნება დაეტვირთა ამ ორი მცნებით: „რევოლუციისა და სამშობ-ლოს“. ჩაფიქრდა მორჩაძე. მორჩაძე ფიქრობდა იმ ხალხზე, რომელ-ნიც სათავეში იდგენ და რევოლუციას ჰლალატობდენ სამშობლო-სათვის და სამშობლოს ჰლალატობდენ, რევოლუციის ღალატით.

ეს ტანდაბალი ჩასხმული კაცი, ეს გულმტკიცე ადამიანი შე-ძრწუნდა. დაენაოჭა სახე. დასტაურა ხელი ქალალდის ფურცელს, დას-ჭმუჭნა და ფეხთით დაიგდო. წამოდგა ზეზე სწორი, პირდაპირი. აჟყვენენ სხვებიც და უსიტყვოთ შესცეკროდენ.

— მაშ ასე... მე ლაპარაკი აღარ შემიძლია. მე შევეცდები რამდენიმე თქვენგანი გადავიყვანო ლეჩუმში და დავანახვო მათი ერთსულოვნება. ძლივს წარმოსთქვა ეს მორჩიაძემ. ხელში დავავებულ ჭუდს უაზროდ სრესდა და შესცემოდა ყველას, თუმცა არავის არა ხედავდა.

— ჩვენ მოვალთ თქვენთან. უპასუხა თეთრწვერამ და რამდენ-ჯერმე ცალი ხალი ჩამოისვა ქოხტად შეერეჭილ წვერებზე, თვალები კი გადაავლო ამხანაგებს, ლიმილი გაიკროთ სახეზე, მისთვის ჩვეული ლიმილი.

მორჩიაძემ მარჯვენა ხელი მაუზერზე დაიდო, ერთხელ კიდევ მიმოავლო თვალი ყველას და მძიმე ნაბიჯები გადადგა. გავიდა გარეთ. ზურგში გაპყვენ ყველანი. თვალყურს აღევნებდენ მის ყოველ მოძრაობას, ყოველ ნაბიჯს.

საწოლში თავშეკრული ყმაწვილი წამოიწია. აწითლებული თვალები ნალვერდლებიერთ აატრიალა და ჩამზრალი სიბრაზით დაიძახა:

— უუხ, ეგ იყო!!.. მაგისი... ხმის ჩახრინწვერთ წარმოსთქვა და დაძარლული მუშტები კანკალითა და ცახცაზით გულთან მიიტანა.

ეს იყო ახალგაზრდა აფიცერი ახელედიანი! სულ ერთი კვირაა რაც ეპოლეტები უთავაზეს, ძან ლეჩუმის ყოველი კუთხე კარგათ იცის რაღან, თვითონაც ლეჩუმელია. თუმცა პირველი ბრძოლა მარტინთ დაუმთავრდა. ეს ის იყო, ჯარისკაცები რომ გადაპყავდა მთაზე. შუბლში ქვა მოხვდა.

(შემდეგი იქნება)

ვ6. ნაროზვები

ჟოზა-ცხოვრება საბჭოთა ცოცხლში

ივანეს ცხოვრება

მაღლობებს მოსდევს საყანე ველი,
ველს თემშარა და შარის მდინარე,
მდინარის პირის მუხა დგას ძევლი—
ზღაპრებითა და წლებით მდიდარი;
მუხის წინაშე ეზოა ვრცელი—
მაღალ მესრებით შემოზღუდული,
ეზოში დადის ველური მცელი
ძალლი და კბენა იცის ქურდული;

როცა მშე ჩავა ამ ეზოშიაც
 ქოხზე დადგება კვამლის გორიოთი—
 სალამოისას მოვა პატრონი
 ძალლზე ველური, ძალლზე ბოროტი.

2

მისი სახელი არის ივანე,
 მოდის ლეირძლიან სულის ობობა,
 შედის წისქვილში გულამაყი და
 წელ გამართული გლეხი—ბობოლა.
 გლეხები თვითონ გაიძახიან
 ივანე არის სისხლის მდომელი
 ივანე ჩვენი სოფლის ძალლია—
 პირცბიერი და დაუნდობელი
 ივანე არის ხმა ჩაწყვეტილი
 თემთა ლირსება მავას ახადა
 გულლვარძლიანი გახდა და მიტომ
 გახრიობთ სასოფლო გადასახადით.

3

ერთხელ მდინარე აღიდებული
 გაცდა მომდევნო ნაპირ საფარებს,
 მაღალ ჯებირით გამაგრებული
 მოსპო წისქვილის არხის სათავე.
 მოსპო სტიქიამ მღვრიე ხელებით
 ხის საცალფეხო ხიდე-ბოვირი,
 ნაპირ-ნაპირას ყანის ველები
 მოზიდულ ქვებით იყო მოყრილი.
 —ასეა, წისქვილს კიდევ გავალებთ
 სტიქიას კიდევ გადავეურებით,
 რაც იყო, იყო—ნურას ვინალვლებთ—
 ასე ამბობდენ მაშინ გლეხები.

4

დილით მოვიდნენ მზის ამოსელამდე—
 ბობოლა გლეხზე ვინ რას იტყვისო,
 ყველამ ერთი თქეა: —ერთი კაცია
 ამხანაგობას მუხლებს გვიჭრისო.
 შეკრეს პირი და უთხრეს ივანეს:
 წისქვილი ყველამ ერთად ვაგეოო—

შენ მოისურვე მთლად რომ გეუფლა
 და რიგებიდან გამოგავდეთო...
 ივანემ სინჯა მთელი ძალ-ლონე
 იწყო ღრიალი და ახმაურდა—
 მაგრამ ვინ იყო მისი გამვონე;
 ვინ უშველიუა მას რა თქმა უნდა.

5

ბოლოს მან სიტყვა სთქვა გულ-მწუხარეთ:
 ვისაც ენაზე „ჩვენ“ უკერია—
 დავსწყველოთ, ყველა მათი მომხრენი
 იყონ უცუპხლო და უკერიო.
 ვინ გაგვიშავა ჩემობის დღენი,
 ვძს უნდა შენი ქედი მოხაროს,
 ვინ ჩაგვილეშა ოჯახის ბჭენი—
 ვის ძალუძს ჩემი კერა მოთხაროს.
 მოდგმიდან-მოდგმას გადასცემია
 ქოხი და წმინდა ძველთა-ძველობა,
 დგმას დგმა უცელია, მაგრამ უცვლელად
 მოდის კერიის მსოფლ-მხედველობა.

6

უქმი დღე იყო, ისხდნენ მუხის ქვეშ
 ბელატმა თავზე ხელი გადისვა,
 ამოისუნთქა და მოფიქრებით
 გლეხმა, გლეხობა იუკადრისა:
 ჩემი ხელები უწინდებურად
 ჩემივე მიწის წიაღს თხრიანო,
 მუდამ გარჯითა სისხლი მიწურავს
 და მუშა მაინც არა მქვიანო.
 მეორემ უთხრა: ორივ ვმუშაობთ
 შენ გლეხი ხარ თუ მე პროლეტარი,
 გლეხნი კერას და ეზოს ვგუშაგობთ
 და საკუთრების შხამსა ვატარებთ.

7

მუშა ძალაა, ნათელი, მტკიცე,
 ჩვენ ძლიერების ნედლი მასალა;
 ჩვენ მშენებლობას ყველაფერს მიცეცმთ
 რომ შეგვიცვალოს გული და სახე.

საბჭოთა ქვეყნის გაშლილ სიცრუეზე
 ჩენსა ცხოვრებას დაწერილმანებულს
 მხოლოდ მზე მუშის გადააკეთებს—
 გლეხთა მასები მივალთ აქეთებ.
 მე უმღერ გლეხებს, არა გლეხურად,
 გლეხურ ბუნების უარმყოფელი:—
 ისპობა ძველი კერა და ეზო,
 ახლად შენდება ჩვენი სოფელი.

6

ადგა ივანე ბრაზ-მორეული,
 ყვიროდა: ჩემი სული გლეხური,
 დოქსაც ძლიერი და შორეული
 ჩემს შვილის-შვილებს შთაუნერგეო.
 მათ მიუჩინე ცალკე ნივთები,
 საკუთრის დაცვას რომ შეეჩიონ,
 ეხლაც ერთმანეთს არ-არას უთმობენ—
 ჩემი არის და არა შენიო.
 ჩენ აღვადგინოთ ეხლავე მიწის
 ურყევი მტკიცე დასაბუთება,
 ჩენ ვიღუბებით ნუ თუ არ იცით—
 ირლვევა კერა და საკუთრება.

9

საკუთრებაა მტკიცე ცხოვრება
 შენი ჩვენობას მუდამ სჯობია,
 ბედნიერია იგი, რომელსაც
 კერაზე ცეცხლი არ ჩაქრობია.
 გაქვს შენთვის ეზო შემოლობილი
 მით გიღგას ქოხი და სასიმინდე
 შენს ნებაზედა ცოლი მოგივლის—
 შენი მონა და შენი სიმდიდრე.
 შენ დაულალავ შრომას ეწევი,
 ეზო მიგანის თვალის ჩინებათ;
 შენი ხარი და ძროხა მეწველი
 შენ და მხოლოდ შენ გემორჩილება.

10

თუ გიყვარს სტუმარ-მასპინძელობა,
 თუ სადლეისოთ გაშლი სუფრასა—

მღერი, იცინი და დღეგრძელობას
 ვერცხლით მოქედილ ყანწებითა სვამ.
 გყვანან ქათმები, ლორი, გოქები
 დიასახლისის შემონახული,
 შენს სიავეჯრით ხარ შებოჭილი
 გინდ ქეიფობ და გინდა მარტულობ.
 ქათამს დაიკლავ თუ უვახშამოთ
 შენი საქმეა—როგორ გადახვალ:
 შენს სამეფოში ხელებ გაშლილი
 გაიხუმრებ თუ ცოლსა გალახავ.

11

რის ჩვენობაა, რას მეხუშრები:
 სიმინდის კალო მომაქვს ურმებით,
 ავიტან, შევყრი ჩემსავ ბელელში
 წლიურ სარჩისა მაშრვალი გლეხი.
 რაოდენს მინდა იმოდენს ვხარჯავ,
 ხომ ჩემი იყო შრომა და გარჯა;
 ალიონიდან სალამომდისინ
 ვილუნებოდი მზის ქვეშ ველზედა,
 ვის რა ხელი იქვს, გული მომდისო,
 რა საჩვენოა ჩემი ბელელი,
 ალიონიდან სალამომდისო
 ვარო, მინდორზე ოფლისა მღვრელი.

12

მე აქ ერთი ვარ, ვადამემტერა
 გარშემო მთელი მოსახლეობა,
 ესენი ჩემი მეზობლებია
 მე, რომ ბობოლა გლეხად მსახავენ.
 მომდის უზომო ვადასახადი,
 წელს შარშანდელზე ერთობ მეტია,
 თქვენ მეზობლებო, რომ გეცინებათ,
 ისეენებთ ტკბილად ჩემდა სამტროდა—
 საქმე მუდამ უამს მიწასთანა მაქვს
 თოხით, სახნისით, წალდით, ბარითა
 მეზობლებისთვის მჰრელი დანა მაქვს—
 გულში ამბობდა ბობოლა გლეხი.

შეიღს არიგებდა: სხეისათვის ნუ ხარ,
 არვის დაუთმო ერთი მისხალი,
 ეზოში სადაც დაბადებულხარ
 იქ შენთვის ნაყოფს უნდა ისხამდე.
 საკუთარ ძმასაც ნულარ ენდობი,
 შენ სხვაი ხარ და იგი მეორე,
 შენ შენთვის სთესე და შეიღებისთვის
 ჩემი ნათქეამი გაიძეორე.
 მზათ იყავ მუდამ: გაჭირვებული
 ჩასალუქმავათ თუ კი გელირსა
 შენს მიუმატე შენი მხნე გულით
 ქოხი, დაცემულ მეზობელისა.

14

იმის შესახებ ერთხელ გამბობდი,
 გასულ თვის დამდეგს წვიმა, რომ იყო
 დაქანებულმა ლელემ მაღლობით
 საყანე ველი ქვებით მორიყა.
 წვიმდა, ივანემ ტომრა გადიცვა,
 ლელე ჯირკით და ქვებით გაგუბა,
 ბარით მოთხარა მტკაველა მიწა—
 თანამოსახლეს უმტრო ორგულმა:
 ლელეს გზა მისცა, ადიდებულსა,
 სხვისა ეზოში გადასულიყო
 ღარიბ მეზობლის წლიური სარჩო
 რომ წყალდიდობით დაღუპულიყო.

15

მთები, ველები, თვალ გაუწიდომი,
 ძლევამოსილი ჩვენი შექობა,
 პურით მდიდარი ჩვენი ქვეყანა,
 მისი გლეხური მოსახლეობა.
 გადავშლი ფერად საბჭოთა რუქას,
 მისი საზღვრებით ვარ შებოჭილი
 სადაც გლეხებში ივანე სუნთქვას
 გულღვარძლიანი, მუხლებ-მოჭრილი.
 აქ ქალაქიდან ჩამოსახლეს
 მუშური მზე და გვაძლევს სინათლეს,

რომ წაიშალოს იგანეს სახე
 მისი ცხოვრება და ხასიათი...
 მე უმღერ ველებს არა გლეხურად,
 გლეხურ ბუნების უარმყოფელი:
 ისპობა ძველი კერა და ეზო,
 ახლად შენდება ჩვენი სოფელი.

კონსტანტინე ლორთიშვილი

ბ ო რ ა ნ ი

(ნაწყვეტი რომანიდან)

სექტემბრის შიშურული.

მზით გარუჯული ბიქები და თავ-საფარ წაკრული, მუხლებამდე
 კაბა შეკეცილი ქალები ტეხენ სიმინდს. პატარა ვოგო-ბიქები თხრი-
 ლებში გადაგორებულ კვახებს ავროვებენ.

თვალებ-დასუყებულ მოხუცებს ჩრდილოში მოურთხამთ ფეხი
 მაჯის სისხო ტაროებს ფურჩქნიან და წლევანდელ მოსავლის ლირ-
 სებას შარშანდლისას აღარებენ. იქვე ანთია ცეცხლი. ხარშავენ
 კვახს და სიმინდს.

მხიარული ჭრიჭინები აყრუებენ მიღამოს. პირამდე დატევითოუ-
 ლი ძარიანი ურმები ნელის ჭრიალით მიემართებიან ბორანისაკენ.

გაღმიდან ახალგაზრდა ბიჭი მოადგა მდინარეს:

— ზინობე, მოურავა გამომგზავნა,—ბატონები ჩამოდიან, შე-
 ნი ქალები გამოგზავნე, ოთახები არის მოსარეცხი, კიდევ რაღაც
 რაღაცეებია გასაკეთებელი.

ჩვენები ვერ გაუწვდენ; მეურმეებს უთხარი, სიმინდი არ და-
 ტოვონ ყანაში, სალამოთი წვიმა ეპირება, გააფუჭებსო;

ზინობემ ნახევრათ მოკეცილი ხელის გული ტუჩებთან მიიტანა
 და გადასძახა:

— დოფინა, აუ! დედა მონახე და ბარნაბასას გადადით;

— ვითომ ჩვენ ცატა გვაქვს საქმე შინ!

უქმაყოფილოთ დაამატა და ბორანი აუშვა ნაპირიდან.

დოფინა სიმინდის რჩევაში ებმარება მოხუცებს.

— ბაბუა, კყინტი ტარო თუ შემხედა, ჩემია; ამბობს დოფინა
 და მომცრო, რძიან ტაროებს კალთაში იყრის. დედაკაცი ჯავ-
 რობს.

— ნუ დაქბინე, გოგო, ყველა ტაროები; ვერ ხედავ, კენჭივით
 მაგარი კიკლები აქვს?

პატარა ტაროებით დაუკმაყოფილებელი დოფინა ხშირად დიდობრობის ტაროებსაც გაავლებს კბილებს.

დოფინა ფიქრობს.

— ნეტავი ჩვენც გვქონდეს ყანა, დახნავს, დათესავს, რთველ-ზე ლოდებივით დაგორებულ მოლის-ფერ საზამთროების, ყვითელ ნესვების და ფერად კვახების სუნით გამძლარს, არ გაუხარებებს თვალებს მეზობლის ყანები; წითელ კაკლიან ტაროებს ქოჩორს და-უმწინის, ცხენის დაპერიდებს და სათესლედ შემოინახავს. ზამთრის გაუთავებელ ღამეებში დაიწყებს კართობილის და მუხა-კვახების ხარშვას...

— რამ გაგაშტერა, ჩეიფარე კაბა შე გასახეთქო! რავა გამო-გიჩენია ყორიცხელი და აყურებიებ ბიქებს!

დედაკაცმა ოცნებაში შესულ დოფინას ტარო ესროლა.

დოფინა გაწითლდა, მკვახეთ მიუგო:

— ჩას მიყურებენ მერე!

— დოფინა!

გაიმეორა ძახილი ზინობებ. მამის ხმაზე დოფინა ჭამოხტა, კუინტი ტაროები კალთაში ჩაიყარა. გაიქცა.

დედაკაცმა თვალი გააყოლა.

— რა უტეხია!

მეორემ თავსაფარი გაისწორა და სთქვა:

— იმ დღესაც მედილიჯნეს წაეჩერა, ფული გადაინადე თო-რემ ფეხს არ შეგადგევინებ ბორანწერო.

ყოველ წამს ლიმილის ასაფეთქებლად მომარჯვებული ტუჩები და მეტყველი თვალები, სრულიად წარინააღმდეგებიან დოფინას უსწო-რო, მაგრამ მავარი ხაზებით გამოკვეთილ სახის ნაწილებს; შერუჯულ, გლეხი ქალის ჩვეულებრივ სახის კანხე, მისი თვალები ძველ სტრათ-ზე ახლად ჩახატულის შთაბეჭდილებას სტოვებენ; ოდნავ ამობურ-თული მკერდები და სიარულის დროს შესამჩნევი წელის რევა, მო-წმობს: დოფინამ შეაბიჯა იმ ასაკში, როცა სხეულის ნაწილები მწიფ-დებიან და იღებენ გამოკვეთილ ფორმებს.

ცამეტი წლის არის დოფინა.

დიდი, ნოყიერ მინდვრებში გახრდილი — ჭოტისებური მახვილი სმენის და უზომო ცნობისმოყვარეობის მფლობელია.

ზინობე ამბობს:

— იმისთანა რაღაცას იკითხავს ხოლმე, რომ გამაწითლებს პატიოსან ხალხში! ყოველმა ქალაქელმა მგზავრმა ბორანზე გადასვ-

ლისას სამი კაპეიკის გადახდის გარდა, რამდენიმე პასუხიც უნდა გასცეს დოფინას შეკითხვებს.

ამ შეკითხვებში ზინობეს მათი დასმის მხარე აბრაზებს.

სრულიად უბრალო, ნათელ კითხვას იმნაირათ მოუკლის დოფინა, რომ მგზავრი მოულოდნელობით და ბავშის სითამამით დაბნეული უხერხულობას განიცდის;

პასუხს გვერდს აუქცევს, ან ისეთ სახეს მიიღებს, თითქო კითხვა არ სმენია. ხალხურ თქმულებებით და ზღაპრებით გამოკვებილ დოფინას თან ახლავს მისი წლების შესადარი „გმირული“ სულისკვეთება;

ყოველთვის ცდილობს, მის პატივისმცემელ მგზავრს სამაგიერო მიუძღვნას; როცა ამის საშუალება არა აქვს, მაშინ ოცნებობს:

— ნეტავი, იმ კეთილ მგზავრს, ქუდი მაინც გადაუგარდებოდეს წყალში, რომ გადაეხტე, ამოუტანო და მით გადაუხადო ჩემი მადლობა;

კარგი მოცურავე, დოფინა ყოველთვის გულის ფანცქალით შედის წყალში, თითქო პირველად ხვდება მის ტანს ცივი ზვირთები; გული უცემს არა შიშით, არამედ რაღაც ვნებიან, თავ შეუკავებელ სურვილით: რაც შეიძლება მეტათ შორს შეცუროს დღეს წყალში, ვინემ გუშინ.

ხშირათ რიონის შუა-გულა ზეირთებში წარმოიდგენს თავს.

ასეთი ცურვით, როგორიც ეხლა იცის, დაიხრჩობა და მისი გრძნობა, რომ ის შეიძლება დაიხრჩოს, მას მოსვენებას უკარგავს და ახელებს.

იფეთქებს დაძლევის, დამონების მძღავრი ჟინი.

მისი ჯანიერი სხეული საუკეთესო საზრდოა მსგავს სურვილ-თაოვის—და ათასჯერ დამარცხებული რომ გამობრუნდეს უკან, კვლავ ცდის, სანამ არ დარწმუნდება რიონის შუაგულა ზეირთთა უშიშრობაში.

დოფინას მახლობელი ადგილები ბორანივით აქვს შესწავლილი.

არ იღლება მათი ცქერით, არ მოიწყენს მათთან ყოფნით.

მრავალჯერ მორბენილ მინდვრებზე, მისი თვალები ყოველ დღიურად ახალს ნახულობს;

უცხო ყვავილის გაშლა, ბალახთა ფერის ცელა, ნაყოფთა შეუმჩნეველი მწიფობა, ფრინველთა ახალი ბუდეები და მრავალი სხვ მოელენები, რომლითაც უხვობს მინდვრები, არ გაეპარება დოფინას ხელვას;

დოფინა ხტუნვით მისდევს დედას, გზა და გზა წყვეტს ექლის
ხის ფოთლებს, ენასა და სასას შეუა ილაგებს და უსტვენს.

ბარნაბას სახლისკენ მიმავალი გზა მიჰყვება მდინარის ალ-
მართს.

ნაპირზე, გახურებულ სრლაში, შიშველი მწყემსი ბიჭები ჰეო-
რავენ. ლაზლანდარობენ.

ერთი დაიძახებს;

— დოფინა, გვიჩერენე ჩვენი მღვდელი როგორ დადის; საანკე-
სოთ გასანთლულ თოქს გაჩუქებ.

— გაცინე, დოფინა, გაცინე!

ახმაურდებიან ყველანი.

— იქით დაიკარგეთ! თქვენი მოსატყუილებელი სახლში გეყო-
ლებათ!

უყვირის დოფინა ნდობა დაკარგულ ბიჭებს. განაგძომს გზას.
ერთი კვლავ ცდის.

— „დედა-ენას“ მოგიტან...

დოფინა შესდგება. იჭვნეულათ გადახედავს.

— რომ მომატყუო...

— არა ლმერთმანი;

— დედა, დაგეწევი;

მიაძახებს დოფინი დედას.

— დეიწიეთ უკან, რავა პირში მომჩერებიხართ!

ეტყვის გულ მოსული ბიჭებს, რომლებიც მოსალოდნელ სანა-
ხაობით დატყვევებული, ებევერან ირგვლივ დოფინას:

დოფინა დაწვდება ბიჭების ტანთსაცმელს; საყურე ბალიშის
ოდენა შეკვრას გააკეთებს და კაბის ქვეშ, მუცელზე დაიმაგრებს.

შარვლის ტოტებს გასკვნის და კისერზე გადმოიყიდებს ოლა-
რივით.

თვალებს გადანაბავს, ლოყებს გამობერავს და ნიკაპიდან
მკერდამდე ნახევრათ მოკეცილ ხელის გულს ჩამოისომს. (ვითომ
წვერზე).

— აქა მშვიდობააა...

ბოხის ხმით წაიბუტუტებს და ორათ მოკეცილ ქამარს სა-
ციცხლურივით გააქან-გამოაქანებს. მერმე კოჭლობით გაიარს, ოფლს
მოიწმენდს და თითქო სხვების შეუმჩნევლათ, საჯდომს მოიფხანს.

ბიჭები გულიანად გადიხარხარებენ.

მართა შორიდან უცქერის დოფინას.

— ეის გამოემგვანა, ნამდვილი ქალ-ბიჭაა!

სირბილით დაეწევა დედას.

— ი ლედერმა რომ შეგასწროს თვალი, მთელ ოჯახს გადამი-
ცემს, რატო მიშერები შეილო ამას?

— აპა, მატრონიაც ქე გადასცა წმინდა გიორგის ხატზე, მარა
ქეა კარგით.

— სუ, შე გასაციებელო.

კოინდარი მუხლამდე ურტყაშს ბარნაბას ეზოში.

ოთხი მაღალი ქადარი მიყუდებია ორ სართულიან ხის სახლს;
მათ შორის ჩადგმულია ქვის მაგიდა, ქვისავე სკამებით.

სალმონბით აქ შეექცევიან ვახშამს და თამაშობენ ნარდს.

ბარნაბა მდიდარია; ამიტომ თავის თავად იგულისხმება რომ
მას ექნება მშენიერი ნამყენი ვენახი, კარგად მოვლილი ბალი, ახ-
ლათ გავრცელებულ ინდოეთის ხურმით და მანდარინის ბუჩქებით
შემოვლებული. ექნება ყველაფერი, რაც ესაჭიროება ისეთ საზოგადო
„მოლვაწეს“, რომელსაც წარჩინებაში და ნდობის მოპოვებაში ჰქუ-
აზე მეტად ქრთამი, წვეულებები და მდიდარი მემამულის სახელი
ეხმარება;

რუხი ქოფაკი თვალების ბრიალით წამოხტა, ყეფს.

რიკულებიან აიგანზე გამოვარდება ბესო.

ახალუხის კალთები ჩატნეული აქვს ქამარში, ხელში იატაკის
საწმენდი ჩოთქი უჭირავს.

ჰიშკართან ეტლი გატერდა.

— მოვიდენ! გამოდით გარეთ, ჩოხა გამომიტანეთ...

ყუმბარასავით გასკდა ეს სიტყვები და აქამდე ჩუმი ეზო, ერთ-
ბაშად ხალხით გაიძიო და ახმაურდა.

სახლიდან, მარნიდან, სარდაფიდან, საქათმიდან, ცეცხლ მოკი-
დებულებივით გამოცვიდენ ქალები, კაცები, ბავშები, და ქაბის,
თმების, ჩოხების სწორებით გაქანდენ ჸიშკრისაკენ.

წამოიშალა მშვიდათ დაბულებული წიწილებიანი დედალი. ვი-
დაცას ლორი გაეჩირა ფეხებში. შეიგრა.

აგრ დედას აედევნა პატარა ბიჭი, ვერ დაეწია, ბრაზით გა-
დაკოტრიალდა მიწაზე და მწარეთ ალრიალდა.

— დოფინა, სადა ხაჩ გოგო!

— აქა ვარ დედა;

ხმა მისცა შეშინებულ მართას ქვიშის ხეზე მოკალათებულმა დოფინია.

— დამიღეს თვალები, რომ შეგილებას სახე და ხელები, ალარ გინდა იმ კაცს ეჩვენო?

შეუტია ქვეიდან მართამ და წკეპელი მოიმარჯვა.

— გამარჯვებათ;

მიესალმა ბარნაბა აქაქანებულ და სახე გამრწყინვებულ დამხდურებს. შერმე მოუბრუნდა და უქმაყოფილოთ გადაჰკრა ეტლის კიბესთან გაჭიმულ ბესოს.

— სოფელში მეტი არავინ იყო?

— ეზო დავაგვევინე, შენობები მოვარეცხინე, ჩვენები ვერ გაწედენ ყველაფერს; იმართლა ბესომ თავი.

ეტლის წინა სკამზე ზის ლადო.

მაღალი, ნიკაპზე მიბჯენილ გარახმალებულ საყელოთი შეწებული, სასაცილოთ გაჭიმულა. კისერს ვერ ხმარობს და ყოველ გახედვაზე მთელ ტანს მიატრიალებს.

დოფინამ ფრთხილათ მოსწია მართას კალთა და ლიმილით ანიშნა გიმნაზიელზე.

— რავა სარ-გადაყლაპულივით გოუჩერებია კისერი;

ხალხი დაიშალა.

გარედან მოსულებმა კიშკრისაკენ გასწიეს. შინაურებმა შეწყვეტილი საქმე განაგრძეს.

ბესო ცდილობს: პირველი წყრომა, რომელიც შეხვედრისას მიიღო ბარნაბასაგან, მიჩქმალოს. საოჯახო საქმიანობიდან მხოლოდ და მხოლოდ სასიამოვნო ამბებს უყვება:

— ჯიხაიში ნაყიდმა ლორმა თორმეტი გოჭი მოიგო;

— კარგი.

უგუნებოდ ებმაურება ფიქრებში შესული ბარნაბა.

— ხილი ხეზე გაყვიდეთ ნალდად და კარგ ფასებში;

— კოწიას ნაჩუქარი ულაყი გავხედნეთ, ტოლი არ ყავს მთელ იმერეთში;

— ახალ წისქვილს გაშენებთ, ექვსი თვალი მინდა გავმართო...

ბესოს უკვირს: ამდენი სასიხარულო ამბავი მიაწვდინა, ამდენივე საოქმელი აქვს კიდევ, ბარნაბა კი არ უშენს და ჩვეულებრივათ „ყოჩას“ ძახილით არ აჯილდოებს ბესოს საუბარს.

მართა ჩიხის კალთაში წვდა ბესოს;

— აწი წავალთ!

— ბესო ხვალ...

ბარნაბა მოტრიალდა და რადგან მართა შენიშნა სათქმელო
ალარ დაათვა, მართას მიუხსლოვდა და ხელი ჩამოართვა.

— სიბერე შეგპარვია ქალო, შენი ქალია? მოდი აქ ბიძი,
სწავლობ? აი შენ, ტეტრადები იყიდე;

რამდენიმე ვერცხლის ფული ჩაუჩრიალა გაკვირვებულ დო-
ფინას.

მერმე მობრუნდა, გააგრძელა გზა.

— მართას იდგილზე რომ სხვა ყოფილიყო, სრულიად არ გა-
ვიკვირვებდი, რადგან ვიცი ჩემი ბატონის ხასიათი, მაგრამ მართა
რაში ჭირდება, ან მისი გულუხვობა რას მივაწერო!

გაითიქრა ძალზე გაკვირვებულმა ბესომ,

ლადოს არ უყვარს თავისი სოფელი. ამხანაგებს მოწყვეტილი
სოფელში მოწყენას გრძნობს;

სოფელს ის ვერ განიცდის, რადგან სოფელი ლადოს ტოლა
ახალგაზრდისათვის თევზაობის, ბანაობის, მინდვრებზე სირბილის
და ყაჩალობისა თამაშის გარეშე ციხეთ გარდაიქცევა. ლადო კი
კვილაფერ ამას მამის ბრძანებით მოქლებულია.

— რა შენი საქმეა ტყე-ტყე ხეტიალი, ყაზახების შეილებიდან
ცუდი ზნის გარდა ვერაუერს ისწავლი, დაჯექი, წიგნები იკითხე!

ეტყვის ბარნაბა ლადოს, როცა უკანისქნელი დიდის რიდით
განაცხადებს ვინმესთან თამაშის სურვილს.

როცა ბარნაბამ დოფინას თავზე ხელი გადაუსო და ფული
აჩუქა, ლადოს გაეხარდა.

— მასთან სიარულს მამა არ დამიშლის, უზნეო ან ცუდი
რომ იყოს ეგრე ალერსით არ მოეპყრობოდა;

ლადოს ნათლად ვერ წარმოუდგენია უზნეობის ან სიცუდის
შინაარსი. ქალაქში მისი ცხოვრების ერთფეროვნობას ავადმყოფობა
თუ დაურღვევს. მაშინ ის სკოლაში ვერ დადის, მოდის ექიმი,
უშინჯაეს მაჯის და უწერს წიმლებს.

მეტი ალერსით ეპყრობიან, მის სურვილებს, უფრო მეტ ანგა-
რიშს უწევენ.

წელიწადში ორხელ თუ სამხელ (ეს დამოკიდებულია ბარნაბა
„გამარჯვებათა“ რიცხვზე) ლადო ბექოს თანხლებით გაიგზავნება
თეატრში ან კინემატოგრაფში. მოზარდ ასაკში მყოფთათვის მეგო-
ბრების გაჩენა, ან მათი გადავიწყება უმტკივნეულოთ ხდება.

ისინი ძლიერ მალე ეწევიან ერთმანეთს, რადგან ხასიათების
სხვაობა, რაც არ უნდა ლრმა იყოს ის, ჯერ კიდევ განუმტკიცებელი
არინ, ირყვევიან და თოლათ ექცევიან ერთიმეორის გავლენაში.

ლადომ პირველათ ეტლთან შენიშნა დოფინა.

არ მოეწონა მისი თვალები, რომლებიც ოდნავ მქირდავი გა-
მომეტყველებით ათვალიერებდენ მას.

ლადომ მაშინ უხერხელათ იგრძნო თავი.

არ იკოდა სად წაელო ხელები, როგორ გაედგა ნაბიჯი.

ლადოს ისეთი გრძნობა გვარებოდა, თითქო მას აშიშვლებდენ.

ჩამოსელისას ეტლის კიბეს წამოჰკრა ფეხი.

ქურდულათ დოფინისკენ ააპარა თვალები.

ის კვლავინდებურათ განაგრძობდა ცქერას;

იმ წუთში ლადოს შესჯავრდა დოფინა, შეეშინდა მისი და
როცა პირველი შეხვედრის ტალღამ გაიარა, ლადო მიუახლოვდა
მას.

დოფინა ვერცხლის ფულებს ათამაშებს.

ლადომ ჰქითხა:

— რა გქვია?

დოფინამ შეხედა, დავარდნილ ფულის ასალებათ დაიხარა და
და სიცილით უპასუხა.

— ვერმიტანიძე;

ლადო გაჩუმდა, მანაც რომ ეხლა გაიცინოს და ხუმრობას
ხუმრობითვე უპასუხოს, დოფინას თვალში ბევრს მოიგებს;

მაგრამ ლადო უცებ მოტრიალდა, კიბეები აირბინა და რამ-
დენიმე წუთის შემდეგ ნახატებიანი, გადასაშალი წიგნი ჩამოიტანა.

— ჴა, მიჩუქნია;

დოფინა არ მოელოდა, საამისო არაფერი მიუძლვნია ლადო-
სთვის, მიხვდა რომ რაღაც აწყენინა და ამ წიგნის ჩუქებით, ლა-
დოს დოფინას მოლბობა, მისთან დალაპარაება უნდა.

ოდნავ შესამჩნევი სიბრალული დაიხატა დოფინას თვალებში.

წიგნი გამოართვა, გადაათვალიერა და ნაღვლიანათ სთქვა:

— კითხვა არ ვიცი;

ლადოს თვალები გაუბრწყინდა.

— მე გასწაელი;

— მართლა!

— მე არ ვიცი ტყუილი;

სრული სიდინჯით მიუგო ლადომ.

— ცურვა იცი?

— არა;

— მე ცურვას გასწაელი;

აიგნიდან მარინეს ძაბილი მოესმა.

ლადო დაფრთხა.

— მეძახიან, ხვალ მოდი...

პატარა მეგობრები ერთმანეთს გამოემშვილობენ.

გზაზე დოფინი შეკითხა დედას:

— სულ ისეთი მოღუშულია ლადო?

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თითონვე დაუმატა

— ლობიოს გავს.

კობიდან რუამდე გზატკეცილის გაუვანა, ბარნაბას ქალაქის-თავად არჩევამდე დაიწყეს. გზატკეცილი პირდაპირ მოემართება ქალაქიდან, ჭრის ყანებს და წყდება ბორანთან.

იმ გვემის მიხედვით, რომელიც ქალაქის კომისიამ აღგილობრივ გლეხობის წარმომადგენლებოან ერთად შეიმუშავა, გზატკეცილმა ბორანიდან—სოუელ რუამდე შუაზე უნდა გაჭრას ბარნაბას ვენახი. ვენახის გვერდის ახვევა არ შეიძლებოდა, რადგან თრთავე მხრით ხრიოკი ზეგნები იქრავს.

მათი ჩაოქცევა და გზატკეცილთან გათანაბრება იმდენ შრომას და ხარჯს ითხოვდა, რომ მისი გაღება კომისიამ ვერ იტვირთა.

გზატკეცილის გასაყვანი აღგილები დაგეგმეს და საჯარო ვაჭრობით გადასცეს ერთ ქალაქელ მოიჯარადრეს.

პირველ წელში რიგიანათ დაწყებული მეშაობა, მეორეში შესუსტდა; მესამე წელს გზა მოუკირწყლავათ მოიყვანეს ბორანამდე და შეაჩერენ.

მოუკირწყლავი გზა გაფუჭდა, წვიმების დროს ქბილებ ჩაცვინილ ბებერივით დაიწყო ტალახმა ჩიტჩიტი, გაიჩინა ხრამები და უხიფათო ნიმოსვლა შეიძლებელი გახდა.

გლეხების კანონიერი ჩივილი გუბერნატორის და ქალაქის შმართველობის კარების შიგნი ვერ შედიოდა.

ბარნაბა წელს ვენახში აშერიკული ჯიშის ვაზის გაშენებას ეპირება, როცა გაიგო რომ გზატკეცილი უნდა შეეჭრას ვენახში, გაცეცხლდა; მოიჯარადრე დაიბარა და გზის სხვა მხრივ გადაყვანის წინადადება მისცა.

რამდენიც არ უმტკიცა მოიჯარადრემ მეორე გზის უქონლობა ბარნაბა მაინც ვერ დააჯერა.

— მეშაობა შეაჩერე, საქმეებიდან მოეიცლი და მე თვითონ დაგათვალიერებ! უბრძანა ბარნაბამ.

მოიჯარადრეც სიხარულით დასთანხმდა, რადგან ბარნაბას ბრძანება მის საქმეს სრულიად არ ცვლიდა და არაეითარ ზიანს არ აყენებდა.

მუშაობა მას ისედაც დიდიხანია ქონდა შეწყვეტილი.

ბარნაბამ დღეს კველაფერი დაწვრილებით დაგთვალიერა.

მოიარა ვენახი, ზეგნების ფერდები და დარწმუნდა: ვენახის აოხრებისაგან დაცვა მხოლოდ გზის ბორანთან მოთავსებით არის შესაძლებელი.

მაგრამ რადგან ბორანიდან რუამდე გზა აუცილებლათ გაგრძელებულ უნდა იქნას, ამიტომ სახე მოელუშა და დიდათ ნაწყენი დარჩა.

როცა უკან გამობრუნდა, მისი ყურადღება მიიპყრო ერთმა მდგომარეობამ. ზეგნების შუა მოთავსებულია ბარნაბას ვენახი და სამის მხრით, ლერწებით შემოლობილი პატარა ეზო.

მეოთხე მხრიდან ეზოს ჩაუდის მდინარე. ნაპირზე დგას ქოხი. ეზო და ქოხი ეკუთვნის ზინობეს.

— ეს ქოხი რომ აიღო ჩემი ვენახი გადარჩება; გზა ზინობეს ნამოსახლარზე გაიარს, ეზოს გაჩეხავს და მერმე ზეგანიც დაბლდება, ადეილად ჩამოიქცევა და გასწორდება...

გაიფიქრა ამ აღმოჩენით გახარებულმა ბარნაბამ.

— დიდი ეინიანი ყაზახია, მაგრამ თავს დაუარ... სამოსახლო მიწაზე გადაუცვლი სადმე ეზოს, ან ფულს შევაძლევ, შევისყიდი მის კარ-მიდამოს; თითონ სადაც უნდა წავიდეს, ოლონდაც იქიდან კი აიყაროს—

და მთელი გზა თითოს ტარივით ტრიალებდენ ბარნაბას თავში ფიქრები ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლათ.

ბესოს რომ ცოტნოდა ბარნაბას ეს გადაწყვეტილება, მაშინ უკანასკნელის მართასადმი ყურადღება გასაოცარი არ იქნებოდა მისთვის.

ბესო მიხვდებოდა რომ ბარნაბამ ისროლა პირველი ანკესი.

სადღიო ეული

ჭინალამით

დიდი ქალაქი

ითენებდა

უძილო ღამეს:

სმოლნის დარბაზში

ბოლი იდგა

გათენებამდის.

საბჭომ მიიღო.
 „ახალ წესებს
 ვინც არ იშამებს
 უნდა ვებრძოლოთ
 უანასკნელ
 სისხლის წვეთამდის.“
 ზამთრის სასახლეს
 დამნაშავის ფერი
 დაედო
 ულტიმატუმი
 რომ მიიღო
 ჩუღნოვსკის ხელით
 მცველმა ქალებმა
 ძველ მთავრობის,
 როგორ გამედოს
 რევოლუციის
 წინ ალუდგეს
 ხალხის სახელით?!
 კრეისერიდან
 სასახლეშე
 ცეცხლი ვარდება,
 სასახლის კედლებს
 ტყვიებისგან ჭორფლი
 ამოდის
 ძველი ცახცახებს
 და ქალაქი
 ახალს ბარდება
 ქუჩებში ბოძებს
 აკვრენ დეკრეტს
 ახალ მთავრობის.
 ბევრი თვალებსაც
 არ უჯერის
 და შიშს ვერ უძლებს
 რომ თავმჯდომარე
 სახკომისამკოს
 არის ლენინი
 ბევრს ეს ამბავი
 გვრის ტანჯვას
 და სიცოცხლეს უქლებს,
 მილიონთ გულებს
 ამოავსებს
 სიამე-ლხინით...

გლეხები

ପିତାମହ କର୍ମସମ୍ପଦ 5 ରାଜସ୍ଥାନୀ

შამლების ყივილმა ამოიტანა მშე მთების გულზე და სოფელ
მიწილან ხეების გაწოლილი ჩრდილები წამოდგენ.

ტანმოსრილ ჯადარ ქვეშ, ლამე გათეული მგზავრი, დაეწაფა
წყაროს პეშვებით და ძილი მოიკლა.

ჯერ კაცის ხმა არ გამოსულიყო. გრძელ შარავზებს, შეა სო-
ფელზე რომ ელავნ, დადუმებულთ და გაფითრებულებს ბაწრები-
ვით შეეკრათ მიდამო.

მეგზავრმა შემოხედა, აილო ჯოხი და გაულგა გზას.

თენდებოდა ცა. ისლის ქოხები დაზარებით ახელდენ კარებს, — და მერე ნამით სოველ ეზოებში იშლებოდა სოფულელების ხმა და თვალი...

ლაფარეში გლეხის ქალი ფრინველებს ეძახის. მისი კარგი ხმა ფრინველებისვეა თითქო. ლოყაზე უთაბაშებს დაშლილი კულულა, შიშველი ფეხები ქრებში უწყვია და ქანტოლვით თეთრი ხელებით ჭიჭოთ აპურებს, — კალთაში სიმინდის გამოლევამდე ესაუბრება, ითვლის ხელმეორედ და უხარია რომ წუხელ ორც ერთი არ მოპარება, — ეს სულ მოელი ღამით მყეფარ „შარაია“-ს გამო, თუ არა, ეწოდებს ტურა-მელა და ურისის ბიჭებია შემოჩეველი.

შეკიდან ალაგეს ვილაცა მოადგა....

— ვინ უნდა იყოს, ამ იალონზე?

მოსულმა მანდილიდან ცხვირი გამოჰყოვთ

— მაინდელი!

— კინ ბძანდები...

— ეფროსინე, ერთი, სასხლავე მათხუე, — აბრეშუმი მაქ დასა-
პურიბლიო...

ქალმა უმაღვევი კალთა ჩამოუშევა, გულმკრდზე რატომლაც
ხელებში შემოიჭდო და წიკარისკუნ გამოეჩქარა.

სოფელი იღვიძებს შრომაზე ფიქრით. დგებიან გლეხები—

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

და ძილით დაპოხებულ ხმით აბამენ საჭრარს.

მერე სამუშაოდ დალოცვილ ყანებს მოედებიან. დადგება დილა—
და ასე მთელი დღე, არი სიმღერა, არი ძაბილი და არი ჯაფა.

სოფელში რა თქმა უნდა ცხოვრობენ სხვებიც.

მზის ამოსკლისთანავე გამოდიან ისინი ეზოებში,—საცვლების
ამარა, ახალუხებში საუცბათოდ ხელგაყრილები, გამოატანინებენ
ჭილოფებს და შემდეგ მზის ყოველ მაღლა წამოწევაზე,—ძეველ ად-
გილს ზარმაცი ბუტბუტით ინაცვლებენ, რომ ფართო ლანდი განუ-
შევიტლივ ეხუროთ ტანზე.

ასე გორაობენ ქოლგასავით გადმოშლილ ცაცხვ ქვეშ, ვიდრე
ხეს ჩრდილითვე არ შემოუვლიან და მზე არ ჩავა... .

ნაშუადლეობით, ყანებიდან დაბრუნებამდე, ხანდახან — ერთია
კიდევ სათემელი: შარაგზით თვალთმაქცი შაფათე ჩამოივლის და ეზო-
ეზო გააძამს ძახილს:

— საწერიმალო!.. საწერიმალო!..

სოფლის ქალები შეხვდებიან მას ხმაურობით.

პირველი ნაზილი, როგორუბიაც განეილულია სოფლის ცოცია-
ლური მდგომარეობა და კლასობრივი ბრძოლა.

1. ლარივით პირდაპირი გზატეცილი უეცრად უხვევდა,—და
თხრილისპირი ყოველთვის იყო ჩახრილული ურმებისაგან.

ამ ადგილს სოფლელები „კუნძს“ ეძახოდნენ; ეს იყო მაღალი
თხრილით და ეკლიან ღობით შემოკვალთული ეზო, რომელიც ექვთ-
ვნოდა აზნაურ ვამებიას.

რატომ ვე გისჭრეს ეგ მამული, რათ გადადგომია გზას ძველი
ოდა,—ეხლა, რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობს, თავის დროზე კი გლე-
ხები უმორჩილეს თხოვნებს სწერდენ, და მანეთიან მარკებსაც აკ-
რავდენ მაგრამ, ყველაფერი სადღაც უკვალოდ იძირებოდა...

მის მარცხნიერი: მამა ბართლომეს მაღალი სახლია, რომელიც
ქარის დროს აკანივით ირწევა ხოლმე.

შუაში: სოლივით შეკრილია ვიწრო ეზო, დაბალი ქოხით,—
წელგატეხილი და მოკუნტული. სოფელში ფიქრობენ, რომ ეს ყვე-
ლაფერი ბედის ბრალია... ბედი კი მეზობლების მოგონილია და
ორივ მხრიდან მოისწრაფებიან, რომ გადმოსთელონ ქალარა ქვრივი,
რომელსაც ასულდგმულებს თექვსმეტი წლის მწყემსი შვილი: ბარ-
ნაბა.

ამ ხანად, რომელსაც ქვემოდ ავწერ, მოსაყოლი ამბავი უკვე
დასრულებულია.

სოფლის ჩვეულებრივი დილაა და მზე მთაზე ვებერთელა ჭავჭავაძე, მენის ყვავილივით არი ამოსული.

აზნაურ ვამხეის ჯერ კიდევ სძინავს, საბან გადახდილი სქვეს ტახტზე რუმბივით და კარის ბიჭები მიმოდიან ოთახში ცერებზე.

ბარნაბამ ქართიდან ხვადაგი გამორევა და ვიგოს მიმართა:

— რავა დაგრეუსია ქაჯივით თვალები, ჩანთა მეიტანე!

— დედიას მუაქ.

— ძღაბო!

— !?

— გაგიჩდა ძღაბის ჭირი.

— ცუხო!

— ყვავიქა...

ბავში ბერლის ხეს ამოეფარა, კაბის სახელო თვალებზე მიიღო და მორთო ტირილი.

მეზობელს კი, აივანზე წვერს რომ ივაზუნის, ესმის ყველა-ფერი, თვალს ვერ არიდებს და გულში იგინება... უწინ აქედან ფეხის ბაკუნით ჩაუწყვეტდა ხმას ან სასაცილოთ აიგდებდა, შემთხვევით აივანზე ცოლიც თუ იყო.

ეხლა კი, არც მამა ბართლომეს და არც მის მეულლეს აღარ ეცინებათ... და სხვათაშორის მოსაყოლი ამბავიც ეგ არი...

2. იმ ზაფხულს საერთოდ გოლვიანი დღეები იღვა.

მიუხედავთ გამგელებული მუშაობდენ. ბარნაბაც.—მწყემსი იყო და მინდვრად იყო გასული.

შინ გარტოხელი დედა საქმობდა.

დასტრიალებდა ამ სიცხეში ეზო-გარემოს და რომ იტყვიან,— სული კბილით ეჭირა.

ეს კიდევ არაფერი...

ერთ შშვენიერ დღეს როცა გადმოთელილ ლობეს ასწორებდა, მოლლილ და გულ-მკერდ გაოფლიანებულს ზარივით შემოესმა:

— რაშობი!

შეკრთა, არავის მოელოდა, შუბლი შეიკრა და წარბებიდან შეხედა მოსულს... მის წინ ოჯახის მოსისხლე იდგა: ბართლომე. ზურგი შეაქცია და ისევ საქმეს მიჰყო ხელი.

ბართლომე კი უურში ჩასძახდა;— რომ ლობე მისია, და თუ შესწორება დასჭირდებოდა, თეითონვე გალობავდა, ეხლა კი მიწა მოუპარავს და გორა წინ წამოუწევია „კუდიან ქვრივს“ (ასე ეძახდა)— და ქალს მკლავებში ჩასჭიდა ხელი.

ქალი იძულებული გახდა გამოლაპარაკებოდა...

მართალია ლობე მღვდლის იყო, მაგრამ ვიღაცას გადმოეთვ-ლა (შესაძლოა განზრახ) და საქონელი გადმოდიოდა, წირნახულს ოხრებდა და მაშ რა ექნა... გორას კი, ლეთის წინაშე არ გადმო-სულა, პირიქით, იცოდა მტრის ავი გული და მისკენ დასწია...

ბართლომე შეედავა, ქალი შეებრძოლა, —და წალაპარაკდნ.

უცრად ხელი უშვა და ლობის მტვრევა დაიწყო წიხლებით.

— ჩემი ორი დღის ჭაპანწყვეტის წყალში ნუ მიყრი!.. — სტი-როდა ქერივი...

იგი კი ულვაშებში იცინოდა.

ქალი აკანკალდა. გამწარებულმა დაიქმინა მოკუმშული თითე-ბი და ერთი ნახტომით მივარდა მტერს... მაგრამ წინასწარ მოფიქ-რებული სარი ელოდა... და იგი შუბლ შელებილი თხრილში დაეცა იქ, სადაც ეყარენ ლობის წყნელები, როგორც შრომით დაღამებულ დღეების მოგონება...

მამა ბართლომე მალე გამოერკვა. მსხვერპლი მის ეზოში გად-მოითორია (ამას თავისი აზრი ჰქონდა) და გასისხლიანებული სარიც იქვე დადო.

მერე დამშვიდებით შემოავლო თვალი გარემოს, ქალის გულს დააყურადა, მიხვდა რომ ცოცხალი დარჩენილიყო და აუჩქარებლივ გზის გაუდგა. —

თითქო ჩადენილი დანაშაული წინასწარ ჰქონდა განზომილი..

3. ქოხში ბნელა. (ჭრაქის ალი ვერაფერს ანათებს, მარტო შეგიძლია გაარჩიო მისი თველება).

კერიასთან ჯრიკოზე ზის ბარნაბა და ჩაქრობილ ცეცხლს თვალგაბნეული მისჩერებია. აქვეა და, რომელიც გაფიცხებულ ლომს ნახალმი ყველით გემრიელათ მიირთმევს, და თან ცალი ხელით კვა-მლს იგერიებს, თვალებს რომ ეტანება.

ბარნაბას ფიქრით დამძიმებული თავი ხელებში უკავია, — აგონ-დება: სასამართლოს კარებთან რომ იდგა დედასთან ერთად, რო-მელსაც სახეზე სანთლისფერი ედო და ყოველი წამი ხელშესახებათ სრულდებოდა...

დიდი მოთმინების, დიდი მუდარის შემდეგ როგორც იქნა გაიღო კარები, მთელი დღე იმედებით რომ შექურებდა, და კერ გამოჩნდა: ვიღაცას მუცელი ყვითლად ჩაფოლაქებული, შემდეგ: ფე-ხები, და ბოლოს თავი: შუბლვიწრო, მელოტი, ერთ მუქა ბალ-ნით დახურული.

— ბარნაბა მეძინება, დევიძინო? ეკითხება უცებ და.

— დეიძინე.

უაზროდ მიუგებს და ისევ ფიქრები:

ეხლა ამ ადგილს არც სოფელია და არც ხე.

დგას მარტო თეთონ წერტილივით და გარშემო უსიცოცხლო რუხი მინდორია სულ. უყურებს ცას და ცა არ არი. დახედას მიწას და უეცრივ ფეხებთან უფსკრული ჩავარდება. მიწის ოთხვე კიდურიდან წამოვა ქარი... ბარნაბა წაჩიქილა და მუხლით მიწა ჩაუხრილავს... მაგრამ იზრდება, კუნთები უმაგრდება, და წამოდგება თუ არა,—ჩადგება ქარიც.

ბარნაბა ეხლა ოცი წლის არი და ულვაშები აქვს.

წელზე მამისული გრძელი ხანჯალი.

ღმერა. მინდორი კი ისევ სარკესავით არი განათებული და საიდანღაც ვებერთელა შავი ჯვარი ჩრდილივით დაეშვება... ჯვარი კი არა შავი კატა, ეხლა მისი ქავილიც ისმის, ბრჭყალები სისხლით აქვს შეფერილი და ახლოვდება.

იზრდება, სივდება და უცებ მის წინ: მამა ბართლომე.

ბარნაბა დგას როგორც საშინელება და ამბობს დინჯათ:

„—რათ დააშავე სასიკედილოთ მშრომელი ქალი. რისთვის გვიჩივლე. რათ ჩამოვეტერ ჩვენი მიწა!“ ბართლომე კანკალებს.

ბარნაბა ფიქრობს გაღუბადოს სამაგიერო და ხანჯალზე ხელი აქვს დადებული... ყურში კი ეწვეთება: „წყალი... წყალი...“

ეს ხომ ავადმყოფ დედის ხმაა.

მოულოდნელად გაახელს თვალებს, და წამოიჭრება.

უსწორო ნაბიჯებით მივა ურდულთან... კარი დაიკვნესებს.

1. გარეთ ღამეა და სიჩუმე.

სადღაც შორს, შეგვანებული ურემი-ღა მიუწიალებდა და ეხლა იგიც სასიმინდის ქვეშ შებუღრებულა.

მზე სულ ახალი ჩასულია და სოფელს სძინავს.

მხოლოდ ვენახში ვიღაც მიღი-მოდის და ფოთლების ხმელი შრიალი ურუანტელად ედება ვაზებს,—ეს გაიოზი იქნება უთუოდ.. მისთვის კი არა, რომ ქალაქელია, ან ამის დამწერს უნდოდეს მისი აქ ყოფნა... ყოველლამ ღობე-ღობე მთვარეულივით დაეხეტება და ეს მეზობლებსაც შენიშნული აქვთ.—ის არი. ვიღაცას ელოდება.

იცნობდეთ:

სემინარიელი, რომელიც სამი დღის წინად ჩამოვიდა „ქალაპარაზიტების ქიდან“ და ეხლა ლურჯად ამაღლებულ ჰაერს შესცეკრის, სტებება პოეზიით, მაშინ როდესაც მისი მეგობრები ორი წევრის ჯამის კვადრატს იზეპირებენ. თვითონ კი, როგორც სთქვა, სწავლა დასტოვრი სრულიად უბრალოდ:—ერთხელ ფეხსაღვილში ჩერნიშევსკის «Что делать» ფარულიად კითხულობდა, გარეს, დაიჭირეს, და უუნილში მის გვარს ხაზი გადაუსვეს.

დღეს, კარ გადარაზული, სოფლად მტრედებზე დანადირობს. იწვის სიყვარულის ჩაუქრობელ ცეცხლით და ამ წუთშიაც მასზე ფიქრობს:

დაძინებისას გადახურულ კიშეართან თამაშობდენ «კოდილობია»-ს, მან ხელი დაარტყა, დააკოდილა და მოჰკურცხლა!—იჯი დაედევნა, უნდა დაპყენტოს (ასეთია წესი თამაშობის) მირბის, მის-დევს... დაეწია თუ არა, ხელი მოუქნია და მოხდა მარცხი:—ქალი უეცრივ მოტრიალებულიყო, და ვაჟის თითები ამობურთულ ძუძუნე მოხვდა. რატომლაც ორივე მაშინვე გაყუჩდა. ორივე შედგა. შეხედეს ერთმანეთს და იგრძენეს შეყვარება... (ლამისთვის მშენიერი სიზმარი შზადლებოდა).

— ეხლა კი აღარ სჩანს.

ლობეზე გადახტა და შარას გახედა... გზის დასავალთან ვილაც გამოჩნდა.

გაიქცა და სიშორე შეამოკლა.

უცნობმაც გზა წყაროსკენ გადმოჭრა. დაუახლოვდენ.

იგი შეჩერდა და სიბნელეში იცვნეს ერთმანეთი.

— ბარნაბა!?

— გაიოზ!?

ბარნაბას თეალებში სისხლი აუვარდა, უმალვე ჩაფი მიწაზე დადგა, ხელები მოკუმშა და გამოექანა... გაიოზ იდგა შეურხეველად.

მართლა, დამავიწყდა, აღრე უნდა მეთქვა, იგი ხომ ბართლომეს შვილი იყო.

მართლი ნარი, როგორიც ვეიძლება გამოიხვევული იჩნას ან-
ტი-რეზიგიურ კომპანიის ჩასატარიზდეა

1. ბარნაბა მიწაზე გულალმა გაწოლილა, ხელები თავქვეშ შემოუწყებია და ცას შეპყურებს. ცა საკვირველად მოწმენდილია. მხო-

ლოდ ჩრდილოეთით თეთრი ლრუბლები შეგროვებულან. «ლმერთი ყალიბის თუ ეწეოდა გამთენისას.» იფიქრა ბარნაბამ და გაიღიმა... ლრუბლები ბართლაც დარგოლილიყვენ ბოლისნაირად.

უეცრად ყურის ახლო საოცარი სუნთქვა იგრძნო, შემოხედა:— ბებერი ნიშა დადგომოდა თავზე,—უაზროთ უმიზეზოთ გაყუჩებული.

— რა ხანია მოქსულვარ და გითვალთვალებ!..

მოესმა ზურგიდან.

— გაიოშ!..

— მელოდი?

.გაიოშ გამოეცალა მუხის ფესვებს...

— მამა, ხომ იცი, ვერ მოვიშორე, დამიჯდა მომიყვა ცისას და ბარისას.

— ცად ანგელოსებს მოაშენებდა, რა თქმა უნდა...

— მის ლაპარაკში, შენ რომ გაგახარებს, ისეთი რამ მოვი- ფიქრე...

და მეგობრებმა ერთმანეთს ფიქრები თუ გულის ნადები გაუზიარეს.

პირადათ ჩემთვის, უფრო სახალისო იქნებოდა ეგ უკანასკნე- ლი ლაპარაკი ამეწერა, მაგრამ, მკითხველებს ვიცი სურთ გაიგონ თუ როგორ დამეგობრდენ...

ასე იყო თუ ისე,—შერიგდენ. მის შემდეგ ამგვარი საუბარიც ჰქონდათ.

— გახსოვს?—შარშანდელი.

— მუშტებ მოლერილი, შურის საძიებლად რომ გამოექანე.

— მაგრამ შემაჩერე, და შებრძოლების ნაცვლად ერთმანეთს ძმობა შევფიცეთ.

— რომ ნამდევილ მტერზე მიგვეტანა იერიში...

ბართლაც რა ჰქონდათ საჩხუბარი.

შორიდან მოისმა ყრუ ძახილი.

— მეონი მეძახიან.

— დროც არი წახვიდე.

— ჭალაში შევხვდებით ერთმანეთს ნავახშმევს.

გაიცია.

ბარნაბა წამოდგა ლიმილით, სახრე გადუქნია ნიკორას, რომე- ლიც ყანაშ ჩააფიქრა, და გადაწყვიტა: «ხალხში უთქვაშს, ხელმწი- ფის ტახტი საკურთხეველივით ურჩველიაო და გაიგონ...»

სოუელზე დიდი შუადლე იდგა. საქონელი მდინარის პირას გაშლილიყო.

ბარნაბამ იქვე ხეების ჩრდილს შეაფარა თავი და უდარდელმა
თქვა ლექსი:

— წმინდა ილიავ ღვთისაო,
დოუძიგინე ძირსაო,
შემოგწირო ღვთიშვილი;—
გოუცენე თხრიშინი!

საქართველო
სახალხო კულტურის
მუზეუმი

2. — გაიოზმა შეამტკრია ეკლესიის ფანჯარა.

ხმაზე არავინ გამოჩენილა. უმალვე ორივე ეკლესიის შიგნივ
მოეჭცა.

მთვარის შუქზე ჟველაფერს დიდებულად არჩევდნ.

მონახეს ტრაპეზი და დიდი წვალებით წამოაქციეს, მერე დაუ-
კრეს დანებით წმინდანებს მუცლები და გამობრუნებას აპირებდენ
რომ კუთხეში ღვინით შუამდე გავსებული ბოთლი ნახეს...

— უთუოდ მამაშენს დარჩებოდა.

უცმაკა ბარნაბამ და პეტრე მოციქულს გადაასხა ღვინო წვერებზე

ფანჯარასთან მისული არ იყვენ, რომ დაბლიდან ჩურჩული
მოესმათ...

ელამად ოდნავ გადაიხარენ.— შეხედეს ერთმანეთს და გაეცინათ.

— დასწყივლის ღმერთი!

კიდელს ქალვაური მიყრდნობდა, და ერთ-მეორეს ეალერსებოდენ.

— ის ხომ ტასოა!

— მოლალატე. ტუჩზე ჩემი კოცნა არ აშრობია და ეხლა
სხვა ჰკოცნის:

გულამისკენილად თქვა გაიოზმა, და წუთის შემდეგ თავისი
ფიქრი გაუმშილა ბარნაბას.

მაშინვე მოიტანეს ხატი ფანჯარასთან, და უცებ მოხდა სასა-
კილო საშინელება: ღვთიშობელი დაეცა თავზე შეუცარებულებს,—
ლანდები გადახტენ და გაჰქრენ ლამეში.

3. მალალ ლომიდან გადმოხტა ვილაც და შარას გაუკიდა უსახო
ლანდივით.

მთვარე გაშოლილი თეთრ ლრუბლებში თან მიჰყებოდა.

გაიარა გზა, გადვიდა ხიდეს და ის იყო მარჯვნივ უნდა გაეხ-
ვია რომ შემოესმა:

— ვინ მოდის!

და თხილის ბუჩქებმა ლანდები გამოისხეს.

შეჩერდა.

— ვინ არის?!

წავიდა.

— შეჩერდი!

მაღალი ნახტომით მავალთან დაესო,—ჯერ ერთი უეპრად და მერე მეორე.

— სალაში!

— სალაში.

— სად მიეჩქარები?

— გაიგეთ?

— ?

— კინკებმა საყდარი აიკლეს!..

„კინკებმა“ უჩქმიტეს ერთმანეთს ფარულად,

— როგორ!

— მამაშენს მსურს შევატყობინო.

— ხომ არ გაგიერებულხარ!

— შენ დაგაბრალებენ.

— მიცნობენ რომ ვარ მორწმუნე!

— და მაინც...

— სოფელი უნდოა.

— სჯობს უკან გაბრუნდე.

დაშორდენ. ჩურჩულით ორლობეს გადაჰყენ.

და ახალგაზდა რომელმაც საყდართან ნერწყვი ვერ გადაყალაპა, დარჩა იდგილზე როგორც იდუმალი გაკვირვება კითხვის ნიშანით.

4. დილით ადრე დარეკეს ზარი,—და სოფელი შემოიკრიბა.

ეკლესიის მოფენილ კარებში იდგა ბართლომე გაფითრებული, და შეშინებული მნათე წმინდანობის დასამტკიცებლად მეასედ უამბობდა უწმინდეს სიცრუეს:

— მეძინა. უეპრად მომესმა ძახილი. შევხედე: მიხმობდა მიშელ-გაბრიელი. მიბრძანა. მიკეცევი უთქმელად ფეხდაფეხ...

ზოგმა სასოებით პირჯვარი გადიწერა. ზოგს კიდევ ულვა-შებში მორცხვად გაეცინა.

— ჭიშერამდე მისულს თავზე დაგვათენდა. გაქრა მოჩვენედა და გამომელვიძა. ვიფიქრე:

ეინახულებ დილამდე საყდარს. წამოვდექ. მოვედი. და ვნახე
რასაც ხედავთ...

სამიარი
სამიარი

ბართლომე აკანკალდა:

— ღმერთო დაგვიხსენი!

და მისი მშუხარება ხალხია გაინაშილა.

— ეკლესიაში ავი სული დაბუდებულა!

ამბობს მოხუცი.

— საყდარი უნდა განიწმინდოს...

ადასტურებს სხვა.

ლეთიშობლის ხატი მოიტანეს შუბლ გატეხილი...

იჩიქებს ბართლომე სასოებით, მისუსტებულ ლოცვით. უცებ
ლოყაზე დაუგორდება მღვრიე ცრემლი როგორც ვერცხლის წყალი
და წმინდა მამა, ქურდულ გამოხედვით დაზერავს ხალხის შთაბეჭ-
დილებას, მაგრამ,—ხალხი ჩაფიქრებულა და სიჩუმეა.

ბებერ მუხის ქვეშ ქალები შეკრეფილან—და საბრალოა ის
კაცი, რომელაც ავად შეაჩნიევენ. ერთი ლოყაზე ხელის მიდებით
თავს გადააწნევს, მოშლილ ტუჩებიდან ისროლის სიტყვას, (სიტყვა
პატარაა, ნეკის ოდენა) მერე მეორე რამეს ჩაუთქვამს. მესამე. და
სიტყვა სივდება, იზრდება და დედაკაცების მოკეცილ კალთებში გა-
დად-გადმოდის.

იქნება მას ვინმემ კუდიც გამოაბას. მაშინ ამ ცხოველს ჭორი ჰქვია.
ჯგუფს ტასო მიუახლოედა, ლოყა ახვეული.

— ძლაბო ვინ გიკბინა ლოყაზე?

— ეკალმა გამკაწრა გუშინ.

— სტყუი, გაიოზი გაკოცებდა.

— დიახ, მანამდე დაწვეს და არ ადგეს.

— იქნებ ძილში დაგემართა, ამბობენ წუხელ ჭინკები დადიო-
დენ სოფელში.

ტასო მოტრიალდა სირცხვილისფერი რომ ლაპარაკი ბანზე
იეგდო:

— წრეულს მოსავალს კარგი პირი უჩიანს.

დრო გადიოდა. ყაყანი მინელდა. ხალხი დაიშალა.

თოხები უცდიდენ მშრომელებს მოპირული. ყანები ბიბინებდენ
სამარგელი სამოროდო.

ჯგუფებს მიჰქონდათ შარაზე საუბარი:

— ჩვენში დარჩეს და, მღვდელი ცოდვილი გვყავს.

— ღმერთი სჯის უთუოდ.

ილარიონში მხრები აიჩეჩა:

— ვერაფერს გაარკვევ.

— მე კი აღარ მწამს თქვენი ჭინკები თუ ანგელოსებიდა რაც გინდა თქვით:

ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ და როცა დაინახა არავინ უწყება,—დაუმატა:

— არც ლმერთი! —ლმერთმანი.

ალაგეს ნახევრად გადასული გლეხი მეტის დაფიქრებით კეფას იფხანს, ახლად აბიბინებულ კოლინდარში შეამჩნია გროვა ჩონჩორიკის, —ბრაზობს — დარწმუნდა: უთუოდ ბართლომეს ჯორი იქნებოდა... და სრულიად მოულოდნელად ჩონჩორიკისგან აშენდა საყდარი... წარმოუდგა: დილით გაგონილი ამბავი... ყალიონი მოსწია ხარბათ, გაამოლა და გადააფურთხა. ნაფურთხმა დაპუარა ეკლესია. ნაფურთხში დაიხრიო ტაძარი... გლეხს გაეცინა და გულზე მოეშვა.

„ჭინკებმა“ გაატარეს მთელი დღე გლეხებში და შეკრიბეს, ხალხის შეხედულება.

— — —

ა. შუაცეცხლის გარშემო ისხდენ.

ქალები საქნარობდენ. ვაჟები გამოცანებს, მოსწრებულ სიტყვებს და ზღაპრებს ლაპარაკობდენ. ჰქონდათ სიცილი, სიხარული ზამთრის გრძელ ლამების გასათევად, — და კარდალაში „სირის კუდი“ იხარშებოდა...

მაქსიმაშ დაიწყო:

— იყო და არა იყო რა...

— შენს უკეთესი ვინ იქნებოდა!?

— იყო ერთი პირშავი მღვდელი და დიაკონი, რომელიც „მამაო ჩენონ“-ში დედას იგინებოდა.

ცხოვრობდენ ლვითის მაღლით; დიაკონი დიაკონობდა, მღვდელი მღვდლობდა, მაგრამ ყოველ დაძინებისას, სად იყო სად არა, — მოკუნქულდებოდა გარუჯული ჭინკა, გულზე მაცდურათ დაკუნცხდებოდა და სამჯერ ზედიზედ დააცხინკვებდა!..

ვილაცაშ დააცხინკვა... უმალ მიაძახეს:

— თხის კუდი!

გაეცინათ.

— შეშინებული ცოლს დაუძახებდა. ცოლიც ეშმაკურად ჩიაცინებდა, და ლოგინში სიამოვნებით შეუგორდებოდა...

— უი, მეისპე!

პელაგიამ პირზე ხელი მიაფარა, მაგრამ ისმოდა:

— ვნებით გადუშევდა აბურძეგნილ წვერებს და კოკობ ტუ-
ჩებს ანცად ჩაწუშნილა, შემდეგ ალერსით ეჩურჩულებოდა,—რომ მის
გულისთვის როგორ ჩაუყარა ლობიოში „სტრიხინა“ პირველ ქარს
და სული გააცხებინა...

— ეს ხომ ნამდვილია!

— ზღაპარიც ევ არი, აბა რა გვონია!..

სიტყვამ მოიტანა და უნდა ალვინიშნო რომ მეც ამ აზრის ვარ,
ოფელში დილით რომ გაგევლო (მე ვლაპარაკობ 1900—1904 წლ.)
საღამოს ზღაპარს მოგითხრობდენ, ან ანგელოსათ გარდაგვმნიდენ
და ან ეშმაკად.

— ის იყო უფალმა პირი დაიბანა და ცისარტყელით ხელებს
იშმრალებდა, რომ შეატყობინეს წმინდა მლუდლის ამბავი... გულმო-
სულმა საშინელი რისხევა ჰქნა და იგი დასწუევლა!

— შემდეგ საყდარში დაბრუნდა ჭინკები...

— და ერთხელ როდესაც ცხრაწვერა დიაკონს, საკურთხის
წალება ბედათ დაავიწყდა ჭინკები ჩაუჯდენ გულებში წმინდანებს.

და წმინდანები წამოიშალენ კედლებიდან, გაშალეს სუფრა და
გამართეს ქვიფი.

ბევრი სვეს, ბევრი იმხიარულეს, მოლოს გალეშილებს წმინდა
ნინოს გამო ჩხები მოუვიდათ და ერთმანეთს დაუჭრეს მუცლები
დანებით.

— ჩვენი ეკლესია!

— ჩვენი წმინდანები!

ფატიას ჩასძინებოდა, დაძახულ ძაფზე დაკიდული თითისტარი
დამრჩევალ კაციებით ქანაობდა მუცელ-გაბერილი,

მას გალიმებული თვალები შემოეხვარენ ირგვლივ...

ელპიტე წამოხტა „მოუსვენარი ტალლა“ ლიტრიდან მოისმა
წყლის სიცილი და ხერხემალზე დაკორდა ნაკადი, —ფატია შეკრთა...

— სირის კუდა!

ძილის გუდა.

მა სირის კუდაო.

მიუმღერეს ქალებმა.

გამოფხიზლებულ თვალებიდან გაღმოხტა სირცხვილი, ლოცვები
დაირჩინა და შეჩრია ყურებს... ყველამ ტუჩები გადირაზა. ფატიამ
თავთავეივით დახარა თავი.

მაქსიმა კი ლერლავდა მოშლილ წისქვილივით:

- როდესაც ლვთიშობელმა არავინ მიიკარა და მათ საქციელი დაუძრახა, გულმოსულებმა გარეთ გამოაგდეს...
- მღვდელს რა დაემართა?
- ჩაკეტა კარები და არავის იყარებს.
- ალარც ეყარებით...
- კარები გაილო.

ქარი შემოვარდა და ჭრაქი ჩააქრო. დაბნელდა. ფანრით შემოვიდა კილაც.

მიმართეს ხუმრობით:

- შენ ძმობილო, ზღაპართან ერთად სინათლეც ჩაგვიჯრე.
- მაგრამ მოველ უკუთხს ნათელით და სინამდვილით, — იცით მე ვინ ვარ?
- ვინცა ხარ...
- ვინკა... მე კარებიდან ვისმენდი თქვენ ზღაპარს, — ესლა კარგია მე გამიგონებდეთ...

და გალიმებულმა ყაბალახი მოიხსნა, — ეს იყო ბარნაბა...

რომლის დღევანდელ ცხოვრებას (1921-28 წ.) სჯობდა მოვკლოდი მაგრამ, მგონია, მოთხრობის შესაფერად შესრულებისათვის საჭირო იყო მისი კარგი ახალგაზრდობა გამეხსენებია თქვენთვის, რომელიც ავწერე 1924 წელს შემოდგომაზე.

(შემდეგი იქნება)

კალა ბობონები

პოემა ფილულ უორავით

თუნდ მყუდროება ნისლში ვაზვევდეს
იცი რომ სხვაგან ქარები ჰქონიან; —
მსურს თანამებრძოლს გაღმომძახებდე,
და შევხაროდე მაგ თვალთა ცეკვიალს. —

გაგიხალისდა სისხლი მხედრული
როცა ჩაიცვი ვაუის ხალათი
და უფრო მძაფრად გიფეთქავს გული
რაღვან არ გინდა შრომის ლალატი... .

წუთსაც უბრალოდ ველარ გააცდენ,
გაქვს ქარხანაში ნოხი საქსოვი.

და ყმაწვილური ტებილი განცდები
მძიმე შრომის დროს არ გსურს გახსოვდეს.

მშენებლობაში კარგი მუშა ხარ,
დიდი ბრძოლის დროს გმირიც იქნები:
შენ ამხანაგებს სწორ გზას უსახავ
ყოფა-ცხოვრების სხვაგვარ მიგნებით.

და თანამებრძოლს მსურს გადმომძახო,
როცა შევხარი მაგ თვალთა ცქრიალას,
ჩვენ გულით ისევ დავრჩებით ახლო
სანამ ბრძოლების ქარები ჰქონიან...

გუშაობა მხატვრული ლიტერატურის დარჩევი

ხაკ. კ. პ.(ბ) ა.-კ. ხაოლქო კომიტეტის ოქტომბრის პლენურის რე-
ზოლიუცია

1. უკანასკნელი რეპუბლიკანური და ამიერ-კავკასიის პარტ-
კრილობების დღიდან თვალსაჩინოდ გაიზარდა პარტიული ორგანი-
ზაციების ყურადღება მხატვრული ლიტერატურის დარგის მუშაობი-
საღმი. მაგრამ ეს ყურადღება ჯერ კიდევ არ შეეფერება იმ განსა-
კუთრებულ და დიდ მნიშვნელობას, რომელიც მხატვრულ ლიტერა-
ტურას აქვს ეულტურული მშენებლობის საერთო პროცესში.

პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციებისათვის ხელმძღვანე-
ლობის გაწევა ჯერ კიდევ სისტემად არ არის გადაქცეული. იგი
ხანდახან განისაზღვრება ზოგადი, ზერელუ დირექტივებით, ან, პი-
ოქით, წვრილმანი მხრუნველობის ხასიათს იღებს. ამ გარემოებას
კი სხენებულ ორგანიზაციებში მომუშავე პარტიის წევრების თაოს-
ნობა მინიმუმამდე დაჲყოს. თანამეზაერ ლიტერატურთა ჯგუფებზე
ზედმოქმედება ყოველთვის სათანადოდ და ჯეროვანი აქტივობით
ვერ ხორციელდება, გამოყენებული არ არის ყველა შესაძლებლობა,
რომელიც პარტიის განკარგულებაშია. საქმაო გარკვეულობითა და
გაბედულებით არ სწარმოებს ბრძოლა იმ მტრული იდეოლოგიის
წინააღმდეგ, რომელიც თავს იჩენს მხატვრული ლიტერატურის ფორ-
მებში.

ამავე დროს კი, მხატვრული ლიტერატურის საკითხებს უფრო
და უფრო მეტი მნიშვნელობა ეძღვევა, და, ამგვარად, ლიტერატუ-

2. საერთოდ კულტურული შენებლობის ხელმძღვანელობას და,
კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის ხელმძღვანელობას ამიერ-კავ-
კისის პირობებში ზედმეტი სირთულე და სიძნელე ერთვის. ეს,
პირველ ყოვლისა, იმ გარემოებით აისანება, რომ კულტურული მშე-
ნებლობა სწავლოებს წინად დაჩიგრულ ეროვნებათა რესპუბლიკებში,
სადაც ცარიზმი ეროვნებათა შორის შეულსა და მტრობას სთხედა
და ანგითარებდა, კოლონიზაციურული პოლიტიკით, შოვინიზმს ასა-
ზრდოებდა და აძლიერებდა.

კულტურის დარგში სწორი პარტიული ხაზის გატარების ზედ-
მეტ სირთულესა და სიძნელეს ის გარემოებაცა ჰქმნის, რომ ამიერ-
კავკისის ზოგიერთი რაიონების კულტურული დონე დაბალია საბ-
ჭოთა კავშირის მშრომელთა ძირითადი მასის კულტურულ დონესთან
შედარებით. ამიერ-კავკასიის მრავალერიანი ოჯახი შეიცავს ისეთ
ხალხებსაც, რომლებსაც თავისი ენა აქვთ, არ იციან სხვა ეროვნე-
ბათა ენები და ამავე დროს თავისი მრეწველობის ჩანასახიც კი არ
გააჩნიათ.

ამგვარად, ამ ხალხებს ჯერ კიდევ არა აქვთ ყველა საჭირო
წინასწარი პირობა ფართო კულტურული განვითარებისათვის.

ბოლოს, ზედმეტ სირთულესა და სიძნელეს ის გარემოებაცა
ჰქმნის, რომ ამიერ-კავკასია გლეხური ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ
ცოცხლად და საქმიანდ მყვიდრადაა შენახული წინა-კაპიტალისტური
ურთიერთობის ნაშთები, სადაც არსებობს ჯერ კიდევ ძალიან სუს-
ტი პროლეტარული კერძობი.

ამიერ-კავკასიის ამ სპეციფიურ პირობებში განსაკუთრებული
სიმწვავე და ამავე დროს განსაკუთრებული სიძნელე ეძლევა ლიტე-
რატურული ცხოვრების იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც პარტიუ-
ლი ხელმძღვანელობის ობიექტს შეადგენენ.

1925 წლის ივლისში გამოქვეყნებულმა საკავშირო კომპარტიის
(ბ) ც.-ის რეზოლუციიამ („პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვ-
რული ლიტერატურის დარგში“) ობიექტიურად შეაფასა ლიტერა-
ტურული ცხოვრების ძირითადი პროცესი და გამოარევია პარტიის
უმთავრესი ამოცანები ამ დარგის კულტურული მოღვაწეობის ხელ-
მძღვანელობის საქმეში. რეზოლუციის გამოქვეყნების დღიდან განვ-
ლილმა სამთა წელმა დაგვანახევა, რომ რეზოლუციაში აღმიაშენები
სწორედაა გადაწყვეტილი, რომ ამ რეზოლუციას დღესაც
არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ამას აღასტურებს თუნდაც ის გარე-

მოება, რომ კულტურული საკითხების გარშემო წარმოშობილი შემდგომი დოკუმენტები (პარტიათბირების რეზოლუციები თეატრის, კინოს და სხვათა შესახებ) იმავე პრინციპიალურ დებულებებს შეყრებოდნენ. მაგრამ კონკრეტული ლიტერატურული პირობების თვალსაზრისით (ლიტერატურის სხვადასხვა კლასობრივი ჯგუფების მდგრადრეობა, მათი ურთიერთობა) ეხლანდელი პერიოდი თვალსაზრიდ განსხვავდება 1925 წლის პერიოდისაგან; ამიტომც ც. კ.-ის რეზოლუციის სწორი გამოყენება მოითხოვს ამიერ-კავკასიის თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების რეალურ ანალიზს.

3. ლიტერატურული განვითარების ჩენდენციებს განსაზღვრავს, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ზოგადი მიმდინარეობა. რამდენიმე წლის ნაყოფიერმა სოციალისტურმა მშენებლობამ ამიერ-კავკასიაში თვისი გავლენა მოახდინა ამიერ-კავკასიის ლიტერატურის თვითეული კლასობრივი ჯგუფის მოღვაწეობაზე და ამ ჯგუფების ურთიერთობაზე, უკანასკნელ წლებში პროლეტარული ლიტერატურის ზრდა უდავოა.

ეს გარემოება აღნიშნეს ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების უკანასკნელმა ყრილობებმა. გაძლიერდა თანამგზავრების დიფერენციაციის პროცესი; მათი განსაზღვრული ნაწილი პროლეტარულ მსოფლმხედველობასთან დაახლოების სისტემატიურ მიღრეკილებას იჩინს. მეორე ნაწილი კი ან უკან რჩება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, ერთ ადგილს სტკეპნის, ან უშუალოდ და პირდაპირ გადადის კლასობრივი მტრის მხარეზე. ამავე დროს აქტუური გახდა იმ შეტარებაზე, რომლებიც მტრულ იდეოლოგიას გამოხატავენ.

ამ პროცესების შეფასების დროს უნდა ითქვას, რომ ლიტერატურული განვითარების ზოგადი შედეგი დადგებითად ხასიათდება.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მთავარი სიძნელელი უკვე გადალახულია. ამ სიძნელეებს მაშინ მოვიშორებთ, როდესაც პროლეტარული ლიტერატურა გაანალექს „ჰეგემონიის ისტორიულ უფლებას“. ასეთ მდგომარეობას პროლეტარულმა ლიტერატურამ ჯერ ვერ მიიღწია; მან ბრძოლისა და განვითარების ჯერ კიდევ დიდი გზა უნდა განვლოს, ვიდრე ხელმძღვანელ კლასობრივ ლიტერატურულ ჯგუფად გადაიქცეოდეს. ამიტომ პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა შეადგინდნენ თვით პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის სუსტი მხარეები, თანამგზავრი შეტარების დიფერენციაცია, ლიტერატურის მემარჯვენე ბურ-

უკანის ჯგუფის თვალსაჩინო აქტივიზაცია და სხვა ამისთანა ლიკიური
ტერიტორული მოვლენანი.

4. პროლეტარული ლიტერატურის განვითარებას ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თან სდევდა წარმოშობა სხვადასხვა „თეორიებისა“, რომებიც ამა თუ იმ სახით უარპყოფნენ პროლეტარული ლიტერატურის არსებობის შესაძლებლობას. არგუმენტებისა და დებულებათა გარეგანი სხვადასხვაობის მიუხედავად, ეს „თეორიები“, რომლებიც ბოლოსა და ბოლოს ემყარებოდნენ კულტურის ტრადიციების უარყოფას ლიტერატურის დარღვევი. ასეთი „თეორიები“ გაერცელებული იყნენ ამიერ-კავკასიაშიც. ექ ეს „თეორიები“ იმ მოსაზრებას ემყარებოდნენ, რომ გლეხური ქვეყნის პირობებში „ხალასი“. პროლეტარული ლიტერატურის არსებობა შეუძლებელაა, მისი წარმოშობა და განვითარება მოხერხდება მხოლოდ ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად და სხვა.

ეს არსებოთად, „კაპიტულიაციის“ თვალსაზრისია, იგი წარმოადგენს მარქსისტულ დემოულებათა კულტურიზაციას, იგიც ყებს ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, როგორიცაა პროლეტარიატის დიქტატურის არსებობა ამიერ-კავკასიაში. მუშათა რევოლუციონური მოძრაობის ტრადიციები; იგი ამიერ-კავკასიის კულტურული ცხოვრების საკითხებს არ კვეთს საბჭოთა კავშირის დანარჩენი რესპუბლიკების სათანადო პროცესების გარეშე. ასეთშა თვალსაზრისში მოძრების საჭიათ თვალსაჩინო რიცხვი გაიჩინა. ამიერ-კავკასიის პროლეტარული ლიტერატურის ბრძოლა თვალსაჩინოდ წარმოადგენდა ბრძოლას თავისებური ლიტერატურული ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სწარმოებდა თითქმის ბოლო დრომდე, პარტიული ორგანიზაციები კი საქმით არ აფასებდნენ მის მნიშვნელობასა და აზრს. არსებითად ეს ბრძოლა დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციების წინაშე მარც სდგას „კაპიტულიანტური“ შეხედულებათა მხილების ამოცანა ლიტერატურის დარღვევი, პროლეტარული ლიტერატურის არასაკმაო შეფასების ლიკვიდაციის ამოცანა. პარტიულმა ორგანიზაციებმა ბოლო უნდა მოულონ პარტიის წევრთა გულგრილობას და უყურადღებობას პროლეტარულ ლიტერატურისაღმი, განსაკუთრებით ისეთი წევრების გულგრილობას და უყურადღებობას, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობასთან (პერიოდული პრესის, გამომცემლობათა, მთავრიტების და განათლების სხვა ორგანოების მუშაკები)

5. ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაციის საქმაოდ სწრაფი ტექ-
ნის მიუხედავად, შშრომელთა ძირითადი პროლეტი. კიდრი ჯერ კი-
დევ საქმაოდ დიდი არ არის. ამ მანების გამო, აგრეთვე იმის გამო,
რომ, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებთან შე-
დარებით, ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის კულტურულ-დონე
დაბალია, ამიერ-კავკასიის პროლეტარული ლიტერატურა იზრდება
უმთავრესად გლეხობის, წერილბურუეუაზიული ინტელიგენციის ხარ-
ჯე. ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ პროლეტარული ლიტე-
რატურა წერილბურუეუაზიულ გარემოცვაში იმყოფება, თავის დალს
ასვამს პროლეტარული მწერლის მხატვრული აზროვნების თემატიკა-
სა და ხასიათს (ლექსიკონი, სახეები, სიუჟეტი და სხვ.), შესაძლე-
ბლად ხდის მაქსიმალურ გავლენის წერილბურუეუაზიულ და, პირველ
ყოვლისა, გლეხ-მკითხველზე. ამავე დროს იგივე გარემოება ასუსტებს
პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის სიმტკიცეს და ჰქმის
მასში სხვადასხვა ივადმყოფურ მოვლენას. წერილბურუეუაზიული იდე-
ოლოგია მოღუნებულის სულიერი განწყობილების სახით, ტენდენ-
ცია უიდეურობისადმი, ნაკიონალისტური რეციდივები და სხვა ამის-
თან მოვლენანი ხშირად იკვლევენ გზას პროლეტარული მწერლების
შემოქმედებაში, ზოგჯერ კი საფრთხეს უშნადებენ ამა თუ იმ პრო-
ლეტარული მწერლის (ჩვეულებრივ, ახალგაზრდის) შემდგომს შემო-
ქმედებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მედგარი ბრძოლა უნდა აწარმოონ
ამ გადახრათა წინააღმდევ და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ პროლე-
ტარულ ლიტერატურულ მოძრაობას, რათა მან მაქსიმალურიდ გაა-
ნალდოს „პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის“ ლო-
ზუნგი თვითურიტიკის შესახებ.

6. პროლეტარული ლიტერატურის ზრდა, რაც გამოიხატება, როგორც პროლეტარულ მწერალთა კადრების გადიდებაში, ისე მა-
თი შემოქმედების სოციალური და მხატვრული მნიშვნელობის ზრდა-
ში, ისეთი სისწრაფით არ მიმდინარეობს, როგორც ეს შეეფერება
შშრომელთა კულტურული მოთხოვნილებების ზრდას და მთელი სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების გართულებას.

პროლეტარულ მწერალთა პირველ სრულიად საკავშირო ყრი-
ლობამ აღნიშნა, რომ პროლეტარული მწერლები ამუშავებენ იმ თე-
მებს, რომლებსაც მეტი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს
ხდება იმდენად არა იმისთვის, რომ განმტკიცდა და გაიზარდა პრო-
ლეტარული ლიტერატურა, რამდენადაც იმიტომ, რომ ლიტერატუ-
რის საერთო დონე დაბალია და არ შეეფერება ჩვენი ეპოქის მოთ-

ხოვნილებებს. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ, სადაც პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებაში ლირიკა მეტად საჭიროებს ეპოსს (თუმცა უკანასკნელ დროს ამ მხრივ ერთ-გვარი გარდატეხა ჩაისახა). ეს გარემოება, რომ პროლეტარული ლიტერატურა თავის განვითარებაში ჯერ კიდევ ვერ ამუშავებს დიდი სოციალისტური მნიშვნელობის მქონე თემებს, რომ „დიდი ტილოები“, რომლებიც ასე ესაჭიროება ჩვენს ეპოქას, ჯერ კიდევ ვერ პოულობენ თავის ასტატებს. პროლეტარული ლიტერატურის გარდატეხა ამ მხრივ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული მწერალი ჩასწევდება საზოგადოებრივ ცხოვრების მთელ სიღრმეს და თუ ამავე დროს მას ექნება ერთგვარი პერსპექტივა ამ ცხოვრების დონეზე მაღლა აიწიოს თავისი შემოქმედებითი განზოგადოებით, ეს კი თავის მხრივ მოითხოვს მაღალ კულტურულ დონეს, დიდ პოლიტიკურ სკოლას, მნიშვნელოვან მარქსისტულ ცოდნას.

ერთ-ერთ დიდ საფრთხეს, რომელიც სდგას პროლეტარული ლიტერატურული მოძრაობის წინაშე, არის სწორედ პროლეტარული მწერლის დაბალი კულტურული დონე, მისი პოლიტიკური მომზადების სისუსტე, ზოგჯერ პირდაპირ დაუშვებელი სისუსტე. ცოდნის, გამოცდილების ნაცვლად პლოლეტარულ მწერლებში ხშირად ვხვდებით „აპლომბს“, „სითამამეს“, მოკლედ რომ ვთქვათ, იმას, რაც ლენინმა ამომწურავდ დაახასიათა, როგორც „კომუნიკანა“.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალური დაუნიენებით მოსთხოვონ პროლეტარულ მწერლებს ნამდვილი „მეცადინეობა“, ხოლო პროლეტარულ მწერალთა სრულიად საკავშირო ასოციაციის ეს ლოზუნგი გაგებული უნდა იქნას, როგორც ცოდნისა და გამოცდილების ყოველმხრივ გამდიდრება, გამსჭვალული დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდით.

7. პროლეტარული ლიტერატურული ორგანიზაციებისადმი უურადლების გაძლიერებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს წერილმანი ჩარევა მათ მუშაობაში. გადაწრით უნდა უქვეაგდოთ თავისებური „კომისარობა“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ესა თუ ის პარტიული ამხანავი (უფრო ხშირად პარტიული აპარატის სათანადო ნაწილის წარმომადგენელი) ამ ორგანიზაციების მიმართ ზოგჯერ აღგება წინდაუხედავი მბრძანებლობის გზას. ამის ნაცვლად საჭიროა ყოველმხრივ გაძლიერდეს კომუნისტური ფრაქციების მუშაობა, გადიდეს ლიტერატურაში მუდმივად მომუშავე პარტიის წევრების რიცხვი, რისთვისაც უნდა შერჩეულ იქნან მარქ-

სისტულად განათლებული ამხანაგები, და დაწესდეს სისტემატიური ხელმძღვანელობა მათი მუშაობის მიმართ სათანადო პარტიული კომიტეტის მხრივ.

8. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პროლეტარულმა მწერლებმა, რომლებიც გაერთიანდნენ მთლიან საოლქო ორ განიზაციად, დასაწყისი მისცეს ამიერ-კავკასიის ხალხების ორგანიული კავშირის შექმნას კულტურული განვითარების ხაზით.

ეს ფაქტი უნდა იქცეს პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგნად. ასეთივე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უურნალ „ნა რუბეე ვოსტოკა“-ს, რომელიც აერთიანებს და იყავშირებს ამიერ-კავკასიის პროლეტარული ლიტერატურის ნაკიონალურ ჩამებს, რეალურად აახლოვებს ამიერ-კავკასიის პროლეტარულ ლიტერატურას საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების პროლეტარულ ლიტერატურასა და მკითხველებთან.

ეროვნებათა შორის კულტურული კავშირის განმტკიცებისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას უურნალ „რეკოლიუცია ი კულტურა“-ს (აზერბაიჯანი) გამოცდილება. ეს უურნალი თურქულ ენაზე სთარგმნის ქართულ, სომხურ, რუსულ და სხვ. ლიტერატურას; საკიროა ამას მიბაძონ სხვა უურნალებმაც; წიგნების გამოცემელმა ორგანიზაციამ უნდა გაადიდონ თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობა.

9. თანამგზავრის დაპყრისტა, მისი თანდაონ გადაყეანა პროლეტარიატის პოზიციაზე წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ-პოლიტიკურ პრობლემას, რომელიც წამოყენებულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლუციიაში. მისი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ თანამგზავრ მწერალთა ჯგუფების იდეოლოგია მეტად სხვადასხვაგვარი და, რაც უმთავრესია მერყევია.

სწორედ ამიტომ საჭიროა, რომ ამა თუ იმ ლიტერატურული ჯგუფის კულტურული შეფასება და მისდამი დამოკიდებულება არ იყოს გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული. აյ პარტიულმა ორგანიზაციებმა ფხოზლად უნდა ადევნონ თვალყური ყოველსახვე იმას, რაც ხდება, და თავის დროზე გამოეხმაურონ მას.

პარტიული პოლიტიკის ერთ-ერთი განსაკუთრებით გავრცელებული შეცდომაა პოლიტიკური თანამგზავრობის და ლიტერატურული თანამგზავრობის ერთმანეთში არეგა, რაც აუცილებლად იწვევს ლიტერატურულ მოვლენათა ყალბ შეხედულებას. ამა თუ იმ მწერლის პოლიტიკური თანამგზავრობა, ე. ი. მის მიერ პროლეტარიატის დიქტატურის აქტიურად მიღება, ყოველთვის არ არის დაკავ-

შირებული ლიტერატურულ თანამგზავრობასთან, ისე როგორც ამა თუ იმ მწერლის კომუნისტურ პარტიაში ყოფნა ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ის პროლეტარული ლიტერატორია. იმისათვის, რომ ახეთი პოლიტიკური განწყობილების მწერალი გახდეს პროლეტარიატის ნამდვილ ლიტერატურულ თანამგზავრად, საჭიროა მისი პოლიტიკური შეხედულებების გადატანა მის შემოქმედებაში.

საჭიროა, რომ ამა თუ იმ მწერლის შეფასება უწინარეს ყოვლისა ეყმარებოდეს შემოქმედების ფაქტებს და ამის მიხედვით ისაზღვრებოდეს მასთან დამოკიდებულება.

10. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება სოციალისტური საზოგადოების მიმართულებით სკვლის იმ მოთხოვნილებებს, რომელებსაც უყვენებს პროლეტარული საზოგადოებრივობა თანამგზავრს. ეს განვითარება, იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს თანამგზავრი თავისი შემოქმედებით პროლეტარულ საზოგადოებრივობას, ან უკუაგდებს მას ლიტერატურულ თანამგზავრ ობის გზიდან, ან, პირიქით, კიდევ უფრო აახლოვებს პროლეტარიატის პოზიციას თან. სწორედ ეს გარეშეობა, მტრული გავლენის არსებობასთან ერთად, იწვევს თანამგზავრობის ფენებად დაყოფას: თანამგზავრთა ერთი ნაწილი კიდევ უფრო უახლოვდება პროლეტარიატს, ხოლო მეორე ნაწილი გადადის ბურჟუაზიული ლიტერატურის მხარეზე. უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიის ლიტერატურაში ადგილი ჰქონდა როგორც პირველ, ისე მეორე მოვლენას.

ეს პროცესი ყოველთვის არ მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, რომ თანამგზავრის შესანარჩუნებლად საქმიო ინტენსიური ბრძოლა ყოფილიყო წარმოებული, რის გამოც თანამგზავრთა ლიტერატურამ დაპკარგა ისეთი მწერლები, რომლებიც სხვა პირობებში შეიძლება არ დასდგომოდნენ რეაქციონური ლიტერატურული შემოქმედების გზას. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა—გააძლიერონ ბრძოლა თანამგზავრობისათვის, გააძლიერონ თავიანთი საზოგადოებრივი ზეგავლენა თანამგზავრზე.

12. პროლეტარული რევოლუციის მიერ განადგურებული ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკური ბრძოლის აგრესიულმა ფორმამ სრული მარცხი განიცადა ამიერ-კავკასიაში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კონტრ-რევოლუციონური ძალების ბრძოლა საბჭოთა ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ უკვე დამთავრებულია. ეს ბრძოლა ვრცელდება, მხოლოდ ნაკლები აეტიომით და იხალ ფორმებში. ერთ-ერთი ასეთი ახალი ფორმაა ბრძოლა კულტურის მეშვეობით მის იდეოლოგიურ სფეროში. ეს უცხო მის-

წრაფებანი, რომელნიც უერთდებიან ამიერ-კავკასიაში ნაწილობრივ გაძლიერებულ ბურეუაზიას, აქტივობას უნერგავენ მტრულ ლიტერატურას, რომელიც სცდილობს გამოიყენოს უველა მცირეოდენი შემთხვევა თავის წამოსაყოფად. ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, მისდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან, უნდა გადაიქცეს პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად. ამისათვის საჭიროა, რომ პროლეტარულ სახელმწიფოს ორგანოებმა, რომლებიც უმუალოდ აწარმოებენ ამ ბრძოლას, გამოიჩინონ მაქსიმალური ენერგია და სიფხიზლე. პარტიორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა — გააძლიერონ მთავლიობების და სხვა ასეთი ორგანიზაციების პირადი შემაღებულობა, შექმნან მათ ისეთი პირობები, რომ ისინი „ჩამწერ“ ორგანოებიდან გადაიქცენ ლუტერატურის ნამდვილ „სანაპირო დაცველ რაზმად“, რომელიც დაიცავს საბჭოთა სახელმწიფოს მტრული იდეოლოგიის შემოპარვისგან.

12. ზემოთ დასახულ ამოცანებს შეეფერებიან ის მოთხოვნილებანი, რომელნიც პარტიაშ უნდა წაუყენოს კრიტიკას. კრიტიკა უმნიშვნელოვანების გზაა პარტიული პოლიტიკის გასატარებლად მხატვრულ ლიტერატურის დარგში, მაგრამ ლიტერატურულ-მხატვრულ სინამდევილეში მას ჯერ კიდევ არ უჭირავს ის ადგილი, რომელიც სამართლიანად უნდა ეკუთვნოდეს მას. მცირე გამონაკლისების გარდა, ჩვენი პერიოდული პრესის მხატვრული კრიტიკა ზერელეა, ის იქცევა „პოლიტიკურ ლაყბობად“, ჩამორჩება ლიტერატურის განვითარებას, ხდება ისიც, — თუმცა იშვიათად, — რომ „კრიტიკის“ სახით გვაპარებენ პროლეტარულ იდეოლოგიისათვის მტრულ იდეებს და, ბოლოს, ისიც ხდება, რომ კრიტიკის იარაღს იყენებენ პირადი ანგარიშების გასასწორებლად და ჯვაფური ბრძოლისათვის, რომელიც არაეთმოთარი პრინციპიალური მოტივებით არ არის გამართლებული. ლიტერატურული შეშაობის ამ დარგის განმტკიცება წარმოადგენს პარტიორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

13. ლიტერატურის განვითარებაშე დიდი გავლენა აქვს შეითხველს. ამიტომ მუშაობა მკითხველთა შორის, რომელნიც უმთავრესად მშრომლებისაგან შესდგებიან. მათი ორგანიზაციული დარბმევა, შეიძლება გადაიქცეს პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთ ძირითად ფორმად. მწერალთა, საგამომცემლო-პოლიტიკურ-საგანმანათლებლო თრგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ მკითხველთა მოთხოვნილებების შესწავლა, მათი სისტემატიურად განვითარება იმ მიმართულებით, რომელიც შეეფერება მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების სიციალისტურად გარდაქანს.

ამ მუშაობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პერიოდულ პრესსას.

ბენითო პუაჩიძე.

მემარჯვენი საშიშროება ლიტერატურაში

უკანასკნელი წლის განმავლობაში, ქართულ ლიტერატურაში გარეულად გაძლიერდა მემარჯვენი ტენდენციები. ლიტერატურული ცხოვრება შედარებით მოდუნდა. შესამჩნევია კრიზისი, რომლის შიზეზები უშეალოდ ლიტერატურული ფენების სოციალურ რაობაშია ჩამარხული. კონფლიქტი რევოლუციონურ თანადროულობასთან, რომელიც მწვავე იყო რევოლუციის პირველ წლებში და ამ რამდენიმე წლის განმავლობაში კი ცოტათ თუ ბევრად განელდა, ეხლა კვლავ მწვავდება.

დაბრკოლება-შეფერხებანი რასაც აქვს ადგილი სოციალისტურ აღმშენებლობაში, ახალ ბურჟუაზიულ ელემენტთა ზრდა ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ კულაკების ზრდა,— ყოველივე ეს ლიტერატურულ ცხოვრებაში პოულობს თავის პირდაპირ გამოხატულებას.

პარტიი და მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობა მედგარ ბრძოლის აწარმოებს ყოველი სახის მემარჯვენე საშიშრობის წინააღმდეგ როგორც თავის რიგებში, ისე მის გარეთაც. ამდაგვარადე აუცილებელია სასტიკი და ულმობელი ბრძოლის წარმოება მემარჯვენე საშიშროების წინააღმდეგ მხატვრულ ლიტერატურაში.

ის გარემოება, რომ ლიტერატურა ამ ბოლო ხანებში კერ იძლევა ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან მხატვრულ ფაქტებს, მოსახუებელი „ნეიტრალობისაკენ“—იხრება და ჰკარგავს საზოგადოებრივ სოციალურ მნიშვნელობას,— არის რევოლუციონური თანამედროვობისაგან ჩამოშორების ერთ ერთი გამოხატულება. კერძოთ ქართული ლიტერატურისათვის არა მხოლოდ აქტუალობის დაკარგვა, არამედ მრავალმნიშვნელოვანი დუმილიც—კლასობრივი ბრძოლის იარაღი იყო. ცნობილი, თუმც უმნიშვნელო ფენა, ამ უმაღაც ბრძოლის ამ მეთოდს მიმართავს. წვრილ ბურჟუაზიულ ფენების, მესამობისა და ანტიპროლეტარულ ელემენტების ზრდასთან ერთად, ძლიერდება მიღრეკილება, მათ შესაფერდ ლიტერატურულ რაზებში, ასწოონ თავისი ხვედრითი წონა და აქტივობა. საკუთარი უფლებებისა და უულტურულ ცხოვრებაში თავისი ადგილისათვის ბრძოლა სკილდება „სიწყნარე მორიდებულობის“ ფარგლებს, და მას მძაფრი ხასიათი ეძლევა.

უკანასკნელ წლის განმავლობაში ზოგიერთი ფენები, მწერლების იმ ნაწილიდან – რომელთაც რევოლიციის მიმართულებით გადამუშავების ცდები ემჩნეოდათ, ე. წ. თანამგზავრები, გარკვევით მარჯვნივ გადაიხარენ.

ლიტერატურაში კლასობრივი პირობის მიზანალვის ფინანსურა.

მხატვრულ ლიტერატურაში, თანდათანობით გაძლიერებულ მემარჯვენე ტენდენციებს, თავის დასაფარავად სხვადა სხვა ფერის სამოსელი აქვს. კლასობრივ იდეებსა და მისწრაფებებს აპოლიტიკურობისა და ნეატროლობის ფარი აქვს გადაფარებული. ზოგიერთები პრინციპად აქცივენ ლიტერატურის „უვნებლობის“ იდეას. აღსანიშნავია ის რომ ჩხრეკენ რაღაც წარსულ „რევოლუციონურ დამსახურებას“, რითაც სურთ გამარტოლონ რესტავრაცია წარსულის სულიერ განწყობილებათა, რომლებიც ახლაც იძლევენ საზრდოს ლიტერატურას.

ერთ-ერთი ქართველი მწერალი 6. მიწიშვილი (1927 წ.), აღნიშნავდა რა ლიტერატურისა და თანადროულობის დაპირისისებას, ლიტერატურა მიაჩნდა ავათმყოფად, უკვე გამოუსადეგად და შემდეგს სწერდა:

ეს ფიცე ავათმყოფობა უნდა იყოს, რომელიც იძყრობს, მაგალითად, — გადარებ პირობით-ძეველ ტერორისტს, რევოლუციის გამარჯვებამდე რომ თავდაცემულებით ებრძოდა თვითმპრობელობას, ხოლო რევოლუციის გამარჯვებისა და თვითმპრობელობის დაცვის შემდეგ, მან არ იყოს რა წისა, რა გააკეთოს, მისი ხელობა ენდა ზედმეტი ბეჭება და იყი შეპურობილია რაღაც გამოუკრინი სუვერითად.

ჩევნ ვხედავთ ამ „სევდას“ ქართულ მწერლობაში.

რამდენადაც შესაძლებელია, ჩევნ უნდა დაგხვივთ ასეთი „სევდა“ განსაკუთრებით, როცა იგი შევნებულად არა მიმართული რევოლუციის წინააღმდეგ, და თუ ასეთი „სევდა“ დას დაუშებელია მაზრი „მაგრი“ უნდა წავიდგის, მაგრამ ჩევმის ფიქრით, მის „დარჩენას“ მეტი აპრი აქვს, კიდორ „წასვლას“: წასვლა ასეთი იქნებოდა ძველი ლიტერატურის ნადრევი ლაიკიდაცა, და რამდენადაც აპალი დროის ლიტერატურა მშობლობ შესაძლებლობაში მხოლოდ პიტურიაში, მშექნად უნდა და მოვლა ამ ძველი ლიტერატურის საინტერესო უნდა იყოს თვით იმ ხელოვნებისათვის, რომელიც წარმოშეარგოლუციის შანაში და რომლის მიზანიცაა გაძდეს მოვაგალში ქართული რელიგიების კველა დარგების გეგმინად“.

აი უვნებელი „სევდა“ ლიტერატურისა, რომელიც უნდა „შეიბრალოთ“, აი კეთილშობილი „მაგრი“, რომელიც არ უნდა წავიდეს. აი როგორი არწივია „სევდა ტერორისტი“, თვითმპრობელობის გორელის დამშესწერევი, თავგამოდებული მებრძოლი ახლა კი „დასე-

ვდიანებული“ ბულბული. სევდიანი მტრედის „შენახვა და მოვლა“, — აი, თურმე რა უნდა იყოს ახალი ლიტერატურის, თანადროულობის ლოზუნგი. არაფერია, რომ „სევდიანი მტრედი“, ე. ი. ძველი ლიტერატურა უქმაყოფილო რევოლუციით, თანადროულობით, რომ ის შეკავებული ლრენით რისხვას აფრქვევს ახალს, ამხედრებულია იმის გამო, რომ მის „შთაგონებას“ „ახალგაზრდობას“ მომწმოდების საშუალება არ მისცეს.. მერე რა ვუყოთ. დევ „სევდიანმა“ ტერორისტმა ობივატე ლური უფერული ნაჯღობით ააქსოს ჩვენი სქელი უურნალების ფურცლები, დევ მან აავსოს ბაზარი ჩვენს გამომცემლობათა მეოხებით, დევ სთასოს ნაციონალიზმი „არალეგარულად“, „ავათმყოფი მოვარის“ შესახებ წერით, დევ ჩაიხჩოს ისტორიზმის, მისტიკის და პორნოგრაფიის დაობებულ ჭაობში; „მშვენიერი“ წარსულის შესახებ დაღვრილ ცრემლებში. ეს თურმე მაინც „საინტერესოა“; ამისათვის ეს ლიტერატურა, ასეთ სულიერ განწყობილებათა მქონე, უნდა „შევინახოთ“ და „მოუაროთ“ მას.

ჩვენ კი სულ წინააღმდეგი აზრის ვართ.

უქმილო ნაციონალიზმა ფიტულები გააკეთა და ბრძოლის იმპროვიზაციას მიჰყო ხელი, ნამდვილად კი ამაგრებდა და ამაგრებს გადაშენების გზაზე დამდგარ თავად აზნაურობის,—ბურეუაზიის და კულაკობის ფესვებს.

ჩვენ, ჩვენს პირდაპირ მოვალეობად მიგვაჩნია შეუტით არა შხოლოდ ამ ლიტერატურას, რეაქციონური სულისკვეთების მქონეს და მის კლასობრივ, „სევდას“, რომელსაც ხან შემპარავითი ხაერდი-სებური ერთფრი, ხან კი მეტრითოლი პესიმიზმი ახასიათებს, არამედ მის „მოტრფიალეთა“ წინააღმდეგაც, უნდა მიგმართოთ იარაღს. სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ ლიტერატურაში კლასობრივი ბრძოლის მიწქმალების ყოველგვარ ტენდენციებს..

მოსაჩვენებელი დეკლასიურობა უცუდესი შემგუებლობის ერთ ერთი ფორმაა. ქართული ლიტერატურის კონკრეტი მასალა დაგვანახებს ამ დებულებათა სისწორეს. დაუკაირდეთ თუ რაზე „სევდიანობას“ ეს „საინტერესო“ ძველი ლიტერატურა.

დეკლასიურობა და საშობლო ჩვეულებები

ამ ბ. მიხ. კახიანმა საქართველოს ცეკას კ. პ. (ბ) ივნისის 1928 წ. პლენუმზე აღნიშნა რომ:

„ახლა ემჩნევა შოენიშმის ერთგვარი ზრდა ქალაქის ინტელიგენციაში და სოფლის კულაკობაში. რაც გამოხატულებას მოულობს მს. ტერულ და ეკონომიკური ხასიათის ლიტერატურაში. უკანასკნელი დრო ხასიათდება —

ნაციონალისტურ ტექნიკურის მქონე სხვა და სხვა ლიტერატურაზე დაჭ-
გულებათა გამოსვლით.“

ნაციონალიზმს თანადროული მწერლები უფრო მოხერხებულად
გვაწვდიან თუ რევოლუციის პირველ წლებში „ტრაპიზონის ქართულ
ვარნიზონებზე“ ოცნებობდენ და ხმამალა დასტიროდნენ მშობლუ-
რი „კოშკს“, რომელიც მათი აზრით ინგრეოდა, ახლა ხშირად ცდი-
ლობდნ არსებითად იგივე სულის კვეთებანი გარეგნულად საბჭოთა კა-
ლაპოტს შეუგულნ. ამგვარი შემგუებლობის ერთ ერთ მეთოდს წარ-
მოადგენს მოწინავე წერილები და დეკლარაციები, რომლებსაც მოჰ-
ყება მხატვრული პრაქტიკა, რომელიც არც ერთის მხრით არ შეე-
საბამება, დეკლარაციაში გამოთქმულ აზრებს. უკიდურეს შემთხვევა-
ში უფრო მეტი სერიოზული სახის მისაცემად „ახალსაც“ მიუზღავენ
თავის ხარქს-სააფთიაქო დოქტებით; ამი თუ იმ მხატვრულ ნაწარმო-
ებში ჩაჩინორულ საზოგადო რევოლუციონური სიტყვების სახით. ამ-
გვარი „სმენოვეხოვერი“ ნაციონალიზმი (ეს ითქმის არა ნაციონა-
ლისტური იერის კველა სხვა ანტირევოლიტუციონურ სულისკვეთ-
ებათა შესახებაც) რომელიც ცდილობდა მოქმედია მშვიდად
არსებობის უფლება, ამ ბოლო ხანებში უფრო მეტ გულაბდილობას
იჩენს. ამგვარი მოვლენის დამამტკიცებელი უაქტია „ტრიფიონის“*)
ჯგუფის გამოსვლა, რასაც ემყარებოდა ამს. მიხ. კაბიანი, როდესაც
აღნიშნა ნაციონალისტურ სულისკვეთებათა ზრდა, რაც ხშირად
„მხეცურ შოგინიზმამდე“ მიდის.

ურნალმა „ქართული მწერლობა“-ზ (ქართული მწერალთა კავ-
შირის, ამ ფაქტ კი საჭ. საბჭოთა მწერლობის ფეილერაციის ორ-
გან) მუშაობის დასაწყისში, თავის პროგრამაში მიზნად დაისახა
„სამშობლოსა და კაცობრიობის“ სამსახური. ეს „დიდი“ და „მაღა-
ლი“ მიზნები, დეკლასიურ უსაზღვროების მქონე, ბოლოს ძალიან
პატარა და რეალურ საქმეებამდე დავიდა, რაც გამოიხატა „მრა-
ვალტანჯული სამშობლოს“, სოციალურ გარეწრებისადმი „სამსახუ-
რის გაწევაში“; რევოლიუციის მიერ დაჩაგრული ფენების ბოლმის
გამომეულავნებაში, დაცემულობაში, უფერულ ლირიკაში (როგორც
ლექსის, ისე პროზის სახით) და არქაულ, იმ-ქვეყნიურ სულიერ გან-
წყობილების გაღმოლევრაში. მწერლების საგრძნობი ნაწილი ჯერ კი-
დევ არ განთავისუფლებულა დიდათ, ამ სულიერ განწყობილებათა-
ვან. „სამშობლო და კაცობრიობა“ ჯერ კიდევ ბევრისთვის წარ-
მოადგენს მზის მანათობელ „კანდელს“, რაც კონკრეტიულად ნა-
ციონალისტურ შემოზღუდვილობამდე მიდის. ცნება „კაცობრი-

*) „ტრიფიონის“ შესაბებ იხ. ქვემოთ. ბ. ბ.

ობა“ იხატება ქრისტიანული პირმოთნეობით „ინტელიგენტშინით“, მუნდოვანებით. „სამშობლოს“ კი ხანდახან ისინი გონების არეალი გამდე და მხატვრულ სიბეჭდები მიჰყავს, თუ ერთი ქართველი მწერალი „სამშობლოს“ გულისოფერის მწერალთა უკანასკნელ ყრილობაზე (1928 წლის, ოქტომბრი) დაქინებით ამტკაცებდა, რომ ნაციონალური იდეა არის ის მარადიული იდეა, რომელიც აკავშირებს ლიტერატურას მასასთან, მეორე მწერალმა მხატვრულ პრაქტიკაში შეასხა ხორცი ამ იდეის, რომლის გამო ბანდიტიზმის იდეალიზაციას იძლევა.

ამასწინად, უურნალ „ქართულ მწერლობა“-ს ერთ-ერთი ნომერი (1928 წლის მარტი) იწყებოდა კონსტ. გამსახურდიას მოთხოვნით „ჯ ა მ უ“. მწერალი უსაზღვრო სითბოთი და სიმპატიით აკვიტერს ბანდიტს, ის არ იშურებს არაეითარ სალებაებს, თავის გმირს, ბუმბერაზულ ძალას, „კეთილშობილებას“ და კველა დადებით თვისებას აკუთვნებს, რაც სრულიადაც არა აქეს მკვლელს, რეციდივისტს და ყაჩალს. ავტორი ყოველგვარ ლონისძიებას მიმართავს, რომ მკითხველს შთაუნერვოს ბანდიტისადმი სიყვარული და უსაზღვრო ნორბა.

ლოკონიურად მოგვითხრობს ბანდიტი თავის ბიოგრაფიის ეპიზოდებს; ლოკონიურადვე ახსნილი ყაჩალობის მიზეზები: „გაკირვებამ მაიძულა ხელი ამელო სამშობლოზე და სინილისზე“. ამ ვარდისფერ სალებავებს მწერალი არ იშურებს იმიტომ, რომ ეს გმირი „მშველის თვალებიანი ყაჩალი“ ქართველი იყო და მის საულეურზე ამოქარეული იყო ქართული ასოებით „ჯამუ“ (ბანდიტის სახელო).

რომ ეს გარემოება არ ყოფილიყო გამსახურდია, ალბად ასეთი გატაცებით არ დასწერდა ნოველას უცნობი ბანდიტის შესახებ. ის შესაძლოა მოაკლებდა საბჭოთა მკითხველს ბანდიტიზმისადმი სიმპატიის თვაზე მოხვევის „სიამოვნებას“, ბანდიტებისადმი, რომლებიც ბოროტების, მანებლობის განსახიერებას წარმოადგენნ და რომლებსაც ვებრძვით არა მხოლოდ სისხლის სამართლის მილიციის მეოხებით, არამედ საზოგადოებრივი გაეიცხის გზითაც.

მაგრამ, მწერალს აღელვებს დაჭრილი ბანდიტი, ვინაიდან -გულნალვლიანი ვხედავდი, თუ როგორ ერთოდა სიკვდილი ჩემი რასსის ქედმაღლობას“ (კ. გამსახურდია), აი კონკრეტი განხორციელება „სამშობლოსი“, რომლის რასიულ ქედ-მაღლობათ სოფლის მწერალი თვით ბანდიტიზმსაც კი. სოციალური სარჩული ამ უკაცო-

ბრიონბისადმი" სიყვარულის ამ რასიული „ქედმალლობის", რომელიც ბანდიტიშვილი გამოიხატება — საფხებით ნათელია.

გადაშენებული თავად-ანძაურობის უკანასკნელი მოგიკვნები და დაბნეული ბურუები სწერენ სამწუხარო ეპოქის უკანასკნელ ფურულებს. იფერფლება „რასიული ქედმალლობა" — ხანჯლებით, იდიოტური „გმირობით". „სამშობლოს" სულელური პოზიტობით და ბეკი შემოფარგლულობით. მაგრამ, რა შეაშია საბჭოთა მკითხველი? რად აწოდებენ მას ამ შხამს მხატვრული ლატერატურის როულ ფორმებით?

გარდა იმისა, რომ ასეთი ლიტერატურა აქმაყოფილებს სათანადო ფენებს და მათ სოციალურ შეკვეთას წარმოადგენს, ხომ არის იმის საშიშროებაც, რომ იგი ცოტად თუ ბევრად დაიბურობს ახალი მკითხველის განსაზღვრულ ნაწილს, თუ კი მისი საწინააღმდეგო წამილი არ გამოინახა თავის დროზე.

ისტორიუმი, მისტიკა, პოლიტიკაუზია, განუჩრევლობა და სხვ.

უკანასკნელი ხანის ლიტერატურის ერთ-ერთი არსებითი მხარეა არა მისი აქტუალობა, არამედ განურჩევლობა, დროისა და სივრცის გარეშე მდგომი ადამიანების ფსიქოლოგიის გამოსახვა, ლიტერატურაში განსაკუთრებით კი მის ერთ-ერთ სახეობაში,—პოეზიაში — ყოველგვარი საზღვარი მოისპო აწყოსა და წარსულს შორის. ძალიან ბევრი, ახლანდელი ნაწარმოები შეიძლებოდა დაწერილიყო, რომელ დროშიც გნებავთ, მხოლოდ ახლა კი არა.

ეს სექტორი უფრო მეტად აქმაყოფილებს მესხანობის მოხსენილებას, რომელნიც აქტიურ საზოგადოებრივ — პოლიტიკური კონკურენციით ამეღავნებენ თავის თავს, ვიდრე ახალი ბურუჟაზის მოთხოვნებს. საუკუნეთა მტერი, ისტორიზმი, განურჩევლობა — ყოველი ახალის რეალურის შეთვისების უნარის დაკარგვამდე მისული, აი რა მოწმობს უდაოდ და მკერმეტყველურად იმას, თუ რა უსუსური, ზედმეტი და მავნებელია ლიტერატურის ის ნაწილი, რომელმაც გაავსო საბეჭდი ფურცლების დიდი რაოდენობა, იმ ფურცლების, რომლებიც კულტურული რევილიუციის მიზნების განსახორციელებლად უნდა დახარჯულიყო. და არა მისთვის ზიანის მისაყენებლად. მაგრამ ამ სულიერ განწყობილებასაც, სრულიად შეუფერებელი ორნამენტი უკეთდება, თითქოს ცდილობენ ისინი თანადროულნი გახდონ. ავილოთ ქართველ მწერალთა ნიშანდობლივი გაზითი „პოეზიის დღე“ (1928 წლის, მაისის) ის არის მწერლების „მისწრაფებითა“ და „სულის კვეთებათა“ გამომსახველი, სუდარასავით მოფენილ მოსაწყენ უფერული პრაქტი-

კით. ეს არის არა ლიტერატურა საბჭოთა მკითხველისათვის განკუთვნილი, არამედ უფრო სწორად რომ ვთქვათ,—ჩაღრი, რომლის დანიშნულებაცაა, დაეხმაროს ლიტერატურულ ბებრუხანებს და ქალიშვილებს, რომ მათ თვალი არ მოსჭრას თანადროულობამ და ახალმა ლიტერატურამ. „პოეზიის დღის“ მოწინავე წერილი „დამაშვიდებელ“ აზრებს აფრქვევს. დამარტინუნებლად სწერენ, რომ მწერლები მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო აღმშენებლობაში. სწერენ თავის სხვა და სხვაგარი დამსახურების შესახებ და ბოლოს ჯამს უკეთებენ შემდეგი ეპისტოლარიული განცხადებით:

„ქართული მწერლობა იმთავითავე იმ აზრს იცავდა, რომ მოოლოდ მუშათა კლასს, ხერხემა მაგარ პრილეტარიატს შეუძლია მწერლობის დიდ გზაზე გამოყვანა და ახალი სოციალისტური ერლტურის შექმნა და ამ შემოქმედებისა პროცესში ქართული მწერლობა თავ ნოულად ჩაბმულია და კოკელი დღე უფრო უნდა აღრმავებდეს ამ კაციონს.

ამის საცემონისტრაციო ექიպიმა პოეზიის დღე და საერთო გაშლილ ბეჭდებით სიტყვის ფრონტს ჭართული მწერლობაც უმატებს თავის ხმ. ს.

საქმიანდ კარგ, სატირულ პიესა „დეზერტირკა“-ში ერთი იმერელი აწარური, როდესაც მოხდა ოქტომბრის რევოლუცია პათერიულად გაიძახოდა: „მე მუდამ ბოლშევკი ვიყავი“. მთელი ქართული ლიტერატურის დაუინებითი რწმუნება, რომ ის ყოველთვის მუშათა კლასთან იყო, პირდაპირ შეურაცხმყოფელი იგივეოშით გვაგონებს ამას. მაგრამ ვნახოთ რას იძლევა სადემონისტრაციო „პოეზიის დღეს“ ლიტერატურა? როგორ ამაგრებს იგი ბეჭდებითი სიტყვის ფრონტს და „ახალი სოციალისტური“ კულტურის მშენებლობის „შემოქმედებით პროცესს“ თავისი ხმით.

საოცრად ერთფეროვინად „მღერის“ ყველა ზომის (დიდი და პატარა) პოეტი. მოტივი ერთია: „სიყვარული, პლიუს დომხალი, არა კონკრეტობა“.

ნაცნობი პირები, ნაცნობი ნაწარმოებებით, რომლების გამეორებით შეეძლოთ არ შეწეხებულიყვნენ: პოეტი გრიშაშვილი „თავის რეპერტუარითაა“, ის უწინასწარმეტყველებს სატრუოს, რომ ის გაირყენება; „შეკვეთილი ენებით სხვის ენებას დალლი“, ქუჩის ძალლი“ შეიქნება, მაგრამ ის მისი ერთგული რაინდი, ასეთ მდგომარეობაში რომ ნახავს მას, ერყვის, რომ იგი მაინც უყვარს და:

„თუ პირველობა მე არ მაღირს უკანასკნელი მაინც ვიქნები“-ო.

ჰარმონია არ იტლვევა. პოეტ ტ. ტაბიძეს, რომელიც, სანტიმენტალურად მოეშვა, თავი „სამოთხის ქართან“ ჰეგონა, მაგრამ „უმისოდ“—მას ეჩვენება, რომ აღბად დასწყვდელს პოეტები:

„მიეცსცეთ პოეტებს სამშობლო მხარე
ულამაზესი ეფემის დარი
მაგრამ ქალები გადაუშენოთ“.

იცვლება პოეტების სახელები, ლექსები კი ისევ გრძელდება:
„მეც სიყვარულით დამწვარ სტრიქონებს
გულში ვატარებ დღეს კონტრაბანდათ“.

მერე რა, ეს არის „სურნელება გულწრფელი ავტორის“, რო-
მელმაც თავის ნაწარმოებს „ახალი ლექსი“ დაარქვა. ის გვეუბნება
ჩვენ თავისი „კონტრაბანდული გრძნობების“ შესახებ და ბოლოს
რიხით გვპირდება:

„თითქოს კალაში არ მეურჩება,
მრავალ სიახლის მეცა ვარ დამსწრე
და ვფიქრობ: განცდა შემექუჩება,
და მეც ოდესმე ახალ ლექსს დავსწერ“.

მეტი რა არის საკირო? „ოდესმე“ დასწერს, ახლა-კი დასტუ-
ბით მისი „კონტრაბანდული „სიყვარულით“. ეს „ოდესმე“ სურნე-
ლოვანი გულახდილობით“ და „კონტრაბანდით“ დამახასიათებელია
არა მხოლოდ მარიჯანის, არამედ მწერალთა დიდი ნაწილისა.
ალბად ამავე „სურნელოვანი გულახდილობის“ გამო—ნ. თარი-
შეილი, მკითხველებს „ანდობს“ თუ ის როგორი სიბეჭითით „უნა-
ხავდა გულს“ თავის სიყვარულს, ის კი ვიღიაც სხვას ბარათით
ატყობინებს: „1001 კონას საყვარელო გიგზავნი შორით“.

მოტივების და აღნაგობის ერთფეროვანების მხრივ სხვა და სხვა
მოწინააღმდეგე ჯგუფების მწერლების ნაწილი ერთმანეთს უახლოვ-
დება. „პოეზიის დღე“-ში, სწორედ ასეთ შემარიგებელ სოლიდარო-
ბას ვხედავთ“ ერთ-ერთი „ლეფ“-ოველი წერილში მყვირალა ფრა-
ზებით გაჰკივის იმის შესახებ, რომ:

„ქართული მწერლობის ცელი ლიტერატურული დაჯგუფება თუ
ერთეული, ცალდა უშუალოდ გრძნობს და მწვავედაც განიცდის ჩენიი
დროის გარდატეხებს, რომელთაც პოლიტიკისა და კუონიმიკის სფერო-
ებიდან—ესთეტიკური კულტურის საუცდელების საბეჭისწეროდ შეარყის.
ყოველი მწერალი სცდილობს თავის შესოქმედების ხასიათით დღვეანდე-
ლობის ამოცანას შეუფარდოს. ამით აისწნება ის საგრძნობი განაბლე-
ბა, რომელიც მთელი ახალი ქართული მწერლობის თემატიკაშია შემჩნე-
ული“.

ვთქვათ ავტორმა (ქლენტი) უსაბუთოდ უხვად განავრცო „გარ-
დატება“ მთელ ქართულ მწერლებზე; შეიძლება ეს, „ლეფ“-ოვე-
ლებს მაინც ეყუფნის. ავტორის მიერ წიმისუნებული. და მის-
თვის ესოდენ დამაჯერებელი დებულებების საილუსტრაციოდ ავი-
ლოთ, რევე გვერდით დაბეჭდილი პრაქტიკა „ლეფ“-ოველების.

ტრადიციული სიყვარული „ლეფის“ პოეტისთვისაც შთაგონე-
შის წყაროა, „პოეზის დღეში“ დაბეჭდილი გაჩერილის ლექსი
არაფრით არ განსხვავდება პოეტ-ქალთა „1001 კოცნის“ რომანტი-
კიდან.

„აკვენესებული გული მერჩის განწირულ ჩივილს,
შინოვ დღეები აჩინჩილი მტკვა ძვლებით;
ასე მგონია, საკუთარი დავკარგე ჩრდილიც,
შემს საფეხურზე ხეტალით დამძიმებული“.

ეს თუ მემარცხენეობაა, ეს თუ ჩენი დროის „გარდატეხების“
გამომელავნებაა, მაშინ ტერენტი გრანელმა რა დააშავა? „საქუთარი
ჩრდილის დაკარგვა—სატრფოს ნაფეხურზე ხეტალით“ ხომ მისი
კუთვნილებაა! თუ „ლეფის“ პოეტებიც თანაზიარნი ხდებიან გრა-
ნელის განწყობილებებისა,—რათ არ ჩარიცხავენ მასაც „ლეფში“:
ერთის მხრივ, ინტელიგენტური „მემარცხენე“ ფრაზების „ჭაბჭახი“
და, მეორეს მხრივ, მხატვრული პრაქტიკა, რომელიც „აკვენესებული
გულის“, „განწირული ჩივილია“, ეს ხომ დროისა და სიერციდან
ამოვარდნილი მწერლების განწყობილებაა, „მემარცხენეობის“ მემარ-
ცხენეობა რაღა შეაშია, რით განსხვავდება „მემარცხენე“, პოეტის
სტრიქონები იქვე დაბეჭდილ მეორე „საერთო“ პოეტის სტრიქ-
ნებიდან:

„დღეს აღარა ვართ არც მე და არც შენ,
დაგერჩა გულები ჩენ ცარიელი,
მოგონებების ცისფერ ხალიჩებს
შურისძიებით კენენ მორიელი“.

ეს მორიგი „გულწრფელობა“ უკვე ვინმე გოგოხიას ექუთვნის.
საინტერესოა ამ პოეტის არა „შემოქმედებითი“ ფიგურა, არამედ
თავგადასაცალი. ის იბეჭდება წელიწადში ერთხელ და ისიც „პოე-
ზის დღეში“. ჩენ გვინდა ვეითხოთ ამ გაზეთის ხელმ-
ძღვანელ მწერლებს, თუ რა მოსახრებებით გვაწვდიან ვინმე
გოგოხიას განწყობილებებს? რა შეაშია საბჭოთა „მწერლების
ფედერაციის ორგანისათვის „ერთი დღის“ პოეტის წლიური ანგა-
რიში! იქნებ გარკვეული ფენის მწერალთა სახელითაც ლაპარაკობს
ვიღაც უცნობი გოგოხია—, დღეს აღარა ვართ“ და „დაგვრჩა გუ-
ლები ჩენ ცარიელიო“. ზოგიერთთა დაფარულ თუ დაუფარველ
განწყობილებას ამულავნებს ვიღაც უმნიშვნელო მოლაყბე. შინაური
ემიგრაციის ლანდები კიდევ გვახსენებენ თავის არსებობას თუნდაც
იმის მტკიცებითაც, რომ ისინი „დღეს აღარ არიან“; მართლაც რომ
აღარ არიან უსაქმური პარაზიტები, რომლების ერთად ერთი ნუ-
გეში „მოგონების ცისფერი ხალიჩაა“.

მხატვრული პროზის ნიმუშები კიდევ მეტი სისრულით ამტკიცებას ჩამორჩენილობას, დაცილებას და იდეურ უბადრუსკობას. მისთვის მატიური მასალა იმდაგვარივე „შარადიული სწრაფითაა“, შემოფარგლული, როგორც პოეზია, სოციალური ფენაც, რომლის მოთხოვნილებასაც აქმაყოფილებს ეს შემოქმედება, იგივეა. გრ. რომაქიძე რომელიც სპეციალურად ვადავიდა „დიდი ტილოების“ შოცებაზე, თანადროულობის გარეშე დგას თავის შემოქმედებითი მასალით. თუ მისი პირველი რომანი „გველის პერანგი“ მოქლებული იყო აქტუალურ საზოგადოებრივ მნიშვნელობას (აქ მხედველობაში არ გვაქვს ცვაგის ალტაცება ამ რომანით. უცხოელი მწერლის აღმოსავლური ეგზოტიკით „მოხიბლვა“ ვერაფერს მატებს „გველის პერანგი“—ს ლიტებულებას და საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის დამატებითი დამაჯერებელი საბუთი არ არის) უკანასკნელი რომანი „ფალესტრა“ პირველად აღებული ხაზის გაგრძელებაა. რომანში დროდა და ადგილი არ იგრძნობა. „გმირები“ შეთხელია. სქემა და მსჯელობა ეგზოტიკითა შელამაზებული, იქ მხატვრულ ტილოზე კაფების და მის ბინადართა ჩვენებაა მთავარი. ევროპა მოცემულია კაფე-შანტანგბით, ბარებით, (ჩადედლებულ ქალიშვილებით), დაუსრულებელი ფოქსტროტებით, ჯაზ-ბანდით და სხ. სექსუალურობა პორნოგრაფიაშია გადასული. მელი ნაწარმოები აგებულია „მთიელი ქალის“—სილამაზის და სხვადასხვა კუთხით ჩვენებაზე. აქვე, ამ ქილის სილამაზით დატყვევებულ სხვადასხვა სახის ლაზლანდარიათა ხროვა, რომელთაც ფრიად საცოდავი გრძნობები და საქმეები არავთარი საზოგადოებრივი ინტერესის შემცვლელი არ არის; „ფალესტრა“ თამამად შეეძლო დაწერა მწერალს, რომელსაც საბჭოთა მხარეში 8 წელიწადი არ უცხოვრია, ნაწარმოების მსოფლმხედველობა აშეარად ბურუუაზიულია, რომელიც ვერ ამჩნევს ვერასფერს-სხვას, გარდა თავის წრისა. მწერალი ხატავს ბურუუაზის საამაყო გმირებს. სხვადასხვა ჯიმები, მაკ-კოლახები—იმიტომ არიან მილიონერები, რომ ისინი რეინის ხალხია. მათ ნერვები არა აქვთ, სამაგიეროდ აქვთ დიდი ენერგია, ზრომის უნარი და გამბედაობა. კველა ამ თვისების გამო ისინი ხდებიან ძლიერნი ამა ქვეყნისა. ეს ბეკი ბურუუაზიული ფილოსოფიაა, კაციქამიობის შელამაზებაზე აგებული. ბურუუაზიას სურს გმირული შარავანდედით შემოსოს თავის მოღვაწეობა. მისი მწერლები ასრულებენ კლასის დავალებას, ჰქმნიან გმირებს, რომელნიც არიან მარილი ქვეყნისა; მასა, პროლეტარიატი აქ არავთარ შუაშია. კველიფერი ჯიმების და კოლახების პირად თვისებებზეა დამოკიდებული: მწერალიც იმგვარი

უერებით ხატავს ამ გმირ ჯიშებს, რომ სურს დაგვანახოს, დაგვარ-
წმუნოს მასში, რომ ჩვენც ყველას, თვით ულარიძეს მასიდანაც „კუ-
შეგვიძლია გავხდეთ უმდიდრესი ბურუუები—ჯიშები, კოლახები, სა-
კიროა მხოლოდ პიროვნული სიძლიერე. გრ. რობაქიძის საჩვენებელი
გმირის ჯიშის ოჯახიც ღარიბი იყო მეტად, მაგრამ ჯიშს ბავშობი-
დან ჰქონდა „უტეხი ხასიათი“. გაიზიარეთ ამ გმირების სახელ-
მძღვანელო დებულება—„ადამიანი ადამიანისათვის მგელია“, და უვი-
ლა თავშე მოექცევა ცხოვრების სიმაღლეებს. „ფალესტინაში“ მო-
ცემულია, გარდა ევროპის შანტანების გმირული ბურუუაზის „საუ-
კუთხეს“ წარმომადგენლებისა, 1919—20 წლების ტფილისიც. მაგ-
რამ, თურმე, იქც მხოლოდ კაფეები და მისი ბინადარი ყოფილან.
ცენტრში პოეტებია და მათი „Фантастический кабачок“. ტფილი-
სიც, თურმე, ფანტასტიური ვამხდარა იმიტომ, რომ იქ მოუყრია
თავი ამ ხანებში ოქტომბრის რევოლუციით დამტრითხალ თუ გამო-
დევნილ „ხელოვნების“ პეტელებს. სიყვარულით არის ნიჩვენები გა-
ლერეია ამ ემიგრანტებისა (კაჩალოვის ხმა, ხოდოტოვ და ვოლოში-
ნის ლექსები. ჩერეპნინ და მის ნაღვლობა რუსეთშე. ევრეინოვი და
მისი „Самое главное“, 41 გრადუსის სიცხის აწევ-დაწევა, ფუტუ-
რიზმი—დადაიზმისკენ განხრილი, კრუზინისი ზაუმით და სხვ.) და
იმ საერთო ლაზდანდარობის და უსაქმობის ტროსტერა, რომელიც
იყო შექმნილი მათ ირგვლივ. გრ. რობაქიძე არ იყიშებს არც ქარ-
თველი პოეტების მაშინდელ საქმიანობას; მოკლე და ამომწურავი ხა-
ზებით ახასიათებს ის პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის და თავის
„პოეტურ“ საქმიანობას. აღმართ, სურთ ისტორიას არ დაავიწყდეს
მათი დიდმინიშვნელოვანი „მოღვაწეობა“, რომელიც, მათივე აღნუს-
ხვით შემდეგში გამოიხატება:

„ტფილისი გახდა პოეტების ქალაქი. „ინტერნაციონალში“ იგი კადეც გამო-
აცხადეს პოეტების ქალაქად. კადეც მეტი: გაიძახოდეს: პოეზია მარტო ტფი-
ლისშია. პაოლო იაშვილი სწორედ ამ ხანებში თავს დაეცა ტფილის,
როგორც არტურ რებიშვილი პარიზის. მაშინ ჯერ კადეც არ იცოდა მან, რომ
ტფილისი აღება ბოჭემით და ლექსით უფრო ძველია, ვიდრე პარიზის. ტი-
ციან ტაბიძე ორპირის ქაობში და მალარიაში ლაფარგის მთვარის სიყვით-
ლეს ხედავდა და ლექსებში მასავით უყეფდა ამ ყადაც აღებულ მნათობს.
მას ისეც ეცნა, რომ ორპირის ყანისი ლოტრეამონის „მალდარორივით“
დაიწყებდა დითირამბულ მონოლოგებს. გრ. რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ
ორი რამ აწვალებდა: აპოკალიპარ და დიომისი. ამავე დროს ივი ამხადებდა
„ორლობის ერთობს“ და „პატმისის რიტმებს“. ქედევანა მართლაც იქც-
და და მართლაც ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ ცე-
კას პოეტური მღერით ხედებოდა“ გრ. რობაქიძე, უქართული მწერლობა“.
№ 4, 1928 წ. „უფალესტრა“ გვ. 71.

ამ გულაბდილ განცხადებამდეც ვვჯეროდა, რომ იმ ნეტარების დროში ცისფერ ყანწელთა „ბრწყინვალე“ ორდენის წარმომადგენელი ბოჭების და კაობში ჩაფლული მთვარისადმი ყეფისა და აპოკალიპსურ სულელურ ჩიხირედელობის მეტს არაფერს აკეთებდენ). ამაში გამოიხატებოდა მათი „საქმე“ და დანიშნულება. „ორლობის ეშაფოტით“, აპოკალიპსის შავი მავით, მთვარისადმი ყეფით, დეზერტირებაზე მადონის ძებნით—აშენებდენ ქვეყანას, „კაბარიეს“ გმირები. განვლო რევოლუციის რეზის წლებშა, „ფანტასტიური ტფილისი“, — ამდაგვარივე „კაბარიეს“, თავისივე გმირებით ისტორიას ჩაბარდა. მათ დარჩათ „მოვონებების ცისფერი ხალიჩა“ და იწერება აშეული კილოთი „კაბარები“ იმ დროიდან, როდესაც „ქვეყანა იქცეოდა“. საბჭოთა მკითხველისათვის ის მსოფლმხედლელობა, რომლითაც მოცემულია მთელი ეს მასალა, მიუღებელი და ძალებელია გარდა იმისა, რომ ინტერესს მოკლებულია, თუ როგორ ცეკვავენ ჩარლ-სტონს ეკრანის შანტანებში და ტ. ტაბიძე ორპირის ქაობიდან მთვარეს როგორ უყეფდა.

აპოკალიპსი, რომელიც აწვალებდა ვრ. რობაქიძეს 1920 წელს, დღესაც აწვალებს ბევრს მწერალს. რელიგიურ აბდა-უბდას, მისტიკურს, ცრუბორწმუნებას საგრძნობი ადგილი უკირას ჩვენს მწერლობაში. ამ მხრივ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული დამსახურება აქვს კაბარებისათვის. მისი მოთხოვნა „ტაბუ“ შავი მავის მხატვრული ილუსტრაციაა. მოთხოვნაში მოქმედი ძალებია: ულალო-სატანა, კუდიანები, ორეულები, მორიელი, (მთავარი გმირია) და სხვ. ეპიური სიღინჯით და დამაჯერებლობით მოთხოვნილია სიყვარული; სატანასა და უზეილო ქალს შორის და ნაჩვენებია ამ სიყვარულის შედევების—მორიელის გმირობა, რომლის შხამშაც გადააშენა მთელი კუთხე. არაფერი არ იცვლება იმით, რომ ეს მასალა მოცემულია ლეგენდის სახით. ამასთავ ერთად მოხერხებულად ჩაქსოვილია „მოვონებების ცისფერი ხალიჩა“, მაგრამ უფრო შორეული დროის მწერალი სიყვარულით იხსენიებს იმ ნეტარ დროს, როდესაც არსებობდა ძლიერი თავად-აზნაურობა, რომელიც ერთობიდან და ბაზიერთა ხროვით.

შხატვრული მწერლობა, გარდა ამ აშეარა სახეებისა, იმედავნებს კიდევ განურჩევლობის და ობივატელური უფერულობის ტენდენციებს, რაც საბოლოოდ რეაციონურ განწყობილებას აძლიერებს. ჩვენი მსხვილტანიანი ურჩილების მხატვრული პროზა ყოველგვარი აქტუალობის გარეშე დგას. ახალგაზოდა ძალებიც კი, რომელთაც პრეტენზიები აქვთ სიახლეშე, ვერ გასცილებიან ამ უფროულ რეალს.

სანიმუშოდ აეილოთ დემნა შენგელაია. თუ გვერდს აუხვევთ მის ვარჯიშობას შისტიკიშვილის ერცილულზე, უკანასკნელი ხანის შემოქმედებაში ვერ ვნახავთ ოდნავ მაინც შინიშვნელოვან წარმატებას.

1) რაღაც გვედავებოდა „ყანწელთა“ მეომარი არსენიშვილი, როდესაც გვიმტკიცებდა მათ „ინტელიგენტურ პროლეტარობას“. ბ. ბ.

„მემარცხენე“ მწერალი, რომელიც „საზოგადოებრივ გარდატეხაზე“ ასე დაჯერებით გველაპარაკება, ჩევნს სინამდევილეში ერ პოლობს მასალას, ის ზღაპრების გადმოკეთებას იწყებს. გაზეთ „პოეზიის დღეში“ დ. შენგველაია ბეჭდავს ადგილებს მოთხოვნილია „სამოელური ზღაპრების“¹⁾ სახელწოდებით. ამ „ფილოსოფიური“ ზღაპრების შინაარსის გარჩევა არ არის საჭირო. ისინი თავისითავად მეტყველობენ მწერალის საწინააღმდევოდ. მნიშვნელოვანია ის, თუ რა გზებით ექცებს მწერალი მასალას და რამდენად შორსაა ის თანამედროვეობიდან.

ამ სახეებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ემატება ბულვარული სახის ლიტერატურას, რომელიც გლეხობისთვისაა დანიშნული. ოფიციალური ქართული მწერლობის დიდი ნაწილი არ ძლევს არავითარ საზრდოს მუშარ-გლეხურ მკითხველ მასას, მოთხოვნილება კი არსებობს და თანდათანობით იზრდება. ამ გარემოებით სარგებლობენ სხვადასხვა ჯურის მოვაჭრენი. ლიტერატურული საქმიანობის სფეროს ეხება იმ ბულვარული ლიტერატურის ტალღა, რომელიც მხატვრული მოთხოვნილებების დაქმაყოფილებას ლამობს. წლიდან-წლიდან გამოიის ძალიან დიდი ტირაჟით შრავალი სახელწოდების პატარ-პატარა წიგნაკები.

არის თუ არა მემარჯვენე საშიშროების თვალსაჩინო გამოხატულება, როდესაც გლეხობაში დიდის უნარით ვრცელდება—ვინმე შაბ-ბარათოვის ათეულ ათასიანი ტირაჟის მქონე გამოცემანი, „ქალვაჟიანი“, „პავი-ბაბას ლექსები“, „არშინ-მალ-ალანი“ და სხვა მრავალი? მიზანშეწონილია თუ არა წერა-კითხვის ეხლახან შესწავლის გლეხს აწოდებდენ ბოკაჩიოს „დეკამერონიდან“ მონასტრის შოთხოვნის გარენის არსებობაში და წარმატებაში პასუხისმგებლობა გარევულათ ეკისრება მწერლობასაც, რომელიც ვერც თუ არც თუ ამნინეს ამ მოვლენას. ეს მდგომარეობა არამც თუ მემარჯვენე საშიშროების უცუდესი მხარეა, არამედ პირდაპირ საწამლავია, გლეხობისათვის „მხრუნველობით“ მიწოდებული.

1) საინტერესოა გავიგოთ, თუ რა მოსაზრებით ხმარობს შენგველაია სიტყვას „სამოედური“. ნუთუ საბჭოთა „მემარცხენე“ მწერალმა არ იცის, ან და არ შეიწუბა თავი გავგო, რომ სამოედები (Самоеды) არ არსებობენ უკვე 11 წელია, რომ ეს მეცნის ტერიტორია გაქრა თვითმშეყრობელობის დამზობასთან ერთად. „კაცი-ქამია“ და „თევითგამია“ იყო ბარბარისული თვითმშეყრობელობა, და არა კ. წ. „სამოედები“ მშეოდნინან და შრომისმოყვარე ხალხი. გვინია, რომ ამ ელემენტარული ანა-ბანის ცოდნა საჭიროა თანამედროვე მწერლისათვის.

თვალსაჩინოა ეგრედწოდებულ თანამგზავრთა ცენის გამომარჯვენება. თანამგზავრობის სახელით რიგს მწერლებისას თუ მთელ ჯგუფს სურთ გაატარონ სავსებით მოპირდაპირე იღებო. ჯგუფ „არიფიონის“ გამოსვლა ამ დებულების ილუსტრაციაა. „არიფიონი“ უკანასკნელი წლის ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო მოყლენაა. აღნიშნული ჯგუფის შეკავშირება თანამგზავრულობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ის თავის სალიტერატურო დეკლარაციაში შემდეგს აცხადებდა:

„თანამედროვე დილმა ეპოქაშ ახალი ადამიანი წარმოშვა ჲა ახალი მსოფლმსედევლიბა, შეგრძნობა, მორალი და გეორგინება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ასოციაცია „არიფიონის“ მიზანს შეადგენს ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში“.

როგორც ხედავთ, „არიფიონის“ მიერ დასახული მიზანი ფრიიად თანადროული და თანამგზავრულია. რამდენად შეეფერება მხატვრული პრაქტიკა „არიფიონელთა“ ასეთ „კეთილ“ განცხადებას? მხატვრული პრაქტიკა საფეხით ეწინააღმდეგება ამ განცხადებას. ცალკეული მწერლები შეკავშირების შემდეგ უკიდურესად გამებარჯვენდენ. თითოეული მათგანი შეეცადა თავისი ლიტერატურული სახის სრულ და პირდაპირ გამომეუავენებას. შედეგად მივიღეთ დიდტანიანი კრებული, რომლის მასალას შეადგენდა შაირები, ბალადები, დაცუმული განწყობილება, ისტორიიში და სინამდევილის დამახინჯება. „არიფიონის“-ს მხატვრული პრაქტიკის ძირითადი ტენდენციების განსაზღვრელი იყო მის. ჯავახიშვილის შემოქმედება. საყურადღებო შინი შოთხრობა „დამპატიე“, ამ კრებულში დაბეჭდილი. ამ შოთხრობით მწერალმა გამოამეუავნა დაუფარავი კულაკური იდეოლოგია. ჯავახიშვილის ათვისებით, თანამედროვე საბჭოთა სოფელი წარმოადგენს ახალ სახის ექსპლოატაციის ბუდეს, მშრომელ გლეხს სჩაგრავს ყოფილი ბოვანო პროლეტარი, რომელიც მოქმედებს თითქმის რევოლუციის სახელით. ახალი წამოწყებანი, კოლექტიური მეურნეობების, ანუ, როგორც მწერალი უწოდებს „კალაბტივების“ სახით, უდღეულ, უნიადავო რამეს წარმოადგენენ. ეს უარყოფითი ტიპი ჩენებს თანამედროვე სოფელში მწერლის მიერ მოცემულია არა როგორც გამონაკლისი, არაპერ როგორც საზოგადო მოვლენა, რომლის მავნე მომქედება შეუმჩნევლად და დაუჯემდინარეობს. ასეთი შეფასება საბჭოთა სოფელში მიმდინარე პროცესებისა სიყალბეს და დამახინჯებას წარმოადგენს. ეს მსოფლმხედ-

ველობაა არა იმ მწერლობის, რომელსაც სურს გააცხადოს ახალი ადამიანის სახე ლიტერატურაში, არამედ ახალი ბურეუაზისა და კულაკობისა, რომელთაოცისაც საბჭოთა მშენებლობა დამლუპველს და განმანადგურებდელ მოვლენას წარმოადგენს.

ავიღოთ „არითფიონელების“ მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი დოკუმენტი, მათი ფაქტიური იდეოლოგიური პლატფორმა. ეს არის გ. ქიქოძის წერილი დაბეჭდილი კრებულის ბოლოში. ქიქოძის „ფილოსოფია“—ეს მთლიანად „არითფიონელების“ ფილოსოფიაა. რა არის მთავარი მათ მსოფლმხედველობაში? ისტორიზმი. მცვდარ თაობათა ტრადიციები, კოშმარივით აწევთ თავზე. ქიქოძე აღტაცებულია წარსულ საუკუნეთა ნაშთებით. მათ ის აღტაცებაში მოჰყავთ. მწერალი „ჯვარის მონასტერს“ დაირებს „ზაქესს“. და ასკენის: „რა გასაცირკელია, თუ ეს შენობა მხატვრულ თვალსაზრისით უფრო მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე იქვე მტკვრის პირის ავებული ელექტრონის სადგური!“ უბრალო ფართი, რომ ქიქოძეს და საერთოდ არითფიონელებს ზაჟესზე უფრო მონუმენტალურად შიაჩინდათ ჯვარის მონასტერი, იმის დამამტკიცებელია, თუ რომდენად დაცილებული, და დაპირდაპირებული არის მწერალია ეს ფეხი თანამედროვეობასთან. როგორც მონუმენტალობით, ისე უკველგვარა სილამაზის ქონებით.—თანამედროვეთავის ელექტრონის სადგური ზაჟესი გაცილებით უფრო ახლობელი და დამაჯვრებელია, სულ ერთია, რაგვარი თვალსაზრისითაც არ უნდა მიუდგეთ მას. „არითფიონელებს“ ეგონათ, რომ რევოლუციამ ძველ კულტურას ვერაფერი ვერ დაუპირდაპირი. მათი აზრით, ევროპაში გაცილებით უკეთესია ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია. ისინი ასკენიან: „ამ გზით არ შეიძლება ეტროპისა და ამერიკის დამარახება, ეს ყოველივე იქ უკეთ არის მოწყობილი“. მწერლებს რომელთაც არ ესმით განსხვავება სოციალისტურ და კაპიტალისტურ აღმშენებლობას შორის, ახალი კულტურის შემქნელებად წარმოუდგენიათ თავი. უდიდესი განსხვავება ევროპასა და საბჭოთა კავშირის წყობას შორის ბუნლოვანი და გაურკვეველი არის არითფიონელებისათვის. ის განსხვავება, რომ იქ დოკლათის და ყოველგვარი ტექნიკური მიღწევების მფლობელნი არიან ერთი მუქა კაპიტალისტები, საბჭოთა ქვეყანაში კი მუშათა კლასი, სახელმწიფოებრივი დარაზმული, გადამწყვეტია ჩვენი და კაპიტალისტური მშენებლობის ხასიათის გარკვევისათვის. „არითფიონელებს“ ვერ შეუგნიათ ის გარემობა, რაც არის მიზეზი მათი სულის დაცალიერებისა. ქიქოძე სწერს:

„ქველი ღმერთები მოკვდენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწვა ძველი ილიუზიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნოებისაკენ.

— მაგრამ სულ დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არშეიძლება მისი აქცება“.

ეს სულის დაცალირება დამახსინათებელია არა მარტო „არი-ფიონის“ წერრებისათვის, არამედ ის ვრცელდება უფრო დიდ ფენაზედ. რევოლუციამ ძველი ღირებულებანი შეარყია, გულუბრყვილო ცრუმორწმუნოება უკვე ნიადაგ გამოცლილია, მითიზ კვება მწერალთა დიდ ნაწილს უკვი აღარ შეუძლია; მაგრამ ამ მწერლობას, რომელსაც გამოეცალა ძველი ნიადაგი, არ შეუთვისებია არც ახალი სინამდვილე. სინამდვილეში ისინი ამჩნევნ მხოლოდ ელექტრონის ნაკადს, გარეგნულობას,— შინაარსი კი მათთვის უცხო და მიუწვდომია. ამ გარემოების გამო „სული დაცალიერებულია, მაგრამ ცალიერი სულის მქონე მწერლები ისევ ცდილობენ, ძველღირებულებათა აღდგენის მეოხებით, შემოქმედების გამაგრებას. დაცალიერებული სულის მქონე „არიფიონელებია“ შეეცადენ წარსულის იდეალიზაციას. გამოამჟღავნეს ძლიერი ნაციონალისტური ბუნება და სრული სიბეჭე თანამედროვეობის ათვისებაში. „არი-ფიონელებისათვის“ ჯერ კიდევ გადამწყვეტია საშუალო საუკუნეების რაინდობის ტრადიციები, მათი შემცირება ისევ კლასიკური კულტურის წერტილებზე მიპყრობილი. მათი აზრით „თაობა-თაობას მისდევს და კულტურის საგნობრივი გარემო ახლდება, მაგრამ იდეები აგრე რიგად როდი იცვლებან (გ. ქიქოძე). „არი-ფიონელთა“ იდეები, რომ არ შეცვლილან, ეს მათ დაგვიმტკიცეს თავისი მხატვრული პრაქტიკით, მაგრამ ამ იუნების ერთგვარი გადახალისება და განახლება მაინც ხდება. ეს გადახალისება მიმდინარეობს ახალი ბურჟუაზიის და კულაკური იდეოლოგიის შეთვისების ხარჯზე. მწერალთა ეს ფენა არ წარმოადგენს მხოლოდ წარსული საუკუნეების რაინდული ტრადიციების მოტრფიალეთა რაზმს. მათ თანამედროვეობაში მოქმედ სოციალურ ფენათა იდეები ასულდებულებენ. მ. ჯავახიშვილის შემოქმედება და გ. ქიქოძის დებულებები ამ მოვლენის თვალსაჩინო ილუსტრაციაა. ამ მწერალთა ნაწილობრივი თანამგზავრული ტენდენციები გადაგვარდა აშეარა მემარჯვეებე ხაზით.

ამ მემარჯვენეობის დამატებითი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ ის ცდილობს თანამგზავრული საფარველით მოგვევლინოს. როდესაც „არიფიონი“ მოწინავეში აცხადებს ლიტერატუ-

რაში ახალი ადამიანის გამოსახეის სურვილს, მხატვრულ პრაქტიკაზე მომავალი ახალ ბურუჟაზის და კულაკურ იდეებს, ეს არის საშიშარი და მეტის-მეტად მავნებელი ტენდენცია. ეს გარემოება შეიძლება ახსნილ იქნას, როგორც შემგუებლობის ერთ-ერთი სახე, რომელიც გულისხმობს ახალი მკითხველის გულუბრყვილობას.

ამს. მიხ. კახიანი ხაზეასმით აღნიშნავდა მწერლების ამგვარ ტენდენციას და ამბობდა ერთ-ერთი მწერლის შესახებ, რომ „იგი მოხერხებულად ფარავს ორაქციონურ აზრებს მხატვრული პროდუქციის ფორმაში, ალბათ, იმ იმედით, რომ ბოლშევიკები ვერაფერს მისედებიან წაკითხულში“. ამგვარი ანგარიში მწერლებს გაუცრუედებათ. გულუბრყვილო მკითხველი დღეს უკიდ აღარ არსებობს. კულტურული მოთხოვნილებანი ახალ მუშათა მკითხველისა დიდად გაიზარდა. ის საკუსტით ერკვევა მხატვრული ლიტერატურის ათულ ფორმებშიც. ასე, რომ მოწინააღმდეგე იდეოლოგია საესებით შესაჩინევი და გამომეუავნებული ხდება მის მიერ. მემარჯვენე საშიშროების შეგუებითი ტენდენცია ვერ იღწევს თავის მიზანს, თუმც ეს არ ამცირვს მის მავნებლობას.

ეს ტენდენციები არა ნაკლები თვალსაჩინოებით გამოამეულავნა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმაც დეკლარატიული თანამგზავრობა მათი დამახასიათებელია, მხატვრული პრატიკა კი უმთავრესად მოპირდაპირე მხრით არის მიმართული. შეგუების ტენდენცია — ყოველგვარი დათმობის გარეშე დაუფარავად გამომეუავნდა უკანასკნელი ხანების დისკუსიის დროს „ზარია კოსტროგაში“ „ყანწელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი აპირებდა დაემტკიცებია, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი წარსულში წარმომადგენდა რევოლუციონურ მიმღინარეობას ჩენებს ლიტერატურაში. ის აცხადებდა, რომ „ყანწელები“ იყვნენ ერთგვარი, „ინტელიგენტური პროლეტარებით“. ისტორიის ასეთი გალამაზება გამოწვეული იყო იმ სურვილით, რომ თანამედროვეობაშიც მოეპოვებიათ თავის მიუღებულ განწყობილებათა არსებობის უფლება.

თვალსაჩინოა აგრეთვე წვრილ-ბურუჟაზიულ ფენათა გააჭტიურება, რაც თანაბარი სიძლიერით მეღავნდება მხატვრულ ლიტერატურაშიც. „მემარუხენეთა“ წარმომადგენელი უკანასკნელ ხანებში პროლეტარული მწერლობის ჰეგემონიის უარყოფამდეც კი მიეიღდა.

მემარჯვენე საშიშროებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ის კრიტიკის და თეორიის სფეროშიაც ცდილობს გარკვეული პოზი-

ციების დაფლობას. 1) მწერალთა გამოსვლები ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის რეზოლუციის ირგვლივ გამართულ კანატის დროს, ამ მოვლენის დამადასტურებელია. გარდა ამისა, ჩვენი ურნალების მხატვრული კრიტიკა ჯერ-ჯერობით საგრძნობლად მოწინააღმდეგეთა ხელშია.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ თანამგზავრობის საკითხის გარკვევის თუ გაბუნდოვანების ცდილობენ მწერლები, რომელნიც თანამგზავრი არ არიან. ბიბლიოგრაფიულ კრიტიკულ განყოფილებებს ხშირად სახელმძღვანელო ტონს აძლევენ მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელი. დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ გრიშაშეიღის შემოქმედების თუ კრიტიკული ნაშრომის შეფასებას კისრულობს პროფ. პ. კიკელიძე, რომელიც საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანიზი („ქართული მწერლობა“) ხოტბა-ქეპით ხედება გრიშაშეიღის ყოველგვარ აზრს. პ. გამსახურდია, კი მთელი წიგნებით ცდილობს მიაწოდოს თანაშედროვი მკითხველს დასავლეთის ლიტერატურის მისტიკური და თეოლოგიური შეფასება.

მემარჯვენე საშიშროება მხატვრულ ლიტერატურაში მრავალ-სახოვანია. მას არ აქვს შტამპიანი, პრიმიტიული ფორმა. ის გვიპლინება, როგორც აშკარა ბურუუაზიული. — ფეოდალური მწერლობიდან ის გადადის თანამგზავრ მწერალთა მნიშვნელოვან ვენებშიც. ყველა ეს სახეობა საშიშ და მავნე ფორმას წარმოადგენს, რაც გარკვეულ წინააღმდეგობას მოითხოვს. როდესაც ხაზებასმით კურადღება ეჭუა მემარჯვენე საშიშროებას, ეს სრულებით არ ნიშნავს მის უძლეველობას.

მემარჯვენე საშიშროება არ წარმოადგენს ისეთ მნიშვნელოვან მოელენას, რომელსაც შეეძლოს პროლეტარული კულტურის მშენებლობის შეფერხება. თანდათანობით გაძლიერებულ პროლეტარულ მწერლობასთან-ერთად ირკვევა და ყალიბდება საბჭოთა მწერლების თანამგზავრული ფენა. ეს გარემოება უზრუნველყოფს ახალი ლიტერატურის ზრდას. მაგრამ ამ გარემოებითაც არაფითარ შემთხვევაში არ შეიძლება შენელება ბრძოლისა მემარჯვენე ლიტერატურის წინააღმდეგ.

*) მემარჯვენე საშიშროების შესახებ კრიტიკისა და თეორიის სფეროში სპეციალური წერილი იქნება მოთავ-სებული ჩვენი უცრნალის შემდეგ ნომერში.

**) იბილეთ ბიბლიოგრაფია გამსახურდისა წიგნშე— „ახალი ვერთა“ ჩვენი უცრნალის ამავე ნომერში.

ბრძოლა უნდა იქნეს წარმართული გაძლიერებული ენერგიით, როგორც უშუალოდ რეაქციონური განწყობილების, თანამედროვე მბისადმი დაპირდაპირებულ ლიტერატურის წინააღმდეგ, ისე მე-მარჯვენე საშიშროების მიჩქმალვის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგაც.

პრელეტარული მწერლობის ღლიური

ლიტერატურული უცოდინარობის წინააღმდეგ

არაეისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეს მწერალი ჩამორჩია მკითხველს. უმეტეს შემთხვევაში თანამედროვე მწერლის ცოდნის და მომზადების დონე ვერ ასკილებია საშვალოდ მომზადებულ მკითხველის ცოდნის დონეს. ლიტერატურულად მომზადებული მკითხველი დღეს უკვე აღვილად ამჩნევს მწერლის მთელ „საიდუმლოებას“ მის ფორმალურ ხერხებს. ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ თანამედროვე მწერლის კვალიფიკაციის დონე მეტად დაბალია.

ვ. ბრიუსოვი სწერდა: „რომ პოეტი კაცობრიობის მასწავლებელია, და რომ მასწავლებელმა უნდა იცოდეს თავის მოწაფეზე უფრო მეტი, ამის შესახებ ძლიერ ცოტას ფიქრობენ დღეს... ფილოსოფიურ აზროვნების უკანასკნელ დასკვნების, ზუსტი მეცნიერების ახალი აღმოჩენების, თავის დროის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების გაცნიბა მწერალს უსახავს ახალ ასპარეზს, აძლევს მას საშვალებას დასვას საკითხები, რომლებიც საჭიროა და საყრდნოდებო მისი თანამედროვეებისათვის. პოეტი, რომელსაც აქვს სათქმელი იმ საკითხებზე, რომელიც აღელვებს საზოგადოების მოწინავე ნაწილს, არასოდეს არ იქნება უსარგებლო,—ამით ის კვლავ დაუბრუნებს პოეტს იმ მაღალ მდგომარეობას, რომელიც მას ეჭირა ძველია..“

აქვს თუ არა სინამდევილეში აღვილი ასეთ ფაქტებს პროლეტარული მწერლების ცხოვრებაში? იცნობენ თუ არა ისინი საფუძვლიანი ფილოსოფიურ აზროვნების უკანასკნელ დასკვნებს, ზუსტი მეცნიერების ახალ აღმოჩენებს, თავის დროის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას? რასაკვირველია, არა. პროლეტარული მწერლის

მომზადებისა და ცოდნის დონე მეტად დაბალია. ის ხშირად საჭ-
ვალოდ მომზადებული მკითხველის დონეს ჩამორჩება.

ეს პოვლენა პროლეტარული მწერლების წინაშე გარკვეულად
აყენებს საკითხს სწავლის შესახებ.

სრულიად სამართლიანად ოღნიშნავდა ამხ. გორბაჩივი ერთ-
ერთ თავის მოხსენებაში რომ „შემდგომ უკვე აღარ შეიძლება ჩვე-
ნი გაუნათლებლობა პროლეტარული წარმოშობით გავამართოთ“.

პროლეტარული მწერალი აუცილებლად უნდა იყოს ფართედ
და ყოველმხრივად მომზადებული, ლრმა ცოდნით აღმურვილი მკით-
ხველი მაში უნდა გრძნობდეს მაღალი კვალითიკაციის აღამიანს. ის
კარგად უნდა ერკვეოდეს ცხოვრების რთულ ხვეულებში, ის თავი-
სი დარგის სპეციალისტიც უნდა იყოს..

ამგვარად, სწავლის საკითხი ერთ-ერთი ძირითადი საკითხთა-
განია დღეს პროლეტარული მწერლებისათვის.

როგორი ხასიათის და მოცულობის უნდა იყოს პროლეტარუ-
ლი მწერლის სწავლა?

პროლეტარული მწერლის სწავლა უმთავრესად სამი ხასიათის
უნდა იყოს: 1) საზოგადოებრივი 2) საერთო საგანმანათლებლო და
3) სპეციფიურ-ლიტერატურული, ე.წ. „ფორმალური“.

პროლეტარული მწერალი ახლო უნდა იდგეს ცხოვრებასთან.
ის აუცილებლად საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ჩვენს სამეურნეო
მდგომარეობას, მუშათა კლასებს, ქარხანა-ფაბრიკას, სოფელს; კოლ-
მეურნეობის ფორმებს, მუშათა და გლეხთა ოჯახს, მუშათა კლასის
მოთხოვნილება—მისწრაფებებს და სხვ. ერთი სიტყვით პროლეტა-
რული მწერალი ცხოვრების სილრმეში უნდა იყოს შესული და კარ-
გად ერკვეოდეს მის მრავალფეროვანებაში. მაგრამ იმისათვის, რომ
ეს მოვლენები და ფაქტები სათანადოთ გაიგოს და შეაფასოს პრო-
ლეტარულმა მწერალმა, მას ესაჭიროება გარკვეული მეცნიერული
მსოფლმხედველობა, გარკვეული მეთოდი, ასეთს კი დღეს წარ-
მოადგენს მარქსიზმი, ლენინიზმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაფერი თავის რიგშე არ
არის. ჩვენ გვყავს მეტად ნიკიერი, დიდი შესაძლებლობის პროლე-
ტარული მწერლები, მაგრამ მათგან უმრავლესობას ჯერაც კი არ
აქვს საფუძვლად შესწავლილი პოლიტურობნის ანაბანა. ამიტომ
ისინი ხშირად ვერ ერკვევიან ელემენტარულ პოლიტიკურ საკით-
ხებში და სხვ.

გ. პლეხანოვი სწერდა: საჭიროა მქადაგებელი კარგად ერკვეო-
დეს იმ იდეებში, რომელსაც ის ქადაგებს, რომ ისინი შევიდენ მის

ხორცია და სისხლში, რომ ისინი არ აშინებდენ, არ აბნევდენ, არ უშლიდენ მას ხელს მხატვრული შემოქმედების მომენტში. თუ ეს აუცილებელი პირობები არაა, თუ მქალაგებელი არ გახდა სრული ბატონი თავისი იდეებისა, თუ კიდევ ამასთანავე მისი იდეები არაა გარეული და თანამიღევარი,—მაშინ იდეურობა საზიანო გაელენას მოახდენს მხატვრულ შემოქმედებაზე; ის შეიტანს მაში სიცივეს, დალლილობას და მოწყენილობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ დანაშაული იქნება არა იდეა, არამედ მწერლის შეუძლებლობა გაერკვიოს მაში და ის, რომ იგი ამა თუ იმ მიზეზის გამო არ გახდა იდეური ბოლომდე. ამიტომ, წინააღმდევ იმისა, რაც პირველი შეხედვით გვვიჩნია, აქ საჭმე არის არა იდეურობაში, არამედ, პირიქით, იმაში, რომ არაა საქმარისი იდეურობა⁴. გ. პლეხანოვის ეს სიტყვები თავისთვალ, უკომენტარიოდაც ბევრი რისამე მოქმედია. ეს სიტყვები თოთოეული პროლეტარული მწერლისათვის სახელმძღვანელო, დებულება უნდა იყოს.

მაგრამ, რასაკვირველია, შარტო საზოგადოებრივი სწავლა არაა საქმარისი, გარდა ამისა პროლეტარულ მწერლას ესაჭიროება საერთო-საგანმანათლებელო სწავლაც; პროლეტარული მწერლისათვის აუცილებელია ყოველმხრივი და ღრმა ცოდნა. ის კარგად უნდა იცნობდეს ისტორიას, ფილოსოფიას, ტექნიკას, ბუნებისმეტყველებას და სხვ. ასეთი ყოველმხრივი ცოდნა ღიღად აფართოებს მწერლის აზროვნების, ხედვის და გაეგების უნარს.

ბურჟუაზიულ-ფეოდალური მწერლებისათვის დამახასიათებელი სწორედ ასეთი ყოველმხრივი განათლება იყო. ლ. ტოლსტოიმ იცოდა მრავალი ძველი და ახალი უცხო ენა, კარგად ჰქონდა შესწავლილი ისტორია, მეცნიერების სხვადასხვა დარგი, აგრეთვე მან შექმნა ხელოვნების თეორია, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი შეიძლება; ა. პუშკინიც თავის დროს უაღრესდ განათლებული აღამიანი იყო; ასევე იყო ჩენეში პოეტი ა. ჭავჭავაძე. მან იცოდა უცხო ენები, კარგად ჰქონდა შესწავლილი ისტორია და შრომაც აქვს ამ დარგში; ილ. ჭავჭავაძე ხომ ყოველმხრივად განათლებული და მომზადებული იყო თავის დროს. ის სწერდა კრიტიკულ-ლიტერატურულ წერილებს, ისტორიული ხასიათის შრომებს, კარგად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას; ასეთივე იყვნენ მსოფლიო ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებიც; დანტე ალიგიერი, შექსპირი, გიორგი, რესთაველი და სხვ. ისინი იდგენ თავისი დროის საზოგადოებათმეცნიერებისა და ზუსტ მეცნიერების მიღწევათა სიმაღლეზე. ჩვენს დროშიც ასეთი მოვლენა იშვიათი არ არის ბურჟუაზიულ მწერლებს შორის.

დაბოლოს პროლეტარულ მწერალს ესაჭიროება სპეციფიურ ლიტერატურული, კ. შ. ფორმალური, სწავლაც. აუცილებელია პროლეტარული მწერალი კარგად ერქვეოდეს მხატვრული ნაწარმოების წერის ტენიკაში, იცოდეს ლიტერატურის თეორია და სხვ.

აქვე საჭიროა, რომ პროლეტარულმა მწერალმა ამ საქმეში მოიხმაროს აგრეთვე კლასიკურებიც, წარსული ლიტერატურის მსოფლიო წარმომადგენლები. მათგან პროლეტარულ მწერალს შეუძლია ბევრი რამ შეისწავლოს, მაგ.. სიუჟეტის განვითარებაში, დერალის მოცემაში, ტიპის დახატვაში და სხვ. რასაკეირველია, პროლეტარულ მწერალს არ უნდა დაავიწყდეს ისიც, რომ აյ მას ესაჭიროება დიდი კრიტიკული აღლოს ქონება. წარსული ლიტერატურიდან მან მხოლოდ იმით უნდა ისარგებლოს, რაც გამოსადეგია მისთვის.

იმისათვის, რომ პროლეტარულმა მწერალმა უცხოელი მწერლების ნაწერების ორგინალი გაიცნოს, რაც ჩენის აზრით, აუცილებელია, საჭიროა უცხო ენების ცოდნა, უცხო ენების შესწავლა. როგორც ვიცით, მხატვრული ნაწარმოები თარგმნის დროს ბევრს რასმე ჰქონდას (მაგ. სტრილის, სიტყვის კონსტრუქციის და სხვ. მხრივ). უცხო ენის მცოდნე პროლეტარულ მწერალს კი საშვალება ექნება ორიგინალში გაიცნოს უცხოელი მწერალი.

ასეთია პროლეტარული მწერლების ამოცანები სწავლების საქმეში...

ამგვარად ლიტერატურული უცოდინარობის მოსპობა და კულტურული დონის ამაღლება,—აი ის ძნელი, მაგრამ ძირითადი სამუშაო, რომელიც დღეს სდგას პროლეტარული მწერლობის წინაშე.

შ. რადიანი

მთარღის შენიშვნები

გასულ ზაფხულში, გაზეთ „კომისომოლსკაია პრაედა“-ს ინიციატივას კოლმეურნეობებში მწერლების და მხატვრების მგზავრობის მოწყობის შესახებ როგორც პარტია, ისე საბჭოთა საზოგადოებრივობა კმაყოფილებით შეეგება. ბევრმა მწერალმა განაცხადა მეზაერობაში მონაწილეობის მიღების სურვილი. ეს აღვილი ასახსნელია, რაღვან ერთი მწერლის (ნიკულინის) გულახდილი განცხადება: „მე არ ვიცი რუსი გლეხის ცხოვრება“ დამახასიათებელია თანამედროვე მწერლების უმრავლესობისათვის. ეს მგზავრობა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სოფელში კლასობრივ დამოკიდებულებათა სისწორით გარკვეული და და იმ გზების გამოჩენა, რომლითაც მიღის სოციალისტური მშენებლობა ჩეცნი კავშირის მიერადნილ კუთხებში, უპიროვეს და უდიდეს ამოცანად დგას საბჭოთა და პროლეტარული მწერლების წინაშე.

ამ ამოცანის შესასრულებლად საქართველოში ჩეცნი მწერლების მხრივ ჯერჯერობით ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. გვვონია, თითქო ყველაფერი რიგხეა, მუშათა კლუბებში გამოვლივართ მოხსენებებით, ლექსებით, ერთი სიტყვით, მქიდრო კავშირი გვაქვს მუშათა მასასთან; ძაგრამ როცა ლრმა დაკირვებით გადავავლებთ თვალს იმ პროდუქციას, რომელიც მუშათა კლუბებში გამოგვაქვს და რომლითაც აქრელებულია ჩეცნი უურნალ-გაზეთები, მეტად უნუგეშო მდგომარეობას დაეინახავთ, ჩეცნ არ ვიცნობთ საკიროებისამებრ მუშების ყოფა-ცხოვრებას. ამ უარყოფით მოვლენას ვერ გამოასწორებს ჩეცნი „გასტროლები“ საკლუბო სკენებზე.

• მწერლობას ილიზრდელობითს უნარს ვერავინ დაუკარგავს; ცხოვრების ფორმათა ცვალებადობაში, მათ დადგინდებაში, იდამიანთა დამოკიდებულების განმტკიცებაში მწერლობამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს; ჩეცნ კი, არამცუ მუშის 24 საათის, — თავისი შრომით. სიხარულით, ოჯახური ურთიერთობით, არამედ მისი ერთი უბრალო საღილობის აღზრუაც არ შევეიძლია ხეირიანად.

პროლეტარული მწერლის შემოქმედებაში მის პირად ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, პროლეტარული მწერალი უპირველეს ყოვლისა თანამედროვე მოწინავე მოქალაქეა და, როგორც ასეთი, ახალი ცხოვრების ფორმების და ყოველდღიური წერილმანების ჩამოყალიბებელი; მისი პირადი ცხოვრება თუ ამ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ ის უკან ჩჩება მოწინავე რიგებს და ვერავითარი დირექტორების და გაზეთების მეთაურების გალექსვა მას ვერ უშველის.

ყველაზე დიდი და საკირო წიგნი მწერლისათვის ცხოვრება არის.

ა/ქ საოლქო კომიტეტის უკანასკნელ პლენიშე ამბ. რუბენშა თავის მოხსენებაში „სოფელი მუშაობის შესხებ“ სამართლიანად აღნიშნა, ქართულ ლიტერატურაში სოფელი არ ჩანსო.

ზოგიერთ ამხანაგებში ამბ. რუბენის აზრმა გაკვირვება გამოიწვია.— მთელი ქართული ლიტერატურა სოფელი არის, რაზე სწერებ გამსახურდია, ჯავახიშვილი, შანშიაშვილი, ქაჩელი და პოეტების უმრავლესობა, თუ არა სოფელზეო!

ამ ამხანაგებს ერთი რამ აეიწყდებათ: დღეს სოფელზე წერა
ნიშნავს საბჭოთა სოფელზე წერას სხვა სოფელი არ არსებობს. სა-
ბჭოთა სოფელი კი კლასობრივი დიფერენციაციის, კონპერაციის და
კოლმეურნეობის გარეშე არ წარმოიდგინება. დღეს სოფლის მოწი-
ნავე ძალას მოჯამავირეობა ღარიბი და საშვალო გლეხობა წარ-
მოადგენს, რომლებიც გაატორებით ემრჩევიან კულიკობას; არის თუ
არა ასეთი სოფელი ჩვენს ლიტერატურაში? არ არის სრულიად, თუ
მხედველობაში არ მივიღებთ ორ სამ ნაწარმოებს, რომლებშიდაც
ისე გადამახინჯებული იყო თანამედროვე სოფელი, რომ უკეთესი
იქნებოდა არ დაბეჭდილიყო ისინი. ქართული ლიტერატურა სოფელია,
მაგრამ ისეთი სოფელი, რომელიც საბჭოთა სოფლის მშენებლობის
ბორბლებს სარს უყრის და ანერებს.

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სრულებით არ არის საჭირო
სოფლის ყოფა-ცხოვრების გაცნობა დღეს; მან მარსზედაც რომ იცხოვ-
როს, იქაც მშენებივრათ დასწერს მეორე „ჯამუ“-ს, რადგან საუცხოვოდ
იცის ის სოფელი, რომელიც მის კლასობრივ ბუნებას შეეფარდება.

სხვაგვარ მდგომარეობაში არიან პროლეტარული მწერლები.
ჩვენ შესაფერად არც ახალი და არც ძველი სოფელი არ ვიცით.
ამიტომ ჩვენი იარაღით, მხატვრული სიტყვით, სათანადოდ ვერ ვი-
ხმარებით პარტიას საერთო მიზნის მიღწევაში.

ზაფხულში ამხ. ვ. იმედაძის ინიციატივით მოეწყო სამთავისის
კომუნაში პროლეტარული მწერლების მგზავრობა; სამწუხაროდ, ეს
მშენებირი დაწყება შემთხვევით მოვლენად დარჩა ჩვენთვის. სოფელ-
ში სიარულს ჩვენ არ ვუცემოთ როგორც გასეირნების საინტერესო
ფორმას.

ხალხში სიარულს ისტორიულად ისეთივე მნიშვნელობა ექნება,
როგორიც ჰქონდა თავის დროზე „ხალხსნობას“. გადაჭრით ვამ-
ბობ, გრიგოლ რობაქიძის ვერცერთი ოსტატობით და დიდი ცოდნით
შესრულებული „გველის პერანგი“ ვერ შეეძრება მნიშვნელობით იმ
ნაწარმოებს, რომელშიდაც სოციოლოგიური ანალიზით იქნება მო-
ცემული სამთავისის კომუნამდე ქართული ტეტიის მიმყვანი გზა.

რასაკვირველია, მე არ ვამბობ, რომ ჩვენ ორსაათიანი დარბა-
ზობით, „ვიზიტით“ შევძლებით ახალი, ხელუხლებელ მასალის გაფორ-
მება; არცერთ მწერალს არ ჩაეთვლება სირცხვილად, თუ რამდენიმე
მგზავრობის შემდგომაც ის ხელცარიელი დაბრუნდება.

არა შემთხვევით მოვლენად, არამედ ყოველდღიური მოთხოვ-
ნილების საქმედ უნდა გადავაქციოთ სოფლებთან მწერლების კავშირი.

შემთხვევითი „ვიზიტებით“ მწერალს უსწორო წარმოდგენა
იოლად შეიძლება შეექმნეს თანამედროვე საბჭოთა სოფელზე, კოლ-
მეურნეობის ცხოვრებაზე. მას გაიტაცებს გარეგანი სანახაობა, კარ-
გად დათესილი ყანები და ბალები და მთელი სილრმით ვერ ჩასწევდე-
ბა იმ წინააღმდეგობებს და ნაკლს, რომლებსაც ხშირად ადგილი იქნა-
საბჭოთა სოფლის კოლმეურნეობის ცხოვრებაში. დაემართება ისევე
როგორც ერთ რუს მწერალს დაემართა; კოლმეურნეობის მუშაობაში
შეაქმ 175 მანეთი წმინდა მოგება, ექსპლოატაციური წარმოებიდან
დარჩენილი.

ხელმძღვანელმა ორგანოებმა უნდა გაუწიონ დახმარება და ხელ-
მძღვანელობა მწერლებს სოფლებთან კავშირის გაბმაში,

ჩვენ გვჭირდება „ხალხოსნობის“ ეს ახალი სახე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ლიტერატურული უციცობის და ხალხის წინააღმდეგ,

1.

„პროფესორი ი. აბულაძე კულტურისათვის იბრძვის!“

ჩვენ ბევრი ვწერეთ იმის შესახებ, თუ დიდ ტირაუინი ფერად
პროშურებად აკინძული ხალტურა როგორ მოემართება სტანდებიდან
მკითხველ ფენებისაკენ. არა ერთხელ მიუჰთითეთ მთავლიტსაც, მაგ-
რამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ლიტერატურინი, განსაკუთრებით
ბოლო ხანებში, მონდომებით ებრძვის ამ ნიაღვარს, მისი პატარა
შენაკადები ხვრელს შაინც პოულობენ და გარკვეული ხაზით მიიმარ-
თებიან.

დღეს რატომდაც ყველას სურს მწერალი გახდეს, მწერლობა
ადვილ საქმედაა „გამხდარი“ და ყოველი ცოტად თუ ბევრად წერა-
კითხვის მცირენე იყანე თავის თავს უპირველეს ყოვლისა მწერლო-
ბაში სცდის: ეთამაშება რითმებს, აგროვებს ანეგლოტებს და ლიტე-
რატურულ ქორებს ავრცელებს.

ამის წინად გაძ. „ახ. კომუნისტის“ რედაქციას ვინმე კაპანაძემ
ჩაქვიდან „ლექსი“ გამოუგზავნა და კატეგორიულად მოითხოვდა მის
დაბეჭდვას. ავტორს თხოვნას ეუსრულებთ და სანიმუშოდ მთლიანად
მოგვყავს ეს მხატვრული სიბინძურე და უვიკობა:

„მუშის გოდება“

სევდის ბალში აეიზარდე,
დედამ ნანა მიგალობა.

ლენინიზმა კით მომბერა.
 მშრომელ ხალხის რწყელი გრძნობა.
 კომ-კავშირმა, კომ-პარტიამ,
 შემაჩინა ზენა ციალს;
 და მარქისიმა ფრთა შემასხა,
 შემაჩინა მუშარ ტრფიალს.
 მით გავაძი წმინდა ქსელი,
 დაფერილი ოქროს ფერად.
 უკლავებამ ჩანგი მომცა,
 მშრომელ ხალხში ასაელერად.
 აშ ვლალადებ, მშრომელ ხალხში.
 მათ შევასმენ გამოძახილს.
 სანთელს უნთებ, მე მომავალს,
 სრულყოფილს და ვნებით აღვსილს.

როგორც ხედავთ, ეს საშინელებაა და არა ლექსი, აქ ყველა-
 ფერია, გარდა მხატვრობის და იდეურობისა. გაპოეტების სურვილით
 შეცყრობილი ახალგაზრდა „სანთელს უნთებს ვნებით ალვებილ მო-
 მაგალს“ და ა. შ. ასეთი „პოემები“ კი ბლობად მოიპოვებიან სა-
 ქართველოში, მის ყოველ კუთხეში, ყოველ უბანში, ყოველ დაწესე-
 ბულებაში და თითქმის ყოველ ოჯახში!

მაგრამ ეს მოვლენა იძლენად დიდი ზიანის მომტანი არაა, რამ-
 დენადაც ის ჭრევა, როდესაც რომელიმე „ავტორიტეტიანი“ ფი-
 ლისტერი ასეთ ხალტურას მიღწევად ასაღებს.

მწერლად გახდომის ავადყოფური სურვილით შეცყრობილმა
 ვინმე სხვიტარიძე ძუკუ ლოლუას (ხალხური სიმღერების მომღე-
 რალთა გუნდების ერთ-ერთი ხელაძლვანელი იყო) ბიოგრაფია დას-
 წერა და ყვითელებანიან ბრუშურად გამოჰყინა წიგნის ბაზარზე. რო-
 გორც „წესია“, ამ წიგნაქს ფოტო-სურათიც აქვს დართული და
 იცით ვისი? არა ლოლუასი, არამედ მისი „ბიოგრაფიის“ — ვინმე
 სხვიტარიძის! ქართველი მწერლობის უზომი დიდ ლაშქარს კიდევ
 ერთი რაინდი მიემატა. მაგრამ ყველაზე სამწუხაო ისაა, რომ ამ
 რაღაცა შეიღვეულიან გაუგებრობას პროფ. ი. აბულაძის „დიდი“
 სტილის წინასიტყვაობა ამაგრებს. მთლიანად მოგვავს ფილისტე-
 რული აზროვნების ეს კლასიკური ნიმუში:

„ამ პატარა წიგნაკით ახალგაზრდა მწერალი აქაკი სხვი-
 ტარიძე უძღვნის ქართველ მეიოთხელს ძვირფას საჩუქარს. მისი
 ლირიკული ნაწყვეტები, რომლის მცირედი ნაწილიც აქ ისტამ-
 ბება, ანუ, უკეთ, თვით ავტორის განცდანი და ჩაბეჭდილებანი

პირდაპირ შედევრად უნდა ჩათვალოს ჩვენს ლირიკულ პოეზიაში და იძლევა სრულ გარანტიას, რომ მათს აყორიში გამომუშავდება ნიჭიერი ქართველი მწერალი; აქ განხაკუთრებით იქცევს ყურადღებას თავისი მაღალი ლირისტით ძუკუ ლოლუას გარდაცვალების გამო გამოწვეული მაღალი აზრები და ფიქრები. აქ ცველაფერი საუცხოვოა, ცველაფერი სულ-დგმულებს და მოძრაობს, როგორც ორგანიულს, ისე არა ორგანიულ სამყაროში; ბუნების აღწერილობა და ვნებათა ღელვა, ადამიანის სულის ყოველის მომენტის მოძრაობა და სიცოცხლის ძალის ძლიერი ფეთქვა—ყველა ეს თავის უმაღლეს წერტილს აღწევს. აქ ცველაფერი მშევნიერია და მოხდენილი, ცველაფერი თავის ადგილზეა, თითქო თვით ბუნებას ასე შეუქმნია და გაურიგებიაო. ლამაზი პოეტური ენა, ცხოვრების სურათების და ვნებათა ღელვის ოხრატური დახურათება, ღრმა ფიქრთა და აზრთა სადა და მარტივად გამოხატვა (იხ. განხაკუთრებით „ძუკუ ლოლუა“)—ყველა ეს სასიამოენო საკითხავად ხდის კაჯი სხვიტარიძის კალმის ამ ცდას.

(ი. აბულაძე).

რამ დაუჩრუნგა პატივუმულ პროფესორს გემოვნება და ვაკების უნარი? ნუ თუ უშნოდ დაწერილმა ბიოგრაფიაშ (საიდანც მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ „სიცოცხლე ქარია“, ლოლუას საჩერები აეკისთან და ტფილისში გრიშაშვილთან ფოტოგრაფიულს სურათებში გადაულია. ნოტო ძექუს და ყოფილა და სხვა). იმის საფუძველი შისცა ბ-ნ იუსტინეს, რომ ვინმე ცხვიტარიძის შეიღებულიანი (5/8) ჩხირეკედელაობა „პირდაპირ შედევრად ჩათვალოს ჩვენს ლირიკულ პოეზიაში“ და სხვ.

მართალია, პროფ. აბულაძემ უკვე დაიმსახურა საზოგადოების ყურადღება თავისი უკეცად შედგენილი რუსულ-ქართულ ლექსიკონით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშანებს, რომ პატივუმული სწავლული მთლიანად უმიკრესი წინააღმდეგობის ხაზით უნდა წასულიყო. არ გამართლა „ჩამორჩენილმა“ საზოგადოებამ პროფ. აბულაძეს რუსულ-ქართული დომხალი, თავისი შემოქმედებითი ენტრეგია „ახალი“ ძალების წამოწევის სიმპატიურ საქმეში გადიტანი და თავისი პროფესორული სიმაღლეებიდან ზემოთ მოყვანილი „აკადემიური სიბრძნე“ გააბნია.

ძალზე სამწუხარო მოვლენაა. რომ საბჭოთა „პროფესორი“ უკულტურობის, უცოდინარობის და ხალტურის აპოლოკეტის როლში გამოდის; სადაა, პროფესორო, პასუხისმგებლობის და ზომიერების გრძნობა?

ვაი სირცხვილო!...

გიორგი ჩარხიშვილი: „როსკიპ როზას თავგადახადი“.

ასეთი მწერალიკ ცხოვრობს საქართველოში! გიორგი ჩარხიშვილი, რომელიც სიმართლე უნდა ითქვას, დიდი ხანია რაც ებრძეს კალამს, მაგრამ სამწუხაროდ მან ჯერ ღირებული ვერაფერი შეჰმატა ქართულ მხატვრულ მწერლობას.

ბევრი ვწერეთ ბულვარულ და მოხეტიალე ლიტერატურის შესახებ ამიტომ ერთვარ უხერხულობას ვგრძნობთ, რომ კვლავ ამ თემას უნდა დაუბრუნდეთ. მდგომარეობა კი ისეთია შექმნილი, რომ ქართული წიგნის ბაზარი საეჭვო ხასიათის გამოცემებით ივსება. ჩვენ მხედველობაში კონკრეტულად გ. ჩარხიშვილის მოთხრობა (ზესამე გამოცემა) „როსკიპ როზას თავგადახადი“ გვაქვს, რომელიც დ. კასრაძის „როსკიპის“ უზნარო, ცუდი მიბაძვა და ისეთივე საზოგადოებრივ-ლიტერატურული ღირებულებისაა, როგორც ეს უკანასკნელი.

„როზას“ მხატვრულ ღირებულებაზე არას ვიტყვით, ვინაიდან შესრულების მხრივ საოცრად სუსტია: სიუკეტური სივიწროვე, ყალბი მოყოლა და დიალოგები, უმოტივო გადასვლები. როზას მთელი „ისტორია“ ძირითად სიუკეტან სრულად დაუკავშირებლად ჩართული მომენტებითა სავსე. მოთხრობის გაბერვისათვის ავტორს პერსონაჟების რიგი შემოჰყავს, რომელნიც მოთხრობის ფურცლებზე უსიცოცხლოდ დაცანცარებენ. სიუკეტის სიღარიბესთან დაკავშირებით ძალზე სუსტია სახვის საშუალებანი: არც ერთი ცოცხალი სიტყვა, სახე, გამართული წინადადება და სხვ. ერთის სიტყვით, უშნოდ დაწერილ საგამომძიებლო აქტს უფრო წააგავს ვიღრე მხატვრულ ნაწარმოებს.

მოთხრობა გარევეულად მეშჩანურია, მეშჩანი (ობივატელი) აქტუალურად დაინტერესებული არაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით. მისი პრაქტიკული საქმიანობა მთოლოდ პირადულ კეთილდღეობისათვის ზრუნვაშია მოქცეული. ჩარხიშვილის სარეცენზიო მოთხრობის პერსონაჟები სრულყოფილი მეშჩანებია, წარმოიდგინეთ ისინაც კი, რომელნიც, ავტორის გაეგებით, მოწინივე ელემენტები (გიორგი, და მისი მეგობარი) უნდა იყვნენ. აი რაზე ოცნებობს უმთავრესად, მაგ. გიორგი: „ის მხოლოდ მით იმედიანობდა, რომ საშუალო სწავლის შემდეგ, საექიმო ფაქულტეტზე დაიწყებდა სწავლას და ექიმის ხარისხის მიღების შემდეგ, არც ანიკოეტულდა უარს. ეს იყო გიორგის მიზნი“ და ა. შ. ასე წარმოდგე-

ნილი მოთხრობაში „დადებითი“ ფიგურა გიორგი და ოლსანიშნავია, რომ თუ მას თავში რაიმე სახოგადოებროვ სასარგებლო იდეა დაებადა ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ხაყვარელი ქალის თვალში მოწინავე ელემენტად გამოჩნდეს, (მეშჩანის ფსიქოლოგია).

ბაეშობიდანვე უყვარს გიორგის ანიკო, მაგრამ ცხოვრებამ, გარკვეული მიზნების გამო, ერთმანეთს დააშორა ორი გული; აქედან იწყება სიყვარულის პატარა ამბავი.

ანიკო არის ტოკერატიულ ცხოვრებას ეწევა, გიორგი კი უმუშევარია და ლუქმას დაექცებს. რამდენიმე წელი ჩაბარდა ისტორიას და გიორგი საროსკიპოში შეხვდება როზად გადაქცეულ ანიკოს, ისევ დაშორდებიან. გიორგის ლაზარეთში გაამწესებენ სამუშაოდ, სადაც ხელმეორედ შეხვდება უკვე მომაკვდავ ანიკოს. გიორგი სულელივით თავს იქლავს.

მთხელი დაეგად იმისა, რომ ბულვარული ლიტერატურის მიერ ათასჯერ გამოყენებული ეს „საინტერესო“ მომენტი თავისთვალ დრამატიული ამბავია, ავტორის უწარიანობის გამო სულ საწინააღმდეგო კომიკურ—ეფექტს იწვევს.

ახლა არ იყითხავთ, რა „ფილოსოფიაა“ გაბნეული მოცემულ მოთხრობაში? მეშჩანობა; ამითვარებული ვითომდა რევოლუციონურ იდეებს, თუმცა ამის დანახვა არც ისე ძნელია. თუ მივიღებთ რომ როზას სახით აეტორი ლაპარაკობს, მაშინ მეშჩანურ მოსახრებათა და განწყობილებათა ასეთ რიგს მივიღებთ:

1. „ნამდვილი სიყვარული დედამ-წის ზურგზე არ არსებობს“ (საინტერესოა ვიცოდეთ, როგორია ეს „ნამდვილი სიყვარული“ ან რამდენი ცხენის ძალისაა, თუმცა ჩარჩიშვილის ლექსიკონით სიყვარული—ასეთი ძალაა, რასაც „ციდან ჩამოსული ანგელოსიც ვერ გაუძლებს“).

2. „ხიცოცხლის პოეზიას მხოლოდ ქალი და მიხი ფაქიზი ხიცვარული შეადგენს. ქალი მთელი მხოფლიოს ხიცოცხლის იდეალია“ და სხვ.

ქალის ასეთი გადაჭარბებული იდეალიზაცია, ქალის „სიცოცხლის პოეზიად“ წარმოდგენა არსებითად დეკანდიტური და წერილ ბურუჟაზიული მოვლენაა. ჩარჩიშვილს „საკუთარი“ პლატფორმა აქვს ე. წ. „ქალის საკითხში“ (იხ. თუნდაც მისი ყოვლად ობივატელური „რომანი“: „ცხოვრება და სიყვარული“) ქალი სიკეთის, სიმშენიერის ჭურჭელია, მამაკაცი კი—ყოველგვარი სიბილწის. ეს თვალსაჩინოდ იქიდანაც ჩანს, რომ „როსკიპ როზას“... ყდაზე შემდეგი არქეული და ამავე დროს კომიკური მინიჭერია:

„მამაკაცი ცბიერია ნუ იწამებ შენ თავ ჯვარზე არ დაგინდობს ისე გავცვლის, როგორც ატლას ბინძურ ჩვარზე“.

ცოცხალი, რომ იყვნენ ნეტარხსენებულნი იქსო ნაზარეველი და მუჰამედი, ჩარხიშეილი მათ „ლეთიურ რისხეას ვერ გადურჩებოდა ამ ქალური გადახრისათვის?“

ისე, რომ „როსკიპი როზა“... ჩვეულებრივზე მდარე ბულვარული მოთხრობაა, მელოდიამული ნომრებით დატენილი. მართალია, მოთხრობა წარსულის ფონზეა გაშლილი, მაგრამ ეს არაფერს არ სცელის.

ამ ობივატელური პახლიობების მესამედ გამოცხობა დიდი დანაშაულია საბჭოთა საზოგადოებრივობის წინაშე.

გადამჭრელი ზომების მიღებაა საჭირო ბულვარული მწერლობის და ლიტერატურული უფიცობის წინააღმდეგ

ვ. ლუარხაშვილე.

მოხალისე ეჭიმბაზი

ანუ

ვინ „იცავს“ პროლეტარულ მწერლობას?

ბათომში თეატრალური სანახაობით ვერთობოდი. პრ. მწ. ასოციაციის განყოფილებაში გაცხოველებულ ლიტერატურულ თათბირის შემდეგ, სანახაობა დასუენებას იძლეოდა. ეს იმიტომაც, რომ სანახაობა მართლაც გამრთობი იყო. თანამშობდა ქონდრის კაცუნათა დასი; მაგრამ არა თავის თავს, არამედ ყველაფერში ბაძავდენ დიდებს, „ნამდვილ“ ადამიანებს. მიჯნურობა, ინტერესთა თამაში უკლაფერი „დიდებსავით“ იყო, მავრამ კაცუნათა მანქიობის ხელოვნურობა ცხადია, არ იძალებოდა და ეს მათ მეტის-მეტად სასაცილოთ ხდიდა. ამ სანახაობის მიზანიც კი ეს იყო. კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ მალე დავიუწყე. ვერ წარმოვიდვენდი, თუ ლიტერატურა-შიაც შევცვლებოდი ამ გვარ მოელენას; მაგრამ დიდათ პატივცემულმა „მნათობმა“ მუშიშვილის კრიტიკული რეცენზიით ქვლავ გამახსენა ქონდრის კაცუნათა დასის მსახიობები. დაუკავშირდი მუშიშვილის კრიტიკული „რომანსის“ ყალბ ნოტებს, დიდ სიმაღლეშე აღებულს ტონს და, სამწუხაოოდ, უეცრად შეიცვალა ლიტერატურული დეკორაციები თეატრალურით. წარმოვიდგინე მუშიშვილი სცენაზე. სადაც ის თაგანწირულად „იმღეროდა“ ახალ კრიტიკულ „რომანს“:

ბოდიში... ბოდიში...
 არაფერო არ გამოვა.
 განწყდება ბაჟაყი, უთუოდ გაჩნდება.

დიდია მსგავსება ქონდრის კაცუნათ ა თეატრის მსახიობთან, რომელიც გულდათქული, სამიჯნურო რომანის სიმღერის დროს წელებშე ფეხს იდგამს და კანზი ძერება, რომ დაქმდებავსოს ჩვეულებრივ დიდ აღმიანს. აი ისეთი დამსტგავსების და წაბაძეის ცდა გამოსჭვივის მუშიშვილის კრიტიკული „რომანის“ ყოველ აკორდში. სიბრძნე ზურგიელიძის, კეუის მასწავლებლობა მარჩიელის, რეცეპტები ექიმბაშის და გაანჩხლება ხანგადასული ქალიშვილისა. ამ თაიგულს თუ დაუმატებთ უვიცობით გამოწვეულ გაბედულებას, მაშინ სურათი სრული იქნება.

მუშიშვილის გამოსელა „პროლეტარული მწერლობის დასაცავად“ (პროლეტარული მწერლებისაგან!)... ყურადღებას იქცევს არა თავისი დადგებითი წინით, არამედ საჩერებელი ნიმუშია ახალი სახის ლიკვიდატორობის. პათეტიურად აწეული ხმით მუშიშვილი გავკივის:

„მწერალი-პროლეტარი დიოგენის ფარნითაა საძებანი ჩვენში. ვერც იპოვით. პროლეტარულ ფსიხოლოგიის პოეტი ძალზე იშვიათია პროლეტარულ მწერლებში, ვიტვი გარკვეულ არ არის სრულებით“.

რას ეჩიორება ფეხებში მუშიშვილი ტროცკის და კორონსკის. მოიყანოს ციტატა პირდაპირ მათვან! მაგრამ იქნებ ეს ხელსაყრელი არ არის მისთვის? ეს დებულება მე-199, სრულ უბადრუკობამდე დასული, ვარიაციაა ტროცკის და კორონსკის აზრების, ისიც პირველი საფეხურის. კორონსკი დღეს ვითარდება (თუმცა მისი ძირითადი შინაგანი ბუნება არ იცვლება) ის, აღნიშნავს რა ძლიერი პროლეტარული მწერლების და ლიტერატურის არსებობას, მისი ისტორიული ჰეგემონიის აღიარებასაც კი კადრულობს. გაანჩხლებული მუშიშვილი კი ყველაფერს სპობს. თურმე პროლეტარული ფსიხოლოგიის მწერალი, „არ არი ს სრულ ებით“. შეიძლება ის იმართლებდეს თავს იმით, რომ ამას ლაპარაკობს მხოლოდ საქართველოზე. დაუშვათ, რომ „ჩვენში“ არც ერთი პროლეტარული მწერალი პროლეტარული ფსიქოლოგიის მქონე არ არის; მაშინ ხომ გარკვევითვე უნდა ესთქვათ, რომ ჩვენშა პროლეტარული მწერლობა არ არის სრულ ებით. იმიტომ, რომ არ არს ებობს და არც შეიძლება არსებობდეს პროლეტარული მწერლობაზიული ფსიხოლოგიის მქონე მაშინ ის არ არის პროლეტარული მწერლობა. წვრილ ბურეუაზიული ფსიქოლო-

გიის მწერლობას პროლეტარული არ ეწოდება და ასეთი არც
არსებობს. ეს მხოლოდ მუშიშვილის წარმოდგენაში თუ შეიძლება
არსებობდეს.

მართლა სრულებით არ არსებობს პროლეტარული მწერლობა
საქართველოში? კულტურული წერილ ბურუუაზიული სტრუქტურის ხელშია?
მართლაც რომ მიქარავს მინიატიურული ლიკვიდატორი და კაპიტუ-
ლიანტი მუშიშვილი. პროლეტარული საზოგადოებრიობისათვის ზედ-
მეტია უხეირო პროვოკაციის გარევაზე ყურადღების დაკარგვა.
წავიდა ის დრო, როდესაც პროლეტარულ მწერლობას ულრენდენ
და კაპიტალის შოვნას აპირებდენ მისი სისუსტის გამო. პროლეტა-
რული მწერლობა დღეს განმტკიცებულია მნიშვნელოვანი შემოქმე-
დებითი კადრებით. სხვა საკითხია, თუ რამდენად თვალსაჩინოა ჯერ
კიდევ მხატვრული სიძლიერე, რამდენად იწვევს სხვადასხვა ვადახ-
რებს პროლეტარულ, შემოქმედების გზიდან ნაწილობრივ წერილ-
ბურუუაზიული წარმოშობა და წერილ-ბურუუაზიული გარემოცა. მაგრამ ეს გარემოება არავის არ აძლევს უფლების გამოიგონოს
წერილ-ბურუუაზიული ფიციოლოგის მქონე პროლეტარული მწერ-
ლობის არსებობა. ეს ერთი-მეორის გამაბათილებელია, რასაც ოდნა-
ვადაც მაინც კრიტიკულად განწყობილი აზრი არ დაუშვებს. მაგრამ
მუშიშვილს რა უნდა მოვსთხოვოთ? ცოდნა პროლეტარული მწერ-
ლობის რაობისა, პასუხისმგებლობა თავისი ისტერიული კვირილის
გამო თუ რა?

„მწერალი-პროლეტარი დიოგენის ფარნით არის საძებნი ჩვენში
კურც ისონით.“

ვადაჭრით აცხადებს მსუბუქი „მხედარი“, სათამაშო „თოვფათა
და ჯინჯილით“ აღჭურვილი. რა ნიშნები გვაქვს იმისა რომ მისთ-
ვის სავალდებულო იყოს იცნობდეს ჩეენს მწერლობას, იცოდეს
თუნდ ის გარემოება, რომ მთელი რიგი ჩეენი მწერლებისა, ოცი—
ოცდაათი წელიწადი დაზგასთან იყო და არის, რომ ხეჩუაშვილს,
ნაეთლულელს, შინატეხელს, ასლამაშვილს, დღესაც დაზგასთან
მყოფთ,—იცნობს მუშა მეოთხელის დიდნ მასა: ისინი ნაძალევის
რაიონის საყვარელი მწერლებია. რატომ უნდა შეიწუხოს თავი მუ-
შიშვილმა გაიგოს, თუ მთავარ სახელოსნოებში ვის სთვლიან მწერ-
ლად, ან გზა როგორ აერევა და იქ რატომ და როგორ მიგა!؟ დააცა-
დეთ, მას საქმე აქვს; რუსთველის პროსპექტს ათვალიერებს „დიოგენის
ფარნით“ და იქ მოხეტიალე მწერალთა ფიზიონომისს სწავლობს, რის
შემდეგაც გვაძელნიერებს თავისი აზრების „მნათობის“ ყოვლის ამტან
ფურცლებშე გადმოლაგებით, თუ შემთხვევით გაუგონია მას ხეჩუა-

შეიღლ-ნავთლულელის სახელი, ის მათ მწერლად ხომ არ ჩასთვლის. სად გაგონილა ასეთი ამბავი, რომაქიძე ან ტ. ტაბიძე რას იტყუისა კაცს სურს ლიტერატურას გვერდით ამოუდგეს და თუ პატარა „ესთეტობა“ არ დაიწყო, როგორ იქნება!..

აი ასეთია „ჩევენებური“. სახე კაპიტულიანტობისა და ლიკვიდატორისა, უხეში და პრიმიტიული ფორმის მქონე.

მუშიშვილი „ალრმავებს“ თავის ლიკვიდატორულ აზრებს და სასაცილო კურიოზებამდე მიდის. ვორონცის დიდი ლიტერატურული ცოდნა-კულტურა აქვს (სხვა საკითხია, თუ რა გვარია ეს ცოდნა), მუშიშვილი კი პეპელასავით საცოდავად დაფარფატობს.

გავეცნოთ კურიოზების ზოგიერთ ნიმუშს;

„საქართველოს მთებითა და ვაკეებითა შემოლობილი პროლეტარული მწერლობის გონებრივი პორიზონტი და შესაძლებლობა“ (კურისი ჩვენია ბ. ბ.).

რომელ საუკუნეში ცხოვრობს ამ აზრის ავტორი? რატომ არის „შემოლობილი“ პროლეტარული მწერლის გონებრივი პორიზონტი და შესაძლებლობა, საქართველოს მთებითა და ვაკეებით? გავწიროთ თავი და კიდევ მოუკინოთ მუშიშვილს, იქნებ მოვუნახოთ მის აზრებს რაიმე ადგილი დროსა და სივრცეში.

„სრულებით მოხდენილად და მოსწრებულად აღნიშნავს ამას თვით პროლეტარული პოეტი კარლო კალაძე:

„სახელდიდება ხომ არ მექნება სახარბიელო,
აღმოსავლეთით აკრავს ფოილო, ირგვლივ მთებია.
მოდიან ზღვამდე და მერე ზღვაშივე იძირებიან.
ეგ არის სულ სამშერლო თვალი და სარბიელი“...

სრულ სიმართლეს ლაპარაკობს კარლო კალაძე, ჩვენი პროლეტარული მწერლობის გონებრივი განვითარების და მხატვრული შემოქმედების ტერიტორია, უმთავრესად, ფოილოთი და ზაფი ზღვითა შემოფარგლული. ამას გრძნობს თვითუელი პროლეტარული მწერალი, რომელიც პოეტ-ყოყინობით არ დაბრმავებულა-ორივე თვალით მაინც, და არ შეპყრიბილა-მთლიანად მაინც-ნაადრევი განდიდების მავნე მანიოთ“.

მართლაც და ეს „მოხდენილი და მოსწრებული“ დასკვნები ყოველგვარ მოლოდინს და შესაძლებლობას აქარბებს. „ვიტუვი გარ-კევით“ ეს აზრი უბადრუკობის და ყეყეჩობის რეკორდია. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ის პატიოსანი ცხოველებიც კი, სოფ. დილომიდან რომ ჩამოდიან ყოველ დილით მაწონით დატვირთული, აღარ ფიქრობენ „შემოლობილი მთები და ვაკეები“ შესაძლებელია იყოს მიზეზი გონებრივი პორიზონტის სივრცით. შეძეველად იციან მათაც, რომ დღეს თუ ტფილისში ჩამოდიან,

ხეალ შეუძლიათ ნავთლულშიც ჩავიდენ შემდეგ ბაქოსაკენაც გა-
დაუხვიონ, ერევნისაკენაც.

მათ რომ იკოდენ წიგნის არსებობა. შეეძლოთ გაგება პუტენ-
ბერგის დამსახურებისა კაციობრიობის წინაშე. მაშინ, ალბათ, მეტი
გაბედულებით გამოვიდოდენ ტერიტორიალური „ლობების“ წი-
ნაალმდეგ დაუმტკიცებდენ მუშიშვილს; რომ გონებრივ ჰიურიშონტ-
თან არავითარ შეაში არ არის ნავთლული და ფოილო.

შენიშვნა მუშიშვილის საყურა და და ბოდ და: პუტენბერ-
გი იყო პირველი ადამიანი, რომელმაც გამოიკონა წიგნის ბეჭდება. მას შემ-
დეგ წიგნის და ყოველგვარი ხასეჭდის კულტურა გასაოცრად გაიზარდა,
დღეს ყველა ენაზე მოედს მსოფლიოში გამოიის ასიათასობით, მილიონო-
ბით წიგნი, უზრუნალი, განეტის. მათში მოკრებილი ყოველგვარი ცოდ-
ნა, აზრი, აღბეჭდილია საზოგადოებრივი ცხოვრების სახე, კლასთა ურთიერ-
თობა და ბრძოლა. „გონებრივი ჯანვითარებითავთვის“ აღარავთარ შემს-
ლუდელ როლს არ თამაშობს ტერიტორიალური სასლევრები. ბეჭდების
საშუალებით კაცობრიობამ გადალახა ყოველგვარი ფოილო და შავი ზღვა.
საქართველოში წიგნის ისტორია სამასი წლის ხდება. ებლა გვაქვს სა-
ხელგამი, სადაც ზის ბ. ბიბინენშვილი და გულანდოლიანი გამუდმებით უშინ-
ჯავს წიგნების ქარხანას მაჯისტრებას თუ ქართველმა პროლეტარულმა
მშერალმა არ იყის უცხო ენები (რაც სამშესარო და შემცერებელი მოვ-
ლენა იქნება), მისი „გონებრივი პორიზონტი და შესაძლებლობა“ მაინც
არ იქნება შემოფარგლული ფოილოთი და შავი ზღვით. სახელგამი, გარდა
მუშიშვილის მიერ შემთხვევით მოჩაბული აზრებისა ბეჭდებს სტალინს,
ლენინიშვის საკითხებს, გამოიდის ლენინის ტობები. განხრასულია „კაპიტა-
ლის“ გამოცემა და სხვა. სახელგამშივე სისტემარატურად გამოიდის „პო-
ლიტ-ანაბანა, რომელიც უპირველეს ყოვლისა მუშიშვილს უნდა შეეწავ-
ლა, რითაც ის, „ვიტუვი გარკვევით“, გასცილდებოდა იმ პერიოდის აზრებს,
როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ მთლად არ იყო გამოსული მაიმუნობის
საფეხურიდან.

ეს გარემოება ნიშანეს მას, რომ ქართული ქინის ანაბარად დარ-
ჩენილი პროლეტარული მშერლისათვის და მისი განებრივი განვითარე-
ბის და მხატვრული შემოქმედების პორიზონტისათვის აღარაღებრს არ ნიშ-
ნავს დილომი და ნავთლული, ფოილო და შავი ზღვა. ჩვენ გვიხდება ამ
ანაბანის განმარტება იმიტომ, რომ არსებობს მუშიშვილი. ეს კიდევ არა-
უერთია, — არსებობასთან ერთად ბეჭდავს ისეთ „ნაცოლევილებს“, სადაც
შეუდარებელი. ყოველმხრივი უციცობით ხურავს ჯერ კიდევ შორეულ
წინაპართა მიერ აღმოჩენილ ამერიკებს. ისე ყველასათვის უდემტია ასეთი
ანბანის გახსნება. არამც თუ იყის, ყველამ არმედ კიდევაც სარგებლობს
ინტერნაციონალური დაკავშირების ყველა მიღწევით. დღეს შესაძლებელია
ისხდეთ ტფილიში, სენატი პატრიკეთში (სოფელია ქუთაისის ახლოს) ისულაში, (სოფ. სენაკის ახლოს) და რადიოთი მოელი უნივერსი-
ტიტი დაამთავროთ (ებლაან დაარსებულა რადიო უნივერსიტეტი, რომ-
ლის მსმენელები გაფენილია თეატრი ზღვიდან, შავ ზღვამდე, ფოილოდან
ჩინეთის ველებამდე).

პროლეტარულ მწერლობას საკუთარი ინტერნაციონალური ბუნება უკარნახებს გადალახოს ყოველგვარი. ტერიტორიალური ზღუდე, გასცილდეს ნაციონალურ კარხავიტილობას. შევე შექმნილია ამიერკავკასიის ორგანიზაცია პროლეტარული მწერლებისა, გაერთიანებული ვართ საკავშირო მასშტაბით, თანდათანმით მუშავდება სრული ფორმები ინტერნაციონალური დაახლოებისა, გონიერიე ჰორიზონტის გაფართოებისა. თითოეულმა პროლეტარულმა მწერალმა იცის და უნდა იცოდეს, რომ მას შეუძლია და ვალდებულია სწერდეს არა მარტო მის ირგვლივ არსებულ წრეზე; აშშუოზე, არამედ უნდა გადადოდეს საერთაშორისო მდგომარეობაზე, საერთაშორისო საკითხებზე უნდა იძლეოდეს პერსპექტივებს. მაგრამ, თურმე, ამაო ყოფილა ყველა ეს ცდა მთელი ეს სწრაფვა. გამოდის ვინმე მოცემული (უკველად სიბნელის) და ღალადებს: თქვენი საშველი არ არი, აქეთ ფოილოა და იქეთ შავი ზღვა, აქ მთა და იქ გორაკი. მორჩა და ვათავდა. ეს არის გონებრივი განვითარების არე და მხატვრული შემოქმედების შესაძლებლობა. და ყუჩით და დაეტიქო „შემოლობილ“, „შტილი“ მუშიშვილისაა. ფარგლებში. ამის იქით ვადაკვეტა არ სცადოთ თორებ მე ეს არ „მომეწონება“, ყოყონიბად ჩამოგართმევთ, ორივ თვალით დაბრმავებულად ჩაგოლით. ისწავლეთ კუთხა კარლო კალაძისაგან, უსმინეთ, რას ლაპარაკობს „მოსწრებულად“ პოეტი:

„სახელ დიდება ხომ არ მექება სახარბივლო,
აღმოსავლეთით აკრავს ფოილო, იზგვლივ
მთებია.“

• • • • •

ეს არის სულ სამწერლო თვალი და ასპარეზი.

აპა, ხომ ხედავთ, სად არის „სრული სიმართლე“ კარლო კალაძის... „ამას გრძნობს თითოეული პროლეტარული მწერალი, რომელიც პოეტ-ყოყონიბით არ დაბრმავებულია ორივ თვალით მაინც— და არ შეპყრობილა—მთლიანად მაინც—ნაადრევი განდიდების მანიით“ („შტილი“ მთლიანად— მუშიშვილისა. ბ.) პოი, უმეცრებავ და უბადრულობავ! რაოდენად უსაზღვრო და ყოვლის დამტევი ყოფილხარ! კარლო კალაძე ფოილოს და შავ ზღვას ეჩეხება და ეხლება სწორედ ერთგვარი პოეტ-ყოყონიბის გამო: პოეტი გარკვევით ლაპარაკობს, რომ ეს საზღვრები მისი მწერლური „სახელ დიდების“ ზომის საკითხია. მწერალი იმდენად „დიდად“ გრძნობს თავს, რომ თავის სამოღვაწეო „სარბიელად“ არ ყოფნის ეს ტერიტორია. ის არ სცნობს შესაძლებლად და თავის „სახელდიდების“ ზომისათვის ხელსაყრელად დაეტიქოს ამ ფარგლებში. მაგრამ კ. კა-

ლაბე არაეითარ შემთხვევაში არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ ფო-
ილო და შავი ზღვა იყოს მიზეზი შემოქმედებითი სისუსტის, მწერ-
ლის სიპატარავის. კ. კალაბე არ გულისხმობდა, რომ ეს საზღვრე-
ბი გონებრივი განვითარების და პორიზონტის სივიწროვის გადაუ-
ლახველი მიზეზი იყოს. ეს მხოლოდ მუშიშვილის მიღწევაა.

შეუძლებელია შევწერდეთ მუშიშვილის აზრთა ყველა დანარ-
ჩენ „მარგალიტზე“, გაყვრით აღნიშნოთ მხოლოდ მთავარი. მუში-
შვილი გამოდის პროლეტარული მწერლობის დასაცავად, მავრამ
მისი ლიკვიდა ტორობის დამატებით საბუთები მას-
ში მდგომარეობს, რომ ის იცავს პროლეტა-
რულ მწერლობაში და ისიც პროლეტარულ
მწერლებისაგან, ყველა მას, რაც არა პროლეტა-
რულია, მემარჯვენეა, შემთხვევითია. ის ხელს აფა-
რებს ჩვენი მწერლების გადახრებს. კიდევ მეტიც: ის უკან ეზიდება
მწერალს, გადახრებისაკენ, უმნიშვნელოდ სთვლის ამ გადახრებს,
რის მონანიებაც, მისი აზრით, არ არის საჭირო. მაგალითია: კ. კა-
ლაბის წარსულის და უკანასკნელ ლექსის შეფასება. დღეს პოეტი
სკილდება წარსულის არაპროლეტარულ განწყობილებებს, აცხადებს
მუშათა მიერ შექმნილი ცხოვრების „ყოველი დაღენილების შეგ-
ნებულად დამორჩილების“ სურვილს. მუშიშვილი გაოცებულია, მაშ-
დღემდე ვის „ემორჩილებოდა“ კ. კალაბე? მას არ ესმის, რომ
კ. კალაბე (და არა მარტო კალაბე) ხშირრად „ემორჩილებოდა“
წვრილ-ბურეუაზიულ სტიქიას, ნაციონალისტურ განწყობილებებს.
პოეტმა ეს შეიგნო, მას სურს გამოასწოროს თავისი დამიხინჯებუ-
ლი გზა. მაგრამ მობაჟუნობს საიდანლაც მოხალისე ექიმბაში,
მწერალს „ჰქუას ასწივლის“, უკან აბრუნებს:

„ორიოდე „გადახრილი ლექსის „მონანიება“ ხომ არ ნიშნავს „ძვე-
ლი ტარის“ უკანასკნელ აცურამდე დანგრევას“.

მუშიშვილს არ მიაჩნია გადახრად. კ. კალაბის „ორიოდე ლექ-
სი. მისი აზრით, მათი მონანიება საჭირო არ არის, ის კ. კალაბის
უკანასკნელ ლექსშიც იცავს ყველაფერ მას, რაც მასში არაჯანსა-
ლია. მას, რაც ძველ, ორიოდე, გადახრილ ლექსიდან მომდინარე-
ობს. მსუბუქ აზროვნებას უკვირს, თუ რატომ და როგორ ვძედავთ
ჩვენ შევედავოთ პოეტს, როდესაც ის სწერს:

„წერტილის ირგვლივ დაბრმავებული ზაღბი იჩევა
და შენდა ბედად მოგწყვერებია გატესლო სადმეც.“

ჩვენ ამ სტრიქონების შესახებ იმას კი არ ვწერდით, ვითომ
კალაბე გულისხმობდეს კომპარტიისა და კომუნიზმს, არამედ ვუსა-

კულტურული მდგრადი პოეტს ბუნდოვანებას, რომელსაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა. ჩენ შავით თეორზე ვწერდით:

„ხოგიერობა გულუბრუკილო მეკონგელმა შეიძლება იტიქრის, რომ ეს დაბრმავებული თანამედროვე „ხალხი“ და „წერტილი“ კი ჩენი არსებობის, თავგამეტებული ბრძოლის და შრომის მიხანი—კომუნიზმი. თქვენ ხომ ეს არ გინდოდა თ გეთქვათ, თქვენ ხომ თვითონ გაიღა შექრებთ ამის წინააღმდეგ, მაგრამ ვინმემ, —ეკოლის თუ ბოროტის მსურველმა,—ასე რომ გაიგოს ეს სტრიქნები, მაშინ რას შერებით? ამიტომ უნდა ერიდოს პროლეტარული პოეტი გაურკველობას, ორაზროვნებას.“

მუშიშვილი არ გვაკლებს თავის „სიბრძნეს“. ის პოეტური მეტაფორების და „შედარებების“ გაგებაში უპირატესობასაც კი ჩემულობს. ლექსებსაც კი გვიხსნის. თავის გარდა ყველის „დამწყებ კრიტიკოსად“ სთვლის, ბენიტოსაც რასაკვირველია, (ალუ, ყმაწერლო? როდის გამოჩენდით ლიტერატურაში?—რალაც ვერ გიცნობთ. სად იყავით მაშინ, როდესაც ჩენ ჯვაროსნულ ომებს ვიხდიდით რეაქციონური მწერლობის წინააღმდეგ, ვერ გამჩნევდით, არსად ჩანდით. ეგებ უკეთესი იქნებოდა ეხლაც არ დაგეწყოთ ამ პასკილი—თქვენი უერცობა დაფარული მაინც იქნებოდა). კ. კალაძის ფართო სოციალური შინაარსის ლექსი, მას თავის მიხვედრის დონემდე დაუყვანია.

„ხალხი“ კრიტიკოსებათ მოლანდებია „ასოების“ ირგვლივ რომ ირევიან; „გზები“—მხატვრული შემოქმედების „გზებად.“

თუ თქვენ წაკითხულის ოდნავ გაგების უნარი მაინც გაქვთ, მაშინ ასეთ „ტაკი-მასხარულ დასკვამდე არ უნდა მისულიყავით. მაგრამ „მოსწრებულათაა“ ნათევამი: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიონ“. პოეტის ანარქისტულ ფილოსოფიის ნიმუშებს:

„გრულია შიშა, და რამდენს თვალი გაეხილება,
იმდენი გზაა, მაშასადამე“.“

ჩენ ვუპირდაპირდებით კლასობრივ თვითშეგნების ზრდის ელემენტარულ დებულებას, „რამდენს თვალი გაეხილება, იმდენი ერთი გზა ჩინდება“. მსუბუქი „მხედარი“ როლში შედის. ის უკვე ცირის:

„რომელი მარქსისტილი წიგნიდანა ამოლებული ეს ციტატა. ბიბლიოდან ხომ არავა“

ქალალის რომ ყველაფრის ატანა შეუძლია, ამას უპირველეს ყოვლისა მუშიშვილის ჩმახევა გვიმტკიცებს. მოხალისე ექიმბაში სწორედ აბიბლიის“ კოშმარითაა ტვინნალჩმობი. ვისთვისაა საჭირო მტკიცება, გარდა მუშიშვილისა, რომ ცატატა „ერთი გზის“ შესა-

ხებ, არამცოუ საძებნია „მარქსისტულ“ წიგნებში, არამედ, როგორც
მარქსიზმის დედა აზრი, საბჭოთა კავშირში გამოსულ ყოველ წიგნს
აწერია თავშე: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთ-
დით“. ახალგაზრდა პოეტზე შემთხვევითი გავლენა მოახდინა
ინტელიგენტების მრავალგვარმა ლაყბობამ, ბურჯუაზიულმა ანარ-
ქიზმა, კიშრო ინდივიდუალიზმა (თეითეული თვალის გახელა მას ახა-
ლი გზის გამოჩენა ჰქონია. ბ.) ეხლა ობივატელური ჩურჩულით მუ-
შიშვილიც ამოუღა გვერდით. რატომ ვახსენებდით ჩვენ მას პო-
ლიტ-ანბანის არსებობას იქ ხომ მოიკითხავდა, რო ცოდნა, „თვა-
ლის გახელა“, ე. ი. კლასობრივი შეგნების ზრდა, პროლეტარიატს
ამჯიდროებს, მთლიან ნებისყოფას უქმნის, რომელიც ერთი გზით
წარიმართება.

არსებობს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნ-
ქტების მეორე საფეხური, სადაც ანაბანის მოხმარებას ასწავლიან.
მუშიშვილის ადგილი იქ არის (არა მასწავლებლის როლში, — არავი-
თარ შეათხვევაში: მაშინ ხომ წერა-კითხვის ლიკვიდაციას მოახდენს. ბ.)
იქ ისწავლის, თუ კლასის ერთი გზა რას ნიშავს და სად რა სწე-
რია ამის შესახებ; შემდეგ ერთი საათით მაინც რომ შემთაროს
ჩვენს კომევშირელ მწერალთა წრეში, იქ გაიგებს, რომ მხატვრულ
ნაწარმოებს, სოციალური შინაარსი აქვს, რომ კერძოთ ლექსი თვით-
მიშანი არ არის, რომ ის თავისი არსებობის ფაქტით არკვევს „შე-
მოქმედების გზებს“ და არა მასზე წერით. ამ სკოლის გავლის შემ-
დეგ თუ მუშიშვილი საშუალო მოწაფის უნარს და სიბეჯითეს გამო-
ჩენს, მაშინ მისთვის ყველაფერი სასაცილო არ იქნება და ის თვით
არ გახდება სასაცილო.

მართლაც და მოხალისე კალმოსანს თვალები გაგანიერებული
აქვს. 3. სამსონიძის მოთხრობას ის მენშევიკურ-შავრაზმულს უწო-
დებს. ეს არ არის ამხანაგური მითითებები. (კრიტიკის უნარს ვინ
მოსთხოვს მუშიშვილს) 3. სამსონიძის მოთხრობას აზრი სწო-
რია. მიტმასნების ტენდენციები (прииспособленчество) ინტელი-
გენტურ წრეებში არსებობდა და არსებობს, არა მარტო ხელოვნე-
ბის სფეროში მომუშავე ინტელიგენციაში. 3. სამსონიძისთვის აუცი-
ლებლათ საჭიროა მითითება, რომ ის უდგება ინტელიგენციას ყო-
ველგვარი დიფერენციაციის გარეშე (მოტმასნებულ ელემენტებთან
ერთად არსებობს უფრო მნიშვნელოვანი, ჯანსაღი ფენა ინტელიგენ-
ტებისა, რომელნიც გულწრფელად მუშაობენ საბჭოთა აღმშენებლობის
კველა ხაზით. ბ.), ხშირად იჩენს გულუბრყვილობას; საჭიროა და
აუცილებელია მითითება მხატვრულ სისუსტეზე. მაგრამ მუშიშვილის

დონ-კიხოტური ბრძოლა ქარის წისქეილებთან, შეთხულ შავრაზმულ
პროკამაციებთან, — უადგილოა და ყოველგვარი სარგებლობის გა-
რეშე დგას.

მუშიშვილს თავისი „შტილი“ და ტონი აქვს რომლის სიმაღ-
ლე საქუთარ თვალებებიდაქრულ ობობას ქსელს „აზანზარებს“. მისი
ნაცოდვილევი ხახვადასული ქალიშვილის ლირიკითაა დარჩილებული.
„ცრემლის არც ერთ წევთსაც თუ ჩამოაგდებდა არავინ, რომ!.. და
ის იწყებს ნიანგრს ცრემლთა ლერას. „არ ავილებთ კალამს, რომ...
მთელი მეთოდი ამ ახლად მოვლინებული კალმოსანისა „ცუდია—
კარგეა“-ში, „მომწონს, არ მომწონს“-ში გამოხატება. მისი პირადი
მოწონება ეს ყველაფერია. ის პათეტიურად გაიძახის: „არ მომწონს
ფსევდონ, მი...“

შეიძლება, თქვენ ლულა-ქაბაბი მოგწონთ (აյი კიდევაც გვამ-
ცნობთ, ლულა-ქაბაბის მირთმევა ადვილიაო. ბ.), მაგრამ პროლე-
ტარული მწერლობა რა შეაშია? მუშიშვილი ჩვენს სახელებში ფა-
ზიშიშაც კი პოულობს, ის ხელებს ასავსავებს, ანჩხლობს:

„რას ჰგავს ეს“ (ციც! მინდოდა დამეწერა ფრანგული
სი.ბ) ჩვენს სახელებში პროლეტარიატისათვის შეუსაბამობა აღმოა-
ჩინა.

გვიშველეთ... მაშ რა ვქნათ, ყველამ მუშიშვილები დავირქვათ?
(მაშინ პირველი ნორიობა თქვენ გერგებათ, მხოლოდ ბოლოდან და-
წყებული. ბ.), ჰოი, უბადრულ გულუბრყვილობავ! იქნებ თქვენ ფიქ-
რობთ, რომ რადგანაც საქუთარ უბის წიგნში მუშიშვილად ჩაეწე-
რეთ თავი, რევოლიუცია მხრებზე გაწევით არა? ამიტომ იქისრეთ
ჭიუის მასწავლებლობა და დააბნელეთ სულ უბრალო ამბები?

„რა გითქვას, რა მოგიჩამავს,
რა წიგნი მოვიწერია!“

ასეთი მაღალი კილოთი ვისი სახელით გველაპარაკება მუში-
შვილი. ის რაღაც ძალიან ბევრს ლაპარაკობს მიკიბულ-მოკიბულად
კომუნისტურ კრიტიკაზე. კიდევ მეტი: მისტიურ ნისლში ხევეს მის
კონკრეტულ მატარებელს და კომუნისტურ კრიტიკიდან ყველას გან-
დევნის ლამობს:

„თუ საბჭოთა რუსეთში, სადაც მრავლადაა სამრეწველო რაიონები
ძლიერი პროლეტარული არმიებით, კომუნისტური კრიტიკის ორ-
ლებილი არ ინდობს ავტომახ-ლიბერალისტი-ლეველისტი-კირშონ—უად-
ევის შეცდომებს და აზრის უგზო-უკულოდ ხერიალს...“

ჩვენში კიდევ მეტი კონტროლია საჭირო პროლეტარულ მწერ-
ლობაზე, ასკენის ჩიორა კალმოსანი. კი, მაგრამ თუ პროლეტარული
მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები პროლეტარული კრიტი-

კის გარეშე დგანან, თუ მათი აზრი „უგზო-უკვლოდ“ ხეტიალობს, ორტოლოქალური კომუნისტური კრიტიკის წარმომადგენელნი სად და ვინ არიან?

გული გულს იცნობს, უთქვამთ. წერილის ბოლოში მას უკვე მოუნახავს თავისათვის შესატყვისი კრიტიკის წარმომადგენელი, სე-მიონოვი, რომლის ეკლესტიზმა და ვულგარულმა ვარჯიშობამ ლი-ტერატურის დარგში უკვე მიიღო ამზანავ ფალევეისაგან სათანადო პასუხი, რომელიც იმავ „Революция и Культура“-ს ნომრებში იყო დაბეჭდილი. ამა მუშიშვილს კი უნდა მიუთითოთ, რომ კომუნისტური კრიტიკა ობივატელური ლაყბობა და იმპრესიონისტული ლირიკა არ არის. მუშიშვილისებური პარტიზანობა ობივატელობის სახეა, და არა კომუნისტური კრიტიკისა; გოგოლის რევიზორის თანამედროვე ვარიაცია, ტყუილ-უბრალოდ ნუ აქნევს თავს კომუნისტური კრიტიკისაკენ. პროლეტარული მწერლობის „კონტროლიორბა“ არ ნიშნავს „შემაჩის“ კონტროლიორობას. პარტიის თვალ-ყური და დახმარება ძირითადია, საჭირო და აუცილებელი, პროლეტარული მწერლობასათვის, განსაკუთრებით მისი უარყოფითი მხარეების აღმოფხვრისათვის, ასეთი დახმარება კი თვალსაჩინოა; გავიხსნოთ ამა. მიხ. კახიაჩის თავის დროში გარევევა და შეფასება ჩვენ მწერალთა „ორიოდე გადახრილი“ ლექსებისა (კალაძე, მაშაშვილი და სხვ.). რამდენი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის დაბარების ამ კონკრეტულ სახეს (რომელიც მომავალში კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს ბ.). პროლეტარულ შემოქმედების გზიდან გადახვევის აღმოფხვრისათვის. მსუბუქი „მხედარი“ მუშიშვილი კი დღესაც უკან ეპატიუება ჩვენს მწერლებს. ის სასაცილოდ იღებს ორიოდე გადახრილი ლექსის მონანიების საჭიროებას. ამის შემდეგ ის ბედავს ფეხებში გაეჩიროს კომუნისტურ კრიტიკას, პარტიულ ხელმძღვანელობას და პროლეტარულ მწერლობას?

ასეთი „кавалперийские наскоки“, პარტიზანული ვარჯიში ჩვენი ლიტერატურისათვის უსარგებლო და მავნეა. მას არაფერი საერთო არა აქვს კომუნისტურ კრიტიკასთან. მუშიშვილს ნახტომი არ შეეზალოს. ვურჩევთ ვაიხსენოს, ან გაეცნოს კრილოვის არაქ ბაყაყისა და ხარის შესახებ.

3. ბუაჩიძე

თეატრალური ცხოვრება

„ანზორი“

ვს. ივანოვის „ჯავშანო № 14-69“, გადმიკეთებული ა. შანშია-
შვილის მიერ. დადგმა ალ. ახმეტელის. კონსტრუქცია ირ. გამ-
რეკელის.

ისეთ სადლეგრძელოების მზგავს რეცენზიებს, რომელსაც აღ-
ვილი ჰქონდა დლემდე ჩვენს პრესაში „ანზორი“ ს შესახებ, არც რა-
იმე ნაყოფის მოტანა შეუძლია და მიზანშეუწონელიცაა.

საქმე ისაა, რომ რეცენზენტს უნდა ჰქონდეს თეატრალური
კულტურა, უნდა ესმოდეს თეატრალური ხელოვნების არსი, კარგად
უნდა ერკვეოდეს აქტიორის მუშაობის ტექნიკაში, რეესორისა და
მხატვრის ფუნქციებში და უნდა ჰქონდეს გარკვეული შეხედულება
თეატრში შემავალ სხვა ელემენტებზედაც. პროფესონალური რეცენ-
ზენტის კრიტიკული შეფასება უნდა შეიცავდეს შენიშვნებს და შეს-
წორებებს რეესორის, აქტიორის მხატვრის, ავტორის და ელექტრო-
ტექნიკის მიმართ.

ყოველ თეატრალურ მასალის მაქსიმალურად უნდა ახასიათებდეს
დროს შეგრძნობა. ყოველი ახალი დრამატიკული ნაწარმოები უნდა
შენდებოდეს თეატრალურად აქტუალურ მასალაზე. ის, რაც აქტუა-
ლურად ითვლებოდა 1926 თუ 1927 წელს, 1928 წელს უკვე ჰკარ-
გავს თავის სიმძაფრეს. ახალი თემა, ახალი მასალა მთლიანად გამო-
მდინარეობს ახალი საზოგადოების სოციალური მოთხოვნილებიდან
და მთლიანად ემყარება ახალი ცხოვრების რეალურ—კონკრეტულ
ამოცანას.

ხელოვნება მასებისათვის გახლავთ არა მარტო გასაგები ხელო-
ვნება, არამედ იდეოლოგიურადაც პროგრესიული ხელოვნება. თუ
ოთხმოცან წლებში „გატანჯულ“ მუშის ცხოვრების დემონსტრაცია
თეატრს რეოლოგიურულ ლეაწლად ეთვლებოდა, დღეს ამისვე გან-
მეორება არ შეიძლება პროგრესიულ ნაბიჯად ჩაითვალოს. „ანზო-
რი“ არ არის სცენიური ნაწარმოები. არ შეიძლება სცენიურ-დრა-
მატიულ ნაწარმოებად მოვნათლოთ ისეთი რამე, სადაც ფაქტი, სცე-
ნური ინტრიგა კულისებში, სცენის გარეთ ხდება და სცენაზე მაყუ-
რებლის თვალწინ ამის შესახებ მხოლოდ მოგვითხოვთ. ასეთი მო-
თხოვთითი და მოყოლითი ხერხი, მანერა, წიგნი, ლიტერატურას
უფრო ახასიათებს ვიდრე თეატრს. ასე რომ „ანზორი“, როგორც

დრამატიული ნაწარმოები, უფრო ლიტერატურის ფუნქციებს კის-
რულობს, უფრო ლიტერატურული მონტაჟის მეთოდით არის აშენე-
ბული, უფრო წიგნის ინსცენირობაა, ვიდრე სცენიური ნაწარმოები;
პირველ სამ თუ თოხ სურათს უფრო პროლოგის (ლიტერატურული
განხრით) ხასიათი აქვს. სცენიური ინტრიგა „ანზორ“-ში ლაპარა-
კით იშლება და ეს ლაპარაკი. სტატიურია იმდენად, რამდენადაც
თვით ფაქტი სცენის გარეთ ხდება. დღეს კი თეატრი უნდა უყრ-
დნობოდეს მთლიანად ფაქტების დემონსტრაციას, მის მოქმედ მხა-
რებს. თეატრის მასალა უნდა წარმოადგენდეს არა სტატიურ-მოთ-
ხრობით სიტყვის, არამედ სიტყვის, შეერთებულს მოქმედებასთან,
ის უნდა იყოს ერთი მთლიანი სცენიური კომპლექსი. ავტორს, ჩანს,
აგიტ-პიესის გაკეთების სურვილი ჰქონია, მაგრამ სცენაზე მხოლოდ
აგიტ-პიესის სქემა მივიღეთ და ისიც ლიტერატურული განხრით.

„ანზორ“ ისევე გაკეთებული რეესორტის მიერ (მხედველობაში
გვაქვს რეესორტის აქტიორთან მუშაობა და მოცემული მასალის პი-
ესის სახით საერთო მხატვრული ინტერპრეტაცია), როგორც „ლა-
მარა“ იმ განსხვავებით, რომ „ლაპარა“-ში ასე წარმარა თოვის
სროლის არ აქვს დაგილი. ასეთი მიღებობა „ანზორისადმი“ დამატა-
ყოფილებელი იქნებოდა, რომ „ანზორ“-ში, ისევე, როგორც „ლამა-
რა“-ში, მოქმედება შიმდინარეობდეს უხილავ დროს, უხილავი ხალ-
ხით, უხილავ ქვეყანაში და უხილავ ტერიტორიაზე. მაგრამ პიესა
„ანზორს“ ამოძრავებენ გუშინდელი მოქალაქენი, აქ ლაპარაკია „ლე-
ნიზე“, „ზომიინზე“, „სამოქალაქო ომზე“, „ბაქოზე“, „ბეტროვსკ-
ზე“ და, ბოლოს, მთავარ მოქმედ პირად მოცემულია თანამედროვე
ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა — „ჯავშნიანი მატარებელი“.

ისეთი იდეალიზაცია მთიელი ხალხის და მათი ისე აბსტრაქ-
ტულად მოცემა, როგორც ეს „ანზორის“ დადგმით მივიღეთ, კითხ-
ვის ქვეშ აყენებს ამ ხალხის აჯანყებას და თვით ამ ხალხის მიწაზე,
ხორციელად არსებობასაც. „ლამარა“ დროსა და სივრცის გარეშე
დგას, ამიტომ მისი აბსტრაქტულად მოცემა, ვთქვათ, დასაშეგნია.
სულ სხვა ამოცანა დგას „ანზორის“ წინაშე და როდესაც იგი მა-
ინც „ლამარის“ ქურქში გვევლინება, რასაკვირველია, ოდნავ დამა-
კვრებულ გვლენიასც ვერ ახდენს მაყურებელზე!

„ანზორ“ — ვიწრო ესთეტიური თეატრალობის ჩარჩოებშია ჩას-
მული, იმ განსხვავებით წარსულ დადგმებთან, რომ „ანზორ“-ში
თეატრალობა აბსტრაქტული სტილიზაციით და გამოფიტული მო-
დერნისტული „სილამაზის“ თეორიით არის გაშუქებული. ამ დადგ-
მაში მოცემული ხალხის ამ ქვეყნად არსებობა ემყარება ხან თეატ-

რალურ პირობით სიმართლეს (ხორავა, გოძიაშვილი, მეავიადა, სარჩიმელიძე), ხან კი ესთეტიურ (ორგანიულად სრულიად გაუმართლებელ) მიზანსცენას.

„ანზორ“-ში სცენაზე ნაამბობი ამჰაგიდან მხოლოდ ორიოდე ეპიზოდია მოცემული, მაგრამ ეს ეპიზოდებიც-კი იმდენად კარჩავეტილია და აპოლიტიურად არის მოცემული, რომ ვერ ახერხდს გაღმოგვცეს მომხდარი ამბის დიალექტიური შინაარსი, ე. ი. ეს ეპიზოდებიც მოცემულია სხვა, მის გარშემო ასებულ მოვლენებთან დაუკავშირებლად და რჩება, როგორც რაღაც მეტაფიზიკური.

„ანზორ“-ში მასა სქემატიურია, ერთფეროვანი და თანაც მეტად აბსტრაქტულად არის მოცემული. თვით ანზორი დამოუკიდებლად არის მოცემული—მას ორგანიულად არაფერი არ აერთებს მასასთან, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ანზორს გარშემო შედამ ახვევია მანეკენების შსგავსი ადამიანები, მაგრამ, ჩვენის აზრით, ამგვარ კავშირს არავითარი ორგანიული გამართლება არა აქვს და ეს უფრო ნატურალური ატარებს.

„ანზორ“-ში მოცემული მასა არა ჰქვეს ადამიანებს, ისინი უფრო მანეკენების შთაბეჭდილებას ჰქმნიან, ანდა იმ ხალხის, რომელსაც წინასწარ, რეისოსორის მიერ განსაზღვრული აქვს გადასახტომი მანძილი (რეფისორი თრგანაზატორია ხპევთაკლის. იგი ლერძია თეატრალური მექანიზმის, მაგრამ როდესაც ეს მექანიზმი ამუშავდება ორგანიზაციულად, ე. ი. როდესაც ეს მექანიზმი მაყურებლის ხამსჯავროს წინაშე დგება, მაშინ ეს ლერძია არ უნდა ეჩინირებოდეს. მაყურებელს თვალებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ მექანიზმი ვერ არის კარგად მომართული) და, მართლაც, ყველანი ამ ამოცანას კეთილსინდისიერად ასრულებენ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამავე საქმეს ბევრად უკეთ ასრულებს ფიზკულტურის სხვადასხვა წრები, რომელთა რიცხვი საქართველოში უამრავია და რომლებიც, რასაკურრეველია, არავითარ პრეტენზიებს არ აცხადებენ თეატრზე და მსახიობის ტიტულებზე „ანზორ“-ში ამ ხტუნაობით იმდენად გატაცებული არიან ყველანი, რომ სიტყვა თითქმის 60%, იქარება და ხშირად გესმით თვით პარტერის პირველ რიგებში მჯდომ უცნობ მაყურებელიდან: „უკაცრავად, რა სთქვა?“ აქტოორის ყოველი სიტყვა დატვირთულია ყალბ—პათეტიური ტონით, აქვე უნდა ითქვას, რომ ამის მიზეზი მთიულეთის ექზოტიკით ზედმეტი გატაცებაც არის. რას ნიშნავს ეს, თუ არა სიტყვის გამოთქმის კულტურის დაქვეითებას? ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეად-

გენს ხორავა, რომელიც უკეველად სიტყვის დიდი კულტურით არის აღქურებილი და შედარებით გოძიაშვილიც.

ასეთივე კატასტროფულ მდგომარეობაში დგას დღეს აქტიონის ექსტრის კულტურა, აქტიონი რუსთაველის თეატრში იოლად აკეთებს კულტის, დგება ხელებით ყირაზე, იოლად ხტება, საქმით დიდ მანძილზე, მაგრამ უბრალოდ რომ გაიაროს, ფეხებით იმოქმედოს სწორ მოედანზე ადამიანურად,—ეს არ ეხერხება. აქტიონი „ანზორ“-ში სულ მუდამ დაჭიმულ მდგომარეობაშია, სულ მუდამ გასაქცევად თუ გადასახტობად არის შზად, ამ მდგომარეობაში ყოფნა, რასაკეირეველია, უფრო იოლია, მაგრამ აბა გაათავისუფლეთ აქტიონის სხეული ამ დაჭიმულ მდგომარეობიდან, შესხენით არტახები (ცრუ კლასიური ყალიბის) და მაშინ დაინახავთ, თუ რა სხეულის კულტურა ვააჩნია მას. ეს მდგომარეობა მეტად კატასტროფიულია და ამას დროზე უნდა მიხედვა. აქაც არის შიგა და შიგ გამონაქლისი და ეს გამონაქლისი უფრო ხორავის, ვოძააშეილს, მეკვიას, სარაულს და სარჩიმელიძეს თამაშში ჩანს, ეს ის ადგილებია, სადაც ეს აქტიონები უბრალოდ, ადამიანურად ეკიდებიან თავის საქმეს და ამით გაცილებით მეტ სიმპატიას და ყურადღებას იყრიბენ მაყურებლისას, ვიდრე ის ადგილები, რომლებიც რეეისონის მიერ დაჭიმულ, პოზურ, პლაკატურ ექსტრზე და მოძრაობაზეა აგებული. ჯავშანის უფროსის როლი ყალბ პათეტიურ რიტორიკაზეა აშენებული აეტორის მიერ. ეს ფიგურა პიესაში მოცემულია როგორც ანთიტეზა აჯანყებული მთიულების სულისკვეთებისა, მაგრამ იმდენად დატვირთულია გურკვეველი ფსიქოლოგიზმით და ნევრისტენით, რომ ეს საკოდავი კაცუნა არ შეიძლება მტრად ჩაითვალოს, ასეთი ხარხი ჯავშანიან მატარებლის მაგივრად საავადმყოფოებში წევს და ელექტრონებით თუ ვანებით ირჩენს თავს. საერთოდ, როგორც ცალკე პერსონალები, ისევე მოლიანად მასა, რეეისონის მიერ მოცემულია ყალბი, გარეგანი დრამატიზმით. გარეგანი ექსტრით, ტრაფარეტული განცდების ილიუსტრაციით, ესთეტიური მიზანს ცენებით და მთელი დადგმაც პოზის და სანახაობის ყალბ ზერელე პრინციპებზეა აშენებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ რატომლაც რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელთ დასკირდათ პრეტენზიების განცხადება რეფლექსიოლოგიაზე, როგორც აქტიონის აღმზრდელობით მეთოდზე, მაგრამ როგორც წარსულში, ისე დღესაც ამ მეთოდს რუსთველის თეატრში არ შეუხედნია. პირიქით.

რას ნიშნავს რეფლექსოლოგიური მეთოდი აქტიორის თამაშში ეს ნიშნავს, რომ აქტიორს შერჩეს ბუნებრივობა ხელოვნურ პირობებში. რუსთველის თეატრში კი აქტიორები ადამიანურად სიარულის მაგიერ „მსელელობები“, ჯდომის მაგიერ ამაყად „დაბრძანებული“ არიან და ჩვეულებრივ თავისუფლად სცენაზე დგომის მაგიერ სხვადასხვა პოზას იქცერენ. ასე რომ რეფლექსოლოგიური მეთოდი, როგორც სცენიური დისკიპლინა, რომლის პრინციპებზე შენდება სპექტაკლი, რუსთველის თეატრს ცარიელ მემარცხენე ფრაზად შერჩა.

ორიოდე სიტყვა მხატვარზედაც. თუ მხატვარს მივაკუთვნებთ სცენიური სივრცის ორგანიზაციურის როლს, როგორც საშუალებებს, აღმოჩენილს ყოველი დადგმისათვის ახალი მატერიალურ გაფორმების რაც ფუნქციონალურდ უნდა ეთანაბრებოდეს დადგმის ძირითად ელემენტებს და რასაც კონსტრუქციის უწოდებენ, —მაშინ გამრეკელს ვერ ვუწოდებთ კონსტრუქტივისტს, რადგანაც ჯერჯერობით მას ასეთი კონსტრუქცია, არ მოჟცია. საერთოდ თუ კი მხატვარი ტეხნიკი ხასიათით რაიმე უზარმაზარ საფრთხობელის გააკეთებს, მას უკვე კონსტრუქტივისტის მანდატს აძლევენ, ის, რასაც ეწოდება სტილიზაცია, ესთეტიზმი, ცუდათ მოცემული კუბიზმი თუ მოდერნიზმი, ჩვენი რეცენზენტების უპასუხისმგებლო რეცენზიების წყალობით „კონსტრუქტივიზმად“ იქნა გასაღებული. ამრგად კონსტრუქტივიზმი გადაიქცა ახალი სტილის დეკორაციად“, მაშინ როცა სპექტაკლის კონსტრუქტივული გაფორმება უნდა მივიღოთ არა როგორც ახალი სტილის დეკორაციის ელემენტი, არამედ როგორც ბურუჟაზიული თეატრის ტრადიციულ სისტემისთვის ყოველგვარი კავშირის გამწყვეტი პრაქტიკული საშუალება.

კონსტრუქტივიზმი სტილის კატეგორია ან რაიმე „იარლიკი“ კი არ გახლავთ რომელიმე მხატვრული სკოლის, ის ტიპიური კატეგორია, ეს კი დიდ პრინციპიალურ სხვაობას შეიცავს. კონსტრუქტული გაფორმება უნდა ეხმარებოდეს აქტიორს და მიზანშეწონილი უნდა იყოს დანიშნულებისდა მიხედვით. კონსტრუქტიული პრინციპი შეიცავს სცენაზე მოკემული ნივთების და საგნების გეგმიან — ორგანიზაციულ განაწილებას, ე. ი. სცენაზე მოცემულ ყოველ საგანს და ნივთს უნდა ჰქონდეს მოხმარებითი დანიშნულება. დღეს ჩვენში კონსტრუქტივიზმი საფრთხის წინაშე დგას და ეს საფრთხე საშიშროებას წარმოადგენს არა ძველი თეატრის პავილიონების მოტრფიალე მხატვრების მხრიდან, არამედ „კონსტრუქტივიზმის“ მიმბაცველებიდან, ე. ი. ყალბ, ცრუ კონსტრუქტორებიდან, რომლებსაც ვერ

შეუძლიათ კონსტრუქტული აზრი დეკორაციაში. ასეთ „ყალბ კონსტრუქტიულ“ ნამუშევრებად უნდა ჩაითვალოს ნიჭიერ სტილიზაცია გამრეკელის „კონსტრუქტიული“. ყველაფერს თავისი აღვილი აქვს. გამრეკელი რომ კონსტრუქტივისტი იყოს, მაშინ სცენაზე ექნებოდა აღვილი ისეთ კონსტრუქციას, რომელიც მაყურებელს შისცემდა საშუალებას თეატრში დამის თევის მაგიერ შინ გაეთიაღომე.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი გახდავთ სოციალური მოვლენა. აქედან ყოველ ახალ პროდუქციის მაშინ აქვს გამართლება, თუ მას გარკვეული წვლილი შეაქვს საზოგადოების წინ წაწევის საქმეში, ე. ი ყოველი ახალი პროდუქცია მასში შემავალ ყოველ ელემენტებით გარკვევით უნდა ლაპარაკობდეს ახალი ცხოვრების-ცვალებად პირობებზე, უნდა ეფარდებოდეს შშრომელთა მოწინავე ფენების ყოფაცხოვრებას და უნდა ამანევებდეს ჩამორჩენილ ნაწილს უკეთესი ცხოვრებისათვის საბრძოლველად.

კულტურული რევოლუციია, რომელიც შეიცავს კულტურის ძირებულ რეკონსტრუქციას და მის შინაგან გარდაქმნას, რუსთავლის თეატრის წინაშედაც აუკნებს ძველი ესთეტიური ტრადიციების დაშლის და პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით ახალი მასალის, ახალი ფორმალური ხერხების გამომუშავების აუკილებლობის საკითხს.

შოთა მანაგაძე

შუთაის-პათომის გაორია აკადემიური დრამა პ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

„პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ პიესა ერნსტ ტოლლერის. დადგმა რეჟ. დ. ანთაიძის. მხატვარი დ. კაკაძე.

ორი აკადემიური დრამის არსებობა, პირველი მაგალითია საქართველოში და საქმიან თეატრალურ ძლიერებას ნიშნებს.

მე ვწერ მეორე აკადემიურ დრამის შესახებ.

თეატრი გაიხსნა მიმდინარე წლ. ნოემბრის 3-ს ქ. ქუთაისში ერნსტ ტოლლერის პიესით: „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

ერნსტ ტოლლერი ქართველ მაყურებლისთვის ცნობილი ავტორია.

მისი „კაცი მასა“ პირველი ექსპრესიონისტული პიესა იყო, რომელიც დაიდგა ქართულ სცენაზე. „პოპლა, ჩენ ვცოცხლობთ!“ დაწერის შერივ მრავალში განსხვავდება ამ უკანასენელისაგან. თუმცა აქაც საჯაოდ არი ექსპრესიონიზმის ნიშნეული ფილოსოფია და ჰესიმიზმი.

მთავარ თემათ აღებულია დამარცხებულ რეოლიუციონერების ფსიქოლოგია. (პიესა არი აგებული ისტორიულ ფაქტზე: — რეოლიუციონური აჯანყება ბავარიაში 1919 წელს).

ფორმალურ შესრულების მხრივ (ტრალერის მიერ) ასანიშნავია პიესის გმირების თუ სცენების „დაპირისპირებითი“ განვითარება, და ლაკონიურად გამოკვეთილი სიტუაციები მასალა.

მოხერხებულად არი მოთხრობილი შემდეგი ამბავი:

კარლ ტომასი, (პიესის მთავარი გმირი) სხვა რეოლიუციონერებთან ერთად, ციხეში ყოფნის დროს, სასჯელის მოლოდინში,— გიუდება... რვა წლის შემდეგ მას უბრუნდება გონება, ანთავისუფლებენ, და იგი უერთდება. სხვა თავისუფალ თანამებრძოლებს, მაგრამ ამხანაგებში ამ რვა წლის ბრძოლის გამოცდილებამ სულ სხვაგვარი მდგომარეობა შექმნა, და კარლ ტომასი, რომელიც ეხლაც პირვენდელ ცეცხლით არი ანთებული და რომლის რომანტიული გატაცება ჩამოშორებულია მუშათა მასების რეოლიუციონურ საქმიანობას,— მათ ამგვარ საქციელს „ძილს“ არქმევს.

ერთხელ, სასტუმროში, სადაც იგი ლაქიად მსახურებს, დროს გასატარებლად შემოდის მინისტრი კელმანი (ადრე იგი რეოლიუციონერი იყო და კარლ ტომასთან ერთად ციხეში იტანჯებოდა. შემდეგ რენეგატი გახდა).

მთელ ცხოვრებაზე გამწარებული კარლ ტომასი შეუარდება მას ოთახში მოსაქლავად, რომ მოულოდნელად სრულიად სხვა კაცი (ფაზისტი) ყველასთვის შეუმნიერებელად სისრულეში მოიყვანს მის გადაწყვეტილებას.

კარლ ტომასს იქრენ.

იქრენ სხვა ბოლშევიკ-რევოლიუციონერებსაც.

ციხეში სასოწარკვეთილი მებრძოლი თავს იხრჩობს.

პიესის ამგვარ განვითარებისა და გადაწყვეტის შემდეგ, რათქმა უნდა აუცილებელია მისი გაჯანსაღება, ყველა ავადმყოფურ და მავნე ადგილების შესწორება, რომ საბჭოთა მაყურებლისთვის სასარგებლო იყოს და იდეოლოგიურად მისაღები...

ამის გამო პიესის მსვლელობაში, თავიდან მოლომდე საგრძნობია ის ბრძოლა რომელიც წარმოებს პიესის ავტორსა და პიესის დამდგმელთა შორის.

„პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დადგა რეჟისორმა და ანთაძემ.

პირველი რაც დადგმაში შესამჩნევია, ეგ არის პიესის კადრებათ დაყოფა და კინოს მოხერხებული გამოყენება, რომლის კარგი მონტაჟი ჰქმის ძლიერ შთაბეჭდილებას.

შეუდარებელია ამ მხრივ მესამე მოქმედება, სადაც სხვადასხვა სართულებში და ქუჩებში, თუ სხვადასხვა სახლებში ჩატარებული კადრები თანდათანობით ვთარღდებიან, და დინამიკის უმაღლეს წერტილს აღწევენ.

კინო ეკრანს სხვა რეჟისორებიც მიმართავდენ, მაგრამ ყოველთვის გამოცალკევებული რჩებოდა და პიესის საერთო გაფორმებაში არ შედიოდა.

ეგ საშიშროება დაძლეულია. (იხ. მინისტრ კელმანის მკვლელობის სკუნის შემდგომი კადრები).

პირველად არი მოხმარებული რადიო.

სულგანაბული ისმენ რადიოთი გადმოცემულ გულისცემას.

წარმოდგენის მთავარი მონაწილე „შუქი“ რომლის საშუალებით იცვლება დეკორაცია და მანძილი უმთავრესად. (შუქწერას ხელმძღვანელობს ინენერი ხარიკოვი).

იგი მხატვრულ და ტექნიკურ წონასწორობით არი გამოყენებული, და ეს მით უფრო ასანიშნავია, რადგან ხშირია ისეთი დადგმები, სადაც „გაშუქება“ მარტო უმიზნო ეფექტს ახდენს, როცა მაგალათად რომელიმე მსახიობს სრულიად უმიზეზოთ ადგია წმინდანივით თავშე ნათელი.

ყველა ჩამოთვლილ მიღწევებში უპირველსი ადგილი აქვს მხატვარ და კაკაბაძეს, რომლის დეკორატიული კონსტრუქციები, — უფრო დეკორატიული შენობა, აგებულია მემარცხენე მხატვრობის პრინციპების თანახმად.

ფერადების საშუალებით დაძლეულია სიერცე, ამაში მას ეხმარება „შუქწერა“, და ყოველი ნივთი, შესრულებული მარტო დამახსიათებელ და ზუსტათ გამოანგარიშებულ ხახებით სრულ შთაბეჭდილებას იძლევა.

დეკორატიული შენობა დგას მთელი წარმოდგენის განმეოლობაში თითქმის შეუცვლელი და ანტრაქტებზე დურგლების გამალებულ მუშაობის და ლურსმნების კედებას არ საჭიროებს...

ამის გამო, რაც მთავარია, მოგებულია დრო და წარმოდგენა აღრე სრულდება.

ამ ბოლო დროს, თეატრში მხატვარი ჩრდილავს მსახიობს და მისი შემოქმედების ხელის შემშლელი ხდება. ათასფრად დახატული დეკორაციები თუ ტანსაცმელი მთავარ საყურებელ საგნათ იქცევა. დ. კაკაბაძის მიერ შესრულებული დეკორატიული კონსტრუქციები, მსახიობის მომხმარებელია და მის შემოქმედებასთან მიზანშეწონილი.

მსახიობთა შესახებ უპირველეს ყოვლისა უნდა ინიშნოს იმ ცრუ-კლასიკური მეტყველების ძირეულად შეცვლა, რომელიც ახასიათებდა უმრავლესობას.

მათი გადასცელა სწორ „აღაშიანურ“ საუბარზე, რითაც საშუალება ეძლევათ ზუსტი ფსიქოლოგიურ ანალიზით განვითარონ როლი...

და ეგ არი უსათუოდ კ. მარჯანიშვილის მთავარი ნაშრომიც, — რაღვან, მის ხელმძღვანელობით შეშაობენ ისეთი სხვადასხვა სკოლის მსახიობები, — როგორც ერთი მხრივ „რუსთაველის თეატრის“ — რომელთაც შესწავლილი ჰქონდათ პათეტიური ღრიალი და ყალბი ჯამბაზური მოძრაობა, და მეორეს მხრივ ეგრედ წოდებული „ძველი სკოლის“ მსახიობები, რომელთა მეტყველება უმეტეს შემთხვევაში წიგნის კითხვას ჰგავდა.

უშანგი ჩხეიძე (კარლ ტომასი) ნიჭიერად შემსრულებელი ჰამ-ლიტის ხელმოორედ შეხვდა ამ როლს.

კარლ ტომასი იგივე ჰამლეტია.

მისი მოქმედების და ფიქრების უმრავლესობა განცდილია ჰამ-ლიტის მიერ. მსახიობმა დასძლია „განმეორების“ საშიშროება, — თანამედროვე ინტელიგენტ-რეალიუციონერის მოცემით.

კარგათ წარმოადგინა მასების სულისკვეთებას ჩამოშორებული რომანტიკისა მებრძოლი, და შესძლო ექსპრესიონისტულ ფილოსოფიურ მონოლოგებს ქვეშ არ მოჰყოლოდა.

მაგრამ შესაძლოა ზოგიერთისთვის კარლ ტომასი დადებით ტიპად დარჩეს, — ეს უკეთ მიუღებელია.

დიდებულია მსახიობის ხმა და თავისუფალი გულწრფელი მორაობა.

ჰამლეტის შესრულების შემდეგ მას არ ჰქონია საშუალება წასულიყო წინ.

კარლ ტომასის წარმოდგენა პირველი და გამართლებული ნაბიჯია.

შ. გომელაური (კელმანი) მოფიქრებულად და სწორად ასრულებს თავის როლს.

ჯერ ციხეში ყველაზე მშიშარა და მორქალული კელმანი, მინისტრის პორთფელის მიღების შემდეგ ამაყია და გააზნაურებული.

კელმანი ტიპია რენეგატის, რომელსაც საბჭოთა განხეთები „სო-ციალ-გამყიდველს“ ეძახიან.

ეს უკანასკნელი შეგნებული აქვს მსახიობს და ხაზგასმული.

შ. გომელაური კარგი და პირველხარისხოვანი მსახიობია, ეს კი, მრავალმა არ იცის, რადგან მთავარ თეატრების სცენაზე არ მონაწილეობდა.

ხათუნა ჭიჭინაძე (ევა მერგ.) კარგად გვიხატავს ახალგაზრდა კომუნისტ ქალის ტიპს.

გაიზარდა როგორც მსახიობი, ყველაზე უნაჟლო და ყველაზე გამარჯვებულია ამ პიესაში.

შ. დამბაშიძემ (ალბერტ კროლი) წარმოადგინა მუშა-ბოლშევიკი. კარგი იყო.

ამისთვის მას ტანალობაც ჰქონდა და ხმაც.—მაგრავ მაინც მშრალი და უფერული დარჩა.

ამაში დამნაშავე უფრო პიესის ავტორია, ალბერტ კროლი სქემატიურად და ფერნაკლულად არის დახატული.

ე. დონაური (ფრაუ მელერი) კარგად გაღმოგვცემს ბრძოლებში გამობრძედილ რევოლიუციონერ ქალს.

შ. ჩხეიძე (პროფესორი) შემცდარ ფორმაში აყალიბებს როლს. იგი პეტრი პროფესორის შარქს, შარქი კი საერთოდ ამ პიესის გაფორმებაში დაუშევებელია.

შეუდარებელი იყო გ. ანჯაფარიძის ცეკვა.

ცეკვა პიესაში შეტანილია როგორც დახასიათება ბურუუაზიის ალვირ ახანილ ცხოვრების. საწინააღმდეგო გავლენას არ ახდენს მაგრამ გადაქარბებულად არის მაინც მოცემული. მაგალითად სრულიად ზედმეტია ქანდარაზე, სპეციალურად გაკეთებულ მოედნებზე და პარტეტში ცეკვა... (მაყურებლებს გულისურს ართმევს).

სხვა მსახიობების ანიშვნაც საჭირო იყო. ადგილის უქონლობის გამო ვერ ვახერხებ. მათ პატარ-პატარა როლები ჰქონდათ მაგრამ ღირსეულად ასრულებდენ. მაგ.: მ. ფორცოლიანი, მ. ქორელი, ირ. დონაური, მურუხიძე, ზაქარიაძე, კელიძე და სხვ.

საერთოდ დადგმას ახასიათებს მსახიობთა მთლიანი ანსამბლი, და კარგი შერჩევა წარმოსადგენ როლებისთვის.

დასასურლ უნდა ვთქვა რეეისორის დიდი გამარჯვება, როდესაც ავტორისაგან პესიმისტურად განვითარებული ამბავი მთავარ გმირის გულგატებილობა და სიკედილი შესცვალა დამარცხებულ რევოლუციონერთა ჯანსაღი და ახალ ბრძოლების დამწუებ ხალისით.

კარლ ტომასის თვითმკვლელობის შედეგ — ტუსალების ძახილია: „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ მთავარი დამაკავშირებელია საბჭოთა საზოგადოების, — ევროპის რევოლუციონერებთან.

ისინი თითქო გვეძახიან ჩვენ.

თარგმანი გულმოდგინეთ არის გაკეთებული ხოლო არ შეიძლება არ შევასწორო სათაური, — ცხადდება „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“.

სიტყვა „ჩვენ“ აქ ზედმეტია (იგულისხმება) ხოლო „პოპლა“ — სთვის შეიძლებოდა მონახულიყო ქართული შესატყვეისი. თუ არა წინაწარ ნახვამდე ცირკის ჯამბაზის შეძახილის შთაბეჭდილებას სტოვებს.

დადგმას დიდალი ხალხი დაესწრო.

თეატრი პატარაა და მსახიობს ქანდარა თვალებთანვე აქვს აფარებული.

მის შემოქმედების სრულ გაშლას ხელს უშლის აგრეთვე აღგილობრივ საზოგადოების თეატრალური მომზადებლობა.

მეორე აკადემიური დრამა წარმოდგენებს მართავს ქალაქ ბათომშიაც.

კარლო კალაძე.

საქ. პროლეტარულ მუსალთა ასოციაციის შეორენ პლაზა

24 ნოემბერს ხელოვნების სასახლეში გაიხსნა საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის მეორე პლენუმი. პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამს. ბენიტო ბუაჩიდის მოხსენება. „თანამედროვე ლიტერატურა და პროლეტარული მწერლობის ამოცანები“. თავისი მოხსენების დასაწყისში ამს. ბ. ბუაჩიძე შეჩერდა კულტურული რევოლუციურის საკითხებზე და ამასთან დაკავშირებით პროლეტარული მწერლობის ამოცანებზე. მან განაცხადა, რომ კულტურული რევოლუციური არ არის მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, კულტურული რევოლუციურის ცნება უფრო ფართოა. აქ შედის როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ისე ხელოვნება, მწერლობა და სხვა. კულტურული რევოლუციურის მოხდენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნებას და ლიტერატურას. მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში ჩატარებული გამოკვლევების დროს აღმოჩნდა, რომ მკითხველთა ნახვარი ეტანება მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას. აქედან უკვე გასაგებია თუ რა

ხელდრითი წონა აქვს მხატვრულ ლიტერატურას კულტურული რე-
გოლიუმის მოხდენის საქმეში.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს ქართულ ლიტერატურულ
ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას და ამბობს, რომ ქართულ მწერ-
ლობაში დახსლოვებით ასეთი ძალათა განწყობილებაა შექმნილი: არის
ფენა ძველი ბურუუაზიულ-ფეოდალური, მწერლობისა და არის თა-
ნამგზავრთა ფენა, რომელიც თავის მხრივ იძლევა სამ მიმდინარეო-
ბას: 1. პოლიტიკური დეკლარატიული თანამგზავრი მწერლები 2. თა-
ნამგზავრები რომლებიც თანდათან მარჯვნივ იხრებიან და 3. თა-
ნამგზავრები, რომლებიც შედარებით უფრო ახლოს დგანან რევო-
ლუციონურ თანამედროვეობასთან.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთ ერთ უძლიერეს
და მთავარ ძალის წარმოადგენს პროლეტარული მწერლობა.

ცალკე ლიტერატურულ დაჯგუფებების მუშაობას მომხსენებელი
შემდეგნაირად ახასიათებს: 1-ლი ფენა, ე. ი. ბურუუაზიულ-ფეოდა-
ლური მწერლობა ხასიათდება მით რომ ის მიუღებლად თვლის თა-
ნამედროვეობას, ამ მწერლობას და მის წარმომადგენელ ცალკე
მწერლებასაც ახასიათებს ისტორიზმი, წარსულისაკენ მშერა ნაციონა-
ლიზმი, მისტიკიზმი და სხვ.

დეკლარატიული თანამგზავრთა ფენას მომხსენებლის აზრით უნდა
მიეკუთხნონ „ცისფერი ყანწების“ ჯგუფი. შემოქმედებაში ამ ჯგუ-
ფის წარმომადგენლები უფრო ბურუუაზიულ სულის კვეთებას გამო-
ხატავენ.

თანამედროვეობას თან და თან უახლოედება: გ. ტაბიძე, ს.
შანმუხაშვილი და სხ. ჩერნ მწერლობაში არსებობს კლასობრივი და-
ნაწილება და თითოეული ფენაც ცდილობს მოიპოვოს არსებობის
საშუალება.

პროლეტარული მწერლობის შესახებ მომხსენებელი ამბობს:
პროლეტარული მწერლობის ხელდრითი წონა იზრდება, დღითი დღე
ძლიერდება და მატულობს პროლეტარული მწერლობის შემოქმედე-
ბითი უნარი. თანამედროვე ქართულ პროლეტარულ მწერლობაში
გხედავთ: პოეზია სჭარბობს პროზას. მთელი რიგი პროლეტ. მწერ-
ლებისა სცდილობენ მხატვრულ პროზაზე გადასვლას და ამ მხრივ
მათ უკვე მოგვცეს საინტერესო ნიმუშები.

როგორ უნდა შესძლოს თანამედროვეობის ათვისება ჩერნმა
პროლეტარულმა მწერალმა.—ამისთვის ის უფრო უნდა დაუახლოვ-
დეს ცხოვრებას და თავისი შემოქმედება უნდა დაუკავშიროს თანა-
მედროვეობას.

დასასრულ მომხსენებელი დაწერილებით ეხება ყველა იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც ახასიათებს პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებას; ეს არას — ძველი ლიტერატურულ ფორმების გავლენა, კლასიკების განმეორება სხვა და სხვა უფრო ხშირად ანტი-პროლეტარულ განწყობილებების შეთვისება და სხვა.

მომხსენებელი საჭიროდ სთვლის რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლი-სა და დისკუსიების გამართვის წესიშემოღებულ იქნას, ასოციაციის პრაქტიკულ მუშაობაში შემოქმედებით საკითხებს, რადგან ამ გზით გაუ-ადგილდებათ პროლეტარულ მწერლებს მავნე მოვლენების თავიდან აცილება და თან და თან დასასული მიზნის—ჟეკემონიის შესრულება¹).

ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო: კ. ლორთქიანიძემ, ა. ვაკელმა, ბ. ჩიქოვანმა, გ. რადიანმა, ბ. წვერავამ, ს. ეულმა, პ. სამხონიძემ, ა. უოფიკაშვილმა, გ. ბეხოშვილმა, ფრ. ნაროვაშვილმა, გ. კარხანიძემ, გ. ნავთლულელმა, კ. ბობოხიძემ, გ. ხეჩუაშვილმა და სხვ.

პლენუმის დღის წესრიგის მეორე საკითხი იყო „მომავალი მუშაობის შესახებ“ ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. ეულმა.

ამხ. ეულმა თავის მოხსენებაში საჭიროდ აღიარა, რომ ასოციაციამ მიიღოს პრაქტიკული ზომები ასეთიცის წევრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ მიზნით მას საჭიროდ მიაჩნია: სისტემატიურად მოაწყოს დისკუსიები მწერლობაში და განსაკუთრებით პროლეტარულ მწერლების წრეებში წამოკრილი იდეური ხასიათის საკითხების გარშემო: მოეწყოს სემინარები მწერალთა საერთო ცოდნის გასაღილებლად; მოეწყოს საღამოები თვითეული მწერლის შემოქმედების გასარჩევათ და სხვ.

გარდა ამისა მომხსენებელი საჭიროდ აღიარებს ე. წ. საკონსულტაციო კომისიის დაარსებას, სადაც მწერალს საშუალება ექნება მიიტანოს თავისი ნაწარმოები და იქ მიიღოს მისი ობიექტიური შეფასება, საკონსულტაციო კომისიების დასკვნის გარეშე ესა თუ ის ნაწარმოები არ უნდა გაიგზავნოს რომელიმე გამომცემლობაში. უნდა მოეწყოს აგრეთვე ექსკურსიები როგორც რესპუბლიკის ქალაქებში, და სოფლებში, ისე მეზობელ რესპუბლიკებში, რომ მწერლებს საშუალება მიეცეთ გაეცნონ, როგორც ჩვენი გლეხობის, ისე მეზობელ ერების ყოფა-ცხოვრებას.

¹⁾ ამხ. ბენიტო ბუაჩიძის მოხსენების ვრცელ ანგარიშს და პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციებს მოვათავსებთ შემდეგ პ-შ.

ამს. ს. ეულის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელ-
შიც მონაწილეობა მიიღო ამს: ს. წვერავაშ, შ. ნავთლუდელმა,
კარსანიძემ და სხვ.

ორივე მოხსენების ირველივ მიღებულ იქნა რეზოლუცია.

შემდეგ პლენურმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები:

1) აღადგინა პროლ. მწერ. ასოციაციის წევრობის უფლებაში
მეორე ყრილობის მიერ გამორიცხული ამს. პ. ქიქოძე.

2) პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა წევრებად
ამს. შ. რადიანი, მ. ტატულოვი და აზიზოვი და კანდიდატებათ ამს.:
ს. წვერავა და ა. ხუჭავა.

3) სამდიკნოს შემადგენლობაში შეყვანილი იქნა ამს. შალვა
რადიანი.

კ. ბობოხიძის წინადადების თანახმად პლენურმა დაავალა ასოცი-
აციის ყველა წევრებს, რომ გამოიწერონ „პროლეტარული მწერ-
ლობა“ და ხელი შეუწყონ მის გავრცელებას.

პიგლიობრაჟი

კონსტანტინე გამსახურდია „აზალი მისამართა“ გამომცემლობა
„ქართული წიგნი“ ტფილიხი, 1928 წ.

სადღაც ერთ-ერთ უურნალის „წარკვევები“ წავიკითხე გენერალ პურტალა-
სის მიერ დამყარებული ლაქბობის მოთვლით რეკორდზე ამ აროვესიონალურმა
მოლაყებმ 120 საათი ილაპარაკა 7 საათის შესვენებით. 120 საათის გამაცელობაში
პურტალასი რომევდა, რაც პირზე მოადგებოდა. კ. გამასახურდიამ ამ მხრივ აბალი
რეკორდ დაამყარა იმ წარმატებით პურტალასთან შედარებით, რომ უკანასკნე-
ლის ნაროშიავი უზრუ-უკვლიდ დაიკარგა კაცობრიობისათვის, რადგანაც არავის
უცდის მისი ფიქსაცია. კ. გამასახურდიას კი გამოიუჩნდა ამ შემთხვევაში მაღლიანი
„სტრინგრაფისტა“ გამომცემლობა უქართული წიგნი“-ს სახით.

დავიწყოთ სათაურით:

მაგრამ წიგნის შინაარსის სათაუროთ შეუსაბამობის გამართლებას აეტორი
ცდილობს წინასიტყვაობაში. ის ამბობს: — ცნება „აბალი არ უნდა იქნეს გაგებული,
როგორც თანადროული. შესაძლებელია ქორინიკონის მიხედვით ესა თუ ის ლი-
ტერატურული ფაქტი „უძველი“ იყოს, მაგრამ აბალია და თანადროულზე გავლე-
ნას მაინც ახდენსო“. თუ რაში ხედავს ატორი გამიღებულ მწერლების და მოა-
როვნების გაელენას „ახალ ცერტიფილ სულობაზე“ ამას შემდეგ დავინახავთ, მა-

გრამ უდავოა რომ თავის-თავად ცნება განსაზღვრულის მინშენელობათ უნდა იჩიარებოდეს და არქიმედს. ნიუტონის ან კოპერნიკის აღმოჩენებს, უდიდესი გავლენა რომ პეტრე თანამედროვე ბუნების მეტყველებაზე, მათ მარც ახალ აღმოჩენებს არავინ უწიდეს. სი აკა ახალი, აკ უფრო სარეკლამოდაა ნახმარი და ასეთ უსუსურ რეკლამების შესახებ გვატრონილებდა ჯერ კიდევ ცნობილი კონშია პრუტ ლო—უთუ სპილოს გალიაზე წაიკითხავთ ჩარწერას „კამერი“, არ ერწმური შენ თვალებსათა. ჩვენც ამ ახლიდგან დავი ყოთ „შებლით ვებლებით ახალ დროს“ ი, ამბობს აეტორი; სწორედ ის რომ შებლით ეხლები, ის ახ-ლ დროს და არა იმით, რაც ჩვეულებრივად შებლს იქთ არის მოთავსებული, ათემივინებს კ. გამ-სახურლის, რომ თანამედროვების საუკუთხოს დახასიათება, მისი „კრიზისის“ მთავარი მიზეზი არის მითის ჟენერალი.

მაგრამ ეს ისეთივე ქორფა და ახლად დაკრეფილი აზოებია როგორც, ატ-ლანტიის ოკეანეს გადმოუკრიული კაბა-ჯუნები ჩვენი „ამერიკანიდგან“. ამ უკანასკნელის დამსახურება? „მან ადამიანი თეოლოგის არტახებისაგ. ნ გაანთავისუფლა“.

მაგრამ თვით მიზეზი ამ რენესანსისა? რატომ ეს რენესანსი იტალიის სამ-რენელი ქ-ლ ქებში დაიწყო? რა სახოგ დოგბრივი კლასები და ჯგუფები გამოდიოდნენ მის მებარეასტრუქტი? ასე შორს არ სწერება აეტორის „შებლის ხლით“ გამოწვეული მისტიკური ხილვა.

რენესანსის დამსახურება? მან ადამიანის თეოლოგის არტახებისაგან გაანთავისუფლა“, აგანთავისუფლა, მარტო დასტოვა“ უ-ვინ იტყვის“ კურესითა და ვიშ-ვიშით განაგრძობს აეტორი; რომ „ასეთი განთავისუფლება უფრ-ო მძიე ვა, თუ მარტოობის ტრალედია“. ა

მაგრამ რამ დააბლა ასე საშეალო ს უკუნობის წყვდიდიდგან გამოსული ადამიანი? აეტორის თემით ჭაბულო საუკუნე ღმერთთან თანაზიარობა იყო, ღმერთთან თანაზიარობის მოგვა ყელესია. მას ეტე მდებარეოდა: სახელმწიფო, მეცნიერება, ხელოვნება. აეტორის ახრით (თუ პირველ ჭყაროებს არ გამოიყედებით) საშეალო საუკუნე ეს ერთი მოლიდი ლიტურგია იყო—ს დაც კულესია და სამღედლეოება „ღმერთისა და კაც-ს თა ამონიარობის მ-გვა იყო“.

ეს უკვე შრომის სკოლის ფარგლებში გააბრუნებს მ გრამ მაინც უნდა მოვიგონოთ საზოგადოება-მეცნიერების ის ანაბან, რომ საშეალო საუკუნოებში, ფეოდალურ საზოგადოებრივ წყობაში სახელმწიფო, მეცნიერება და ხელოვნება და მასთან ერთად ცვლი-იაც არა მარტო „ღმერთთან თანაზიარობისათვის“ იყო მოწიდებული, არ მედ ამ წესწყობილების. მასში გაბატონებულ კლასების ინტერესების დასაცავათ და თუ ცვლაფერი ეს რელიგიურ ელუქრმი იყო გახვიული, ამას მიზეზი იმაში უნდა ვვინოთ, რომ ამ შედარებით უძრ-ვ. მკედარ და გარ ნულ საზოგადოებრივ ფორმაციისათვის ყველაზე უფრო გამოგვებოდა ისეთი კონსერვა-ტიული ფორმა საზოგადოებრივი კი ი ყოოლოვითა, როგო იც არის რელიგია.

მაგრამ ისეთი „მოაზროვნისათვის“, და „ლიტერატურის ისტორიკოსისათვის“ რომელიც შებლით ეხლება ისტორიას, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ წერილ-მანგებს? მთავარი ის არის, „ომ კაცი ირიგავის განვითარების ერთ პერიოდის დასასრულება, საშეალო ს-უკუნობის მოქნ. ხე დაიკა-გა მითი.“

„ამის ნაცვლად განთავისუფლებულ ადამიანობას ხელში შერჩა მარადიული ადამიანის უფლება“ „ამ უფლებიდგან იწყება ინდივიდუალიზმი. ამ უფლება-

შინა ჩვენი დროის იმპერიალიზმი, კაპიტალიზმი. აქედან იწყება დაუსრულებელი გერმანის კრიზისი. აქეცვა განმარტებული დებიტ შედგეტა. (ურსეფი კველგან ჩვენია ა. პ.).

მთელ თანამედროვე სახოგადოებრივ ისტორიულ პროცესის, მისი ბუნების— კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ამ ფრაგიტურ „მარადიულ ადამიანის უფლებით“ ასენა მოთლოდ იმ კაცს შეუძლია, რომელიც მთელი კაცობრიობის კულტურის საუძღვლად მითოსა და ზღაპარს აღიარებს.

გ. მოსაცავი ამ „კიბისიდან“, რომლის საფუძველი მითის გადაშენება? ისევ: მ მითონ და ღმერთთან „თან. ზიაუბასთან“ დ. ბრუნებაა. „უკანასკნელმა ომებმა და რევოლუციამ ჩველა დაარწმუნა“, „მითის აეტორი“ რომ „ასე არ შეიძლება“, რომ აძალი უნდა იშვას. ცადია თანამედროვე ვეროპის მწვავე ტკივილები ა ა ა ლ ი დ მ ე რ თ ი ს შ ი თ უ ნ დ ა ი ქ ნ ე ს გ ა მ ი ს ყ ი დ უ ლ ი. ამ მოვლენას გარც მწვრალი და ვერც მყიაზელი გვერდს ვერ აუცილის. მოვლენების ასეთ ასწავ ჰაი-ჰაი რომ გვერდის ავლა სჭირია, რაც მყიაზელს შეეხება, მისითვის ზოგჯერ ვეგნერ დუალის და ლაუ სონტრელის სიბრძეები საინტერესოა საზოგადოებრივ ფიქტურობების თვალსაზრისით. მთელი ეს მარგალიტები წინასიტყვაობის ერთ კარიზი, ცდა ათი სტრიქონის მანძილზე გაძნელია. წარმოსადგენია, თუ რა ძირიქას დიაფენს წარმოადგენს ამ ლატურალის მთელი შესავალი შეძლისათვას. რომელიც თავგამეტებით ერთეულა აძალი დროის ბეჭებს.

გავანგებოთ ჯერჯერიობით თავი ამ წინასიტყვაობას და წინასწარმეტყველებას და გადავიდეთ თერთ წეგნის „პოზიტიურ შინა. რსხე“. დავიწყოთ თუნდაც ავტორის თქმით „ლეიქრთან-მორკენზე“, დიდ „შინ-გან ტრალედის მატარებელ კაცად კ ცისაგან“ ლ. ტოლ ტოლაგან.

რას გვაძლევს ავტორი ასეთ მშევა და აქტუალურ საზოგადოებრივ ინტერესს მქონე საკითხის გადასახრელად, როგორიც არ ის ტოლსტიუმ და ტოლსტოველობა. ან რა შეუძლია საერთოდ მოგვცეს იმ მიზანმას, რომელიც ახასიათებს ავტორს დიდ ისტორიულ პიროვნებ-სადმი? „ადამიანობის მოდგმა“ ამბობს ავტორი წერილში დანტეს შ. სახებ, „მედამ ასაყობდა და დღესაც ამაყობს, რომ ჩვენს გვლეში ძლიერია თავავანის-ცემის ძალა. ეს თავავანისცემა ქვეყნაზე მუდამ თოხის წვარასთვა ბუნების ადამიანს რეგებია: გმირსა და წმინდას, პოეტსა და „წინასწარმეტყველს“. მათვა ჩატვირის კველა დროის ლე-ერდა“...

„ეს უცილოდ რელიგიური პრაქტიკა კაცთ მოდგმის შეპრებაში“ და ვინც რაციონ-ლურ კვლევის მეთოდით მიუ დგება მათი ცხაზერების „ნამდგილ“ სინამდგრელის აღვავენას, მათთვის ბეჭებითა შვილითა დაბეჭდილ წიგნათ დარჩება გვნიის პიროვნეული ცხოვრება“.

„რადგან როანეს სახარება ას: „პირველთაგან იყო სიტყუა“ უნდა გადავასწოროთ: „პირველთა ან ცყო მითი“.“

მითი ყოველთვის უზრ წართ ლა, ვიდრე ყოველი სინამდგილე, რადგან პირველი უფრო ძლიერია და გამრთე, ვიდრე ყოველივე ფაქტოლოგია“.

თუ ნამდგილი მაცველური მითითის და ლეპტონარულის გააშრებას მეცნიერულის ანალიზთ ლამაბა. — გზა-აზნეული მისტიკის კი, რომლის ძალას აღმატება მშრალ ფაქტების ანალიზი, რაციონ-ლურ კვლევის მეთოდი, სცდილობს მითითი და ლაგუნ ფარულ ნისლში გამოიიფა, ჩვენგან თუნდაც სიტრითა და დროით არც ისე დაშორებული ისტორიული მოვლენები. ეს ხერი წევი ხალხურ შემოქმედებისათვის კრგათ ცნობილ ნაცარქექის მანიპულიაციებს გავს ნა-

აღნუსხავს რა „მონარქიებულ“ გრაფის ბრძოლას რუსულ მონარქიასა და ორიდოქსალურ ეკლესიასთან, აეტორი ბრძნულად დაასკენის: „მონარქიისა“ და ორიდოქსალურ ეკლესიისაგან დამუშავებულ ხალხის გამოსარჩევებიდან საგირო განდა ისეთი დიდი საქმის გაცის და ანტეპრისტეს მოყლინება, როგორიც იყო ლენინი. ლენინმა დალეჭა მონარქია და ორიდოქსალურ ეკლესიას საფუძველი აუფორიაქა. მომავალი მეისტორიუმი აღნიშნავდნ ალბათ, რომ „რუსეთის სინამდვილეში“ ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ გზა გაუკავში ლენინს“.

„სამიერ დიდი უარის მცოდნელი ურთიერთისაგან განსხვავებული არიან: ტემპერამენტით, ბრძოლის მეთოდით, იდეოლოგით, მაგრამ სამიერ რაღაც აკავშირებს“.

ეს არის რუსული სინამდვილის უარყოფა,

ეს მათი მსგავსება ასეთი ზოგად და არაფრის მთქმელ ნიშნის ნიადაგზე, როგორიც არის რუსული სინამდვილის უარყოფა ძალიან ჰქავს ნ. შიუკაშვილის კომედიის „ამერიკელ ძინის“ ერთ-ერთ გმირის—კვაპის მტკიცებას ქართულ და ინგლისურ ენის ნათესავობის შესახებ იმის გამო, რომ ორივე ენაში მოპოვება ასო ჯანი. ამ შემთხვევაში კვაპის ფალთლოგიურ კონგლიორობას განსაზღვრული პრატტიცებული მოტივი აქვს აქ კი ლენინის ანტეპრისტეთ და ჯადოერიათ დასახვა, რომელიაც თითქას კერძობის დაკრიტი დაამსხვრია მონარქია და ორიდოქსალური ეკლესია, მის გმირად და შიმონდანად გამოყენა, რომელსაც თითქას ტოლსტოიმ და დოსტოევსკიმ გზა გაუკავში, ეს ყოვლად გაუმართლებული დამახადებაა ისტორიულ სინამდვილის.

ლენინი ასეთ ურთიერთოვნულ კიდილში არასოდეს შებმია „რუსულ სინამდვილეს“.

თვით მონარქიასთან ბრძოლაში ტოლსტოი პატრიარქალურ რუსულ სიუელში, მის თემურ წყობაში სკვერტედა მტკიცე დასაყრდების ელემენტარულ სამუშაოები ურთიერთობების და მით პირობადებულ პრიმეტიულ სითვლურ ფსიქოლოგიისთვის. ტოლსტოის მთელი შემოქმედება წარმოადგენდა ბრძოლას რუსეთის სინამდვილეში აზლად შემოტრილ კანიტალისტურ ურიერთობებთან, საზოგადოებრივ ყოფის და შეგნების ამაღ პრიმეტებთან, მათ უარყობას რუსეთი საფის დრომომტებულ პატრიარქალურ ყოფის თვალსაზრისით. აქცევან უარყოფითი დომინიცებულება მეცნიერების და ხელუწყებისადმი, კულტურისა და ცივილიზაციის ყოველგვარ მილწევებისადმი, როგორც ხელოვნებრ შედნაშენებისადმი ბუნებრივ ცხოვრებაზე.

ცხადია აქ ბევრი არაფერია იმ Uita იუსტა-დგან, ახალ ცხოვრებისაგან, რომლისთვისაც იძრმოდა ლენინი.

ამას უფრო მეტს არას გვეუბნება აეტორი იმ სოციალურ გარემონტე, რომელმაც წარმოშეა ტოლსტოი და დროშე, რომელშიც ის სცენორობდა. არაფერს გვეუბნება იძაშედაც თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან, მის შემოქმედების და სოციალ-ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების სხვადასხვა პრიორულში.

მაგრამ დეტალურ სოციალოგიურ ანალიზებს აეტორი არჩევს მისტიკურ ხილვას, ტოლსტოის შემოქმედების და მსოფლმხედველობის ახსნას ის მშერლის ზოგად რაიონულ და ეთნოგრაფიულ თავისებურებებში ეძიებს.

ერთიც,—რაც ანასიათებს წიგნის ავტორს სწავა უქიმობათა შორის, ეს არის უკვე მოძეველებული ფიზიკონმიტური მეთოდი გასაჩრევ პირთა დასახასია-თებლად: „ჩევპეტრი ვავენ დიტრიბის მიერ იქნაში გამოცემულ ტოლსტიოს პორტრეტის რეპროდუქციას“.

„ბაღში, ზის ძირას დგას თეთრ წვერი, ახოვანი მოხუცი. თავზე ახირებული ჯამისებური სარტყელი ქუდი ჰაურავს, ბლუზის კალთები მუხლის თავებს ჩა-მოსცდენია, ისეთი უშიშო პალტო აცვია, გეგონებათ, სადაც ლუბიანკაზე—მეცველესთან უყიდნიათ. თავად განხე სდგას. ბეჭები მინგრეულ-მონგრეული. ცალი ხელი სარტყელში ჩაუჩრია, ცალში ყაფრუჯუნი უჭირავს“...

„ეს უფარმობა, ეს გათქვეცულობა, მე მცონია რასიული ზადი უნდა იყოს მის ბუნებაზე“.

ასევე დოსტოევსკის შესახებ: ..შეხელეთ მის სახეს: მოელი ჩეენი საუკუნის ტეგილებს იქ ნაბავთ“..

„მისი სევდით დაბალი თევალები ელავენ დემონით შეცყრბობილ ადამიანის ტანჯვით. მისი მაღალი შებლი ფრთიანი, არწივისებური აზრებია საბუარია... ამ ქვეყნად სამ.აცი წელი დაპყო. ვინ დატანჯულა მასავით მწარეთ! ეგებ ი ე თ ს თ, ჩ ვ ე ნ ი მ ი წ ი ე რ ი, ტ ა ნ ჯ ვ ა, რ ა მ ი ტ ვ ი რ თ ა დ ა ჯ ვ ა რ შ ე ა ც ი დ ა ი ს ე, რ ა გ ა რ ც ა რ ც ე რ თ ი გ ვ ი რ გ ვ ი ნ თ ს ა ნ ი ტ ა შ ტ შ ე“.

პოზიტიურმა კრიტიკამ, „ფილოლოგებმა და ტექსტის კრიტიკოსებმა“, რომელიც, „რაციონალურ კვლევის მეთოდით უდგებიან თავის საგანმ, დიდი ზანია აღნიშნეს კავშირი დოსტოევსკის შემოქმედების ფორმალური მხარის - მის მხატვრულ ხერხებსა, მის რომანების კომპოზიციასა, მის ნერვიულ ენასა და იმ გარემოს—ქალაქის მოძრავ და ცხოვრებისთვის ბრძოლაში ნაკლებად უშრონელყოფილ ინტელიგენციის შორის, რომელშიაც ის ტრიალებდა და რომელსაც ის ასახავდა თავის ნაწარმოებში.

ასევე მისი მსოფლმხედველობა განისაზღურებოდა არა რაღაც დემონიურ ძალთა ბრძოლით, არამედ იმ რეალ საზოგადოებრივ აზრის მიმდინარეობებთან ბრძოლით, რაიც ასე ნათლად მოსჩანს მის საზოგადოებრივ—პუბლიცისტურ საქმიანობაში.

ასეთი მიდგომით საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენებთან და საზოგადოებრივ მოლვაშვებთან აერორი თითონა სკრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის და თუ თავის აზრის ნაკრძალებს მისტიკურ ნისლში ხვევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ როგორც გერმანელები ამბობენ სიბრძეში ყველა კატა რუსია, ამ მისტიკურ ნისლში სიბრძნე თუ სისულედე ერთნაირის იმენიტეტით სარგებლობს; თავის-თავად კი დიტრიბის მიერ იქნაში გამოცემულ პორტრეტების რეპროდუქციებით მთელი ეპოქების რესტავრაცია ისევ ადვილი საქმეა, როგორც ბორი ქალისათვის თქვენი აწყობას, წარსულის და მომავლის შეირიან კარტებზე ამოყითხა.

აქედან ადვილი წარმოსადგენია თუ რა ნაყოფიერი იქნება ეს ,მისტიკური თვალმოვლება“ კაცობრიობის კულტურულ განვითარებაზე დაწრე ალიგირ-დან მოყოლებული, ვიზრე სტეფან გეორგემდე, თვალმოვლება რაციონალურ მეთოდის ნაცვლად ამ ფიზიკონმიტურ მეთოდით აღკურვილი. ცხადია ისევ უნაყოფოა, როგორც ცნობილი ბიბლიისტი ლელების ხე.

მაგრამ ტერდენციურობაში რომ არ ჩამოგვართვან ზემოთ მოყვანილია ანალიზი ენაზთ, იქნებ მოუხდავათ მის მიერ აღიარებულ მეთოდისა, აგროვს სადმე ახასიათებს უფრო პოზიტიური მეცნიერული გარჩევა ისტორიულ—ლიტერატურულ მოვლენების.

დავით გორგაძე, ავტორის მიერ დაკრეფილ ნიცხვასაგან, განვიძილოთ ავტორის გენერიული თვალსაზრისი ამ შემთხვევაში.

თავი II—გვნეოლოგია.

რა შეიძლება ითქვას მის შესახებ „რაც მის პიროვნების ლეგენდას არ შეიცავს“. ან როგორ შეიძლება ლეგენდარული ადამიანების გენეალოგიაზე ითქვას რაიმე.

„რაც ნიცხემ ერთხელ გაკვირით სთქვა გოვტეშე. იგივე ითქმის მასზედაც“.

„გოორტე, ამბობდა ნიცხე: არსაიდგან არ მოსულა, მას არც წინაპრები ყოლია, იგი მაღლიდგან ჩამოვარდა გერმანულ სინამდვილეში. არც მუმკიდრები გამოსჩერია ამის შემდეგ“.

თუ რა კავშირი არის ნიცხეს „მე“-ს კულტსა, მის კაციკამია, ზოოლოგიური ინდივიდუალიზმა, რომელიც აეტორს „გონებრივ არის ტოკრატიზმის მშევრვალად დაუსახავს, და ბურუუზის განვითარების გვირულ პერიოდს, laissez passer faire-ის პერიოდს შორის ამაზე აეტორი თავს არ იტკივებს. საკოთხს ის უფრო ადვილად სჭრის. რა ისტორიული პერიოდები! რის სოციალური გარემო! ჩამოვარდა ეს კაცი მეტერიტორით ციდან, მორჩა და მოსუენა. რა მნიშვნელობა აქეს მისტიურ მაღლობებზე ასულ „სულისათვის“ ისეთ საკითხებს, როგორიც არის ნიცხანობის დამოკიდებულებას დემოკრატიასთან, მის პროტესტს თანასწორობის იდეიის მიმართ, მანობის აღიარებას უშალლეს კულტურის საუცხვლად და საუკუნეების ნიცხეს დამოკიდებულებას ქალთა საკითხთან. მისთვის უფრო საინტერესოა (უფრო სწორედ რომ ესთქვათ ხელსაწყოომია) დაუნაწევრებ ლი მისტიური ბოდვა. „მისი (ნიცხეს ა. კ.) კრთულიაზმის საყურადღობი და მისი აღმოსავალი წერტილი იყო მისტიური სიბანელე, მისი ნიღაბი, ბნელ თვალებიანი ღმერთი დიონისის“, შეიძლება იგი თავად იყოს არა მარტო დიონისის ნიღაბი, არამედ „ორუკერ დაბადებული“ ღმერთი დიონისის.

სურათის სისრულისათვის გადავიდეთ ჩვენ თანამედროვე გერმანულ მწერლის სტეფან გორგეს განბილვაზე.

„დიდი პოეტი მუზამ დიდი რევოლუციური ყოფილა ისტორიაში“.

„დიდი პოეტი“ განაგრძობს ის „მუზამ კონტრასტულადაა განწყობილი თავის საუკუნესთან. და ყველი დიდი თანამედროვე თავის ენის გვესლსა და მახვილს მუზამ თავის თანამდროულობის წინააღმდევ მიმართავს ხოლმე. აი თურმე რაში მდგომარეობს რევოლუციური ბობა. შემდეგ „ასეთი პოეტი არასოდეს ოვერამსს არ უყეობს. ბრძოს და საუკუნეს. ვინ სწერს ჩვენს სინამდვილეში ასეთის სტილით. ასეთი უნიდაგო და მედიდური გადახედვა „ბრძოსალმი“, გენალურ პუშკინსაც არ აძარება სახოვადოებამ, ხოლო გამისახურდის მით უმეტეს...“

„ასეთ დიდ ადამიანების ხელით და პირით იწყება მუზამ დიდი კულტურა“ განაგრძობს აეტორი.

„თანამედროვე ევროპის ინტელექტუალურ ცხოვრებაში ვინმეს უფრო დიდი ბრძოლები გადახეხადოს ზერელე ტერდენციების, ეპიკომიბის და მხალეოდ დროულ კულტურულ ინტერესების წინააღმდევ. როგორც სტეფან-გორგეს „მუზოლე დროულობა“ ხომ ჩვენი ეპოქის უდიდესი სენია — განაგრძობს აეტორი.

ეს თავისებური რევოლუციური ბობა თურმე „ლაშერობაა სოციალურ ნატურალიზმის წინააღმდევ“.

ეს რაღა აღმოჩენაა—სოციალური ნატურალიზმი—ქვეყნით მისდევს განმარტება: „ნატურალიზმის გაფლენით გადასრულილმა სოციალ-პარტიულმა ლო-ზუნგებმა დაწინდილა ინდივიდუალისტური შემოქმედება. ამ დროის სალაშერო-ყოლი იყო: ძირს ნატურალიზმი, ძირს საზოგადოება და მისი უტილიტარის-ტული თეორიები“.

ავტორი ამ „რევოლუციონერებთან“ ერთად მხედრდება (აქაო და ჩვენც ვსნავდით) ვალმიერდის და ტენდენციის წინააღმდეგ ხელოვნებაში, პროგრამულ და დიდაქტიურ უპლებების “ლიტერატურის წინააღმდევ”.

„ახალი ხელოვნება უნდა იყოს სულიერი ხელოვნება“. „ხელოვნება მხსნელი მაცნობელია ტანჯულისა, რადგანაც ტანჯვა უაღრეს ეჩამალტაციის ფორმაა მხოლოდ“ დიდის სასოფტით იმეორებს ავტორი ამ „რევოლუციონერების“ სიმ-ბოლოის სარწმუნოებისას.

რათ ქადაგებს მერმე ავტორი ამ „რევოლუციონერებთან“ უნიკალური ამ ცხოვრებისაგან განდგომას. ამის ასწავ ავტორის აზრით ჩვენი დროის სეუკიფიურ თვისებებში უნდა ვეძიოთ.

„რას ჭარბიადებნის მერმე ეს საზოგადოება“?. კითხულობს აეტორი თანა-მედროვე საზოგადოებაში. „იგი მხოლოდ ჯამია ადამიანურ ასოციაციებისა, რო-მელსაც მხოლოდ ჯოგური თავდაცვისა და ცხოვრების შენარჩუნების პრინციპი აკავშირებს. ეს ითქმის უპირატესად სტეფან გეორგის დროის, ე. ი. ჩვენი დროის საზოგადოებაშე. დაასკვნის ავტორი.

რა აკლია ამ დროს—ისევ და ისევ ღმერთი და სულობა.

„როკოკო, რომლის დამსრულებლად გილტე უნდა ჩაითვალოს“, განაგრძობს ავტორი, „უკანასკნელი მინიმალური განმორციელება იყო საზოგადოებისა, როგორც სულიერ კავშირის მატარებელი ასოციაციისა. ამ საზოგადოებას კიდევ ახასიათებთა ერთიანობა გემოვნების, სტილის, ცხოვრების ადათების. ამ საზოგა-დოებას კიდევ მოქალაქებოდა თავისი სოციალური აღნავობა. ამ საზოგადოებას კიდევ ჰყავდა თავისი ღმერთი. გოგოეც იმუნენად მახსური იყო ამ საზოგადოების, რამდენ-დაც იგი თავის დროის ღმერთს ხარს აძლევდა. „ამგვარად გოგოეც გამო-მხატველი იყო ასე თუ ისე განსული რებული დროი სა“.

ამრიგად ჩვენი თანამედროვე ეპოქა, უდიდეს სოციალურ მოძრაობათა და გარდაქმნათა ეპოქა მევდარი და უსულოა, ლიტერატურულ მეთექვესმეტის ეპოქა კი გამსულიერებულია და ლმერთთან მოშიარე. ტურნიურებში და მინუტებში სკერეტს ავტორი ერთიანობას გემოვნების, სტილის და ცხოვრების ადათების. ბევრარია ჩვენი ეპოქა უდიდეს სოციალურ ქარტებილების, იმიტომ, რომ ის ყირანე აკენებს ყველა ძველ კურპებს და ღმერთებს, რომელთანაც ემებს თავშესატარს ყველა უძლეური და გზადაბნეული, რომელსაც არ შეუძლია თვალი გაუსწოროს ახალ ცხოვრების მშებ.

ეს დამტერთხალი და გზა-აპნეული ბალზი მოუწოდებს ხელოვნებას „მასების სამსახურიდან—ინდივიდუალისტურ სულიერ კულტურისაკენ, ტენდენციურ ნატურალისტურ თეორიებიდან—პერსონალისტურ ხელოვნებისაკენ“.

სტეფან გოგოებისა და მის წრეს დიდ დამსახურებათ უთვლის აეტორი, რომ მათ „მინტი კედელი ზღუდავს საზოგადოებისა და პოპულარიტეტისაგან“.

„სტეფან-გოგოების შემოქმედებაც საუკეთესო თავდებია იმისა, რომ ესორ-ტობა და განმარტოება დადგენდელ უსულო საზოგადოებიდან ცარიელ პოზას და იაფენასან უფექტების მოყვარულობას როდი ნიშანეს, არამედ შემოქმედებისა-

„როკიუს წარმომადგრენლ გოტეს“ იმეორებს აეტორი „კალე შეეჭლო ხარე ეძლია თ. ეს დროისასთვის; იგი როგორც პოტი და მშერალი, ამ სახოვა-დოების ყაფნისა და მისი ეთიური შინაარსის გამომხატველი უნდა ყოფილიყო“. ჩვენ დროის მშერლისათვის კი აეტორის აზრით „სტეფ. ნ გვიარგვებული გან-დღომილება, ერთგვარი ბერად აღვეყუა, მოუყილებელი საშუალებაა“. რატომ იმიტომ «ოთხ ის და როის მსახური არ გახდეს“.

„გმირგებათვის მშერლა ბა იდემალი მღვდელთ-მსახურებაა და არა პრო-ფესია“. აი ეს გახლ-ვთ საერთო ფონი, რომელსედაც ჩვენ მყაფიოდ უნდა გავარ-ჩიოთ სტეფან-გვიარგვების აიგანტიური ფიგურაა“.

ესლა კნ მოთ მისი „ფორმალურ ანალიზის“ ნიშვნები.

„სტეფან გვიარგვე“ ამირობს აეტორი „უაღრესი ინტელექტუალური არისტო-კრატობის შიგიერებითა. რეჟულობა და არისტოკრატობა მისი ბუნების განუყრე-ლი ნაწილია ამირობაც მისი სტილი და ენაც მუდამ არისტოკრატიულია, იგი მოკლებულია ყოველივე ბანალურ გამოთქმის საშუალებას“.

„მისი ახალი პ-თისა არასოდეს არ უნდა აუზით ყალბ პათეზიზს; წინა-აღმდევ იგი მცნებათა და გრძნობათა ბანალურ, პირდაპირ გამოთქას მუდამ გა-უზრბის. ხ შირ ად მ შრალ არა ფრის ტეტ კველ სიტყვას არ ჩვეს შა-ბ ლ ონ ურს და ტეტ პერამენ ტიანს. აი რაზო მდგომარეობს თურმე ინტელექტუალური არის ოკრატიზი, შშრალი, არაფრის მეტყველი თქმა უნდა ვარჩიოთ შაბლონურს და „ტემპერაცი-ტიანს“ (ეს რ:ლაც დარღუბალაა ? ა. კ), რა ჯირ ადგევატურად არ გამოხატვ-დეს ეს უკანასკნელი ჩვენს აზრსა და გრძნობას, ამიტობაც აღბათ, ამ ინტელექ-ტუალურ არისტოკრატიის მანიით სნეჟული აეტორო უაზრო და არაფრის მეტყველ რახა-რუს არჩევს დანაწევრებულ : დამიანურ მეტყველებას, მაგრამ კმარა, ჩვენ არა გვაქვს ამ „ინტელექტუალურ არისტოკრატიის“ პოეტიზიები, რომელიც, ავტორით აწრით, უაზრო და უმიზნო „ორიგინალობის“ ძიებაში მდგომარეობს და ჩვენს წერილს ავტორის რეცეპტის მიუხ დავ-თ შაბლონურად ვასრულებთ.

წიგნი სუვთათა გამუცემული, შეიცავს 224 გვერდს, მით საბაზო ფასი უდირის 1 მან. 25 კ, თუმც ეს ფასიც მშრალი და არაფრის მეტყველი გამოთ-ქმაა გამომცემულობის მიერ გაწეულ ხარჯების, რადგანაც წიგნი ჩვენს (და ვთ-ხებ არა მარტი ჩვენს) სინამდვილეში არაფითარ არა „მხოლოდ დაზულს“ (რა-საც ასე გაუზრბის აეტორი) და არც მარადიულ ლირებულებას“ არ შეიცავს. თუ დანაპირება გავრძელება ამ მოხვევაურიების მშავე სულისკვეთებაში იქნება დაწე-რილი, ის „უწმინდეს სინოდის მაუწყებლში“ უფრო ადვილად დაიძებდება, ვიდ-რე ჩვენს რომელიმე „საერო“ გამოცემაში.

ჩვენ მეოთხველი სახოკადოებ, კი ძალიან შორს სდგას მღვდელ-მსახურებისა და ბერ-მომრმწნებისაგან და მათ თვალსაზრისით ისტორიის და ლიტერატურის გაშუქებისაგან.

ა. ჭეიშვილი.

სადღო ზარიაშვილი „ზოთას ბაჟელი“. სახელგამი. გვ.

201—III.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში „თანამგზავრ“ შექმნებიდან ს. შანშიაშვილი ყველაზე უფროა წარმოდგენილი, როგორც გლეხური მსოფლმხედველობის და ტენდენციების მწერალი. მისთვის დღეს მთავარ თემას წარმოადგენს გლეხობა და სოფელი: „ვიცოცხლებ, მუდამ ვიცოცხლებ, შევაქებ ქოხებს, ალიზებს: სოფლის ფერადი ცხოვრება მუდამ გულს წამიხალისებს-ო“ („სოფელს“) ამბობს პოეტი. და ეს სრულიად მართალია.

ს. შანშიაშვილის მთელი შემოქმედება გლეხობის და სოფლის ირგვლივ ტრიალებს: „რთველი კახეთში“, „მუხის დაცემა“, „ნიშნობა სოფლად“, „სოფელს“, „მჭედელი ზაქრო“, „გლეხი ქალი“, „მეწისქვილე“, „გლეხის სიმღერა“, „მწყემსის ფარებში“, „სალეწი მანქანა“, „პიმინი გლეხს“ და სხვ. იმ მისი ლექსიგბის სათაურები. ამ ლექსიგბიდან ზოგიერთში (მაგ. „სალეწი მანქანა“ და სხვ.) ს. შანშიაშვილი ვაცნობს მ ახალს, რომელიც შეიტანა სოფელში საპოვნების ხელისუფლებამ: მამაპაპეული გუთანი და სახნისი შესცვალა ტრაქტორმა, გლეხობის დაქსაქსული საძუშაო ძალა გააერთიანა კოლექტიურად და ა. შ.

აქვე აღსანიშნავია: ს. შანშიაშვილი იმდენათ გატაცებულია გლეხობით, რომ ვერც კი აფასებს იმ არსებით მდგომარეობას, რომელმიაც დღეს მიმღინარეობს გლეხობის და სოფლის ცხოვრება განვითარება. ს. შანშიაშვილის წარმოდგენით ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში გლეხობით იწყება და თავდება. მისთვის მხოლოდ გლეხობა არის რევოლუციონური ძალა და სოციალისტური საზოგადოებისათვის მებრძოლი. ამ შემთხვევაში ის განხე სტოკებს და სრულიად ვერ აფასებს მუშათა კლასს. ს. შანშიაშვილს ჯერ კიდევ ვერ აქვს შეგნებული, რომ მუშათა კლასი არის საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ჰეგემონი, ხოლო საშეაღმ და ულარი ბესი გლეხობა იქ მისი მტკიცე და ერთგული მოქავშირე.

პოეტი უნდა შეეცადოს თავი დაალწიოს ასეთ „ნაროდნიკულ“ იდეალიზაციის გლეხობისა და თანამედროვე ცხოვრების რეალური ფაქტები მოგვცეს. ეს უფრო საჭირო და სისარგებლოა.

გარდა სოფლის და გლეხობის დამახასიათებელ ცხოვრებისა, ამ კრებულში წარმოდგენილი ს. შანშიაშვილს შემოქმედებითი გზების განვითარების დამახასიათებელი ფაქტები მთელი მისი საწერლო ლო პოლვაწეობის მანძილზე: აქ არის 1905 წ. რევოლუციის მეო-

ხებით წარმოშობილი მებრძოლი განშუობილება („ბრძოლის სიმღერა“ და სხვ.), რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი, დაცუ-მული პესიმისტური და ინდივიდუალისტური განშუობილება („სული დანალელდა“, „ორეული“, „არავის ველი“ და სხვ.), გლეხობის ფანტასტიკა და დემონოლოგია და სხვ.

„თანამგზავრულ“ ლექსებიდან აღსანიშნავია „ლენინი ჯავშანოსე“.

ზაგესის შესახებაც აქვს ს. შანშიაშვილს ლექსი, „ელექტრო-არმაზი“. მაგრამ აქ გრავეულად არის დაშვებული მიუღებელი ანალოგია: ზაგესის და არმაზის...

ფორმალურის თვალსაზრისით ს. შანშიაშვილის აქ წარმოდგენილი ლექსები ჩამორჩენილობის იქნს ატარებს. პოეტი ვერ ვასტულებია ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნის მწერლობის მიერ გაეფულ გზას...

ეს კრებული ბევრს მოიგებდა, რომ მასში აეტორს არ შეეტანა ბევრი „უგემური“ და სუსტი ლექსი.

წიგნის კანი მეტად შაბლონური და უსიამოვნოა.

წიგნი ლირს 1 მან. და 75 კაპ. რაც მეტად ძვირია.

პ. 9.

შადარეული: — „შადარეული საჩართველოში“ — 1928 წ. ფ. 30 კ.

ჩვენში რატომაც სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ იუმორისტულ ლიტერატურას, ალბად უმთავრესად იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ ძალზე სუსტია; აგრეთვე აღსანიშნავია ისიც რომ იუმორი წმინდა საპონორარო საქმეთა გადაქცეული. ეს, რომ ასეა ამაში დარწმუნდებით, თუ უურნალ „ტარტაროზი“-ს ნომრებს ზერელუთ მაინც გადახედავთ.

ქართული იუმორი ყველას საჯირითო მოედნათ გადაქცეულა, ვისაც კი რაიმე „ოხუნჯობის“ უნარი აქვს მისთვის ჰონორარი და „ტარტაროზის“ ფურცლები მზადაა. ბოლოს და ბოლოს დიდი დანაშაულია, რომ ოქტომბრის მეთორმეტე წლის თავებზე იუმორის სერიოზული უურნალი არ გვექონდეს. აგერ მეხუთე წელიწადია რაც უურ „ტარტაროზი“ გამოდის და მასში თითქმის ჯერ არც ერთი სერიოზული იუმორისტი არ გამოვლინებულა, ერთი ღირებული ფაქტი არ დაბეჭდილა. ამას დაურთეთ ის ფაქტიც, რომ უურნალს დღევანდლა-მდე თავის გარკვეული პროგრამა არა აქვს. ხშირად ძნელი გასარჩევ-

ვია უურნ. „ტარტაროზი“ — ჩევნ უკულტურობას, ყოფა-ცხოვრებითა ჩამორჩენილობას, მეშჩინურ კეთილდღეობას ებრძევის თუ პირიქითა.

უურნალი ყოველკვირეულად მდარე ხარისხის მასალით იტენება, აქ იუმორის გარდა ყველაფერია. მკითხველის ჯანსაღი იუმორისტული ემოციების გამოწვევა კი ამით შეუძლებელია. ხელოვნებას შეუძლია შეასრულოს (როგორც ბურუუაზიულ დასავლეთში) გამრთობი როლი, რომელიც მხიარული საესტრადო ნომერს, მიუხედავათ იმისა, რომ ის იდეურია არაა, შეუძლია გავვაცინოს, დაგვასვენოს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გამრთობი მომენტი ხელოვნების მთავარი ამოცანა როდია. ეს არ ესმის „ტარტაროზის“ ბეჭრს ვონია, რომ რამდენადაც უულგარულ და უცენზურო ფრაზის ჩაურთავთ ტექსტს, იმდენათ იუმორისტულია და „საინტერესო“ ფაქტი. მაშინ ხომ ანექდოტისტ სერგო ერისთავის ობივატელური ჭორები იუმორისტულ ლიტერატურის კლასიკური ნიშვნი იქნება.

ერთფეროვნება, შტაბში და რუტინა აი, რა ახასიათებს „ტარტაროზის“, მკითხველი ყოველ კვირა „ტარტაროზის“ სამზარეულო-დან მეშჩინურ უდარდელობის და განურჩევლობის პორტის ლებულობს. ყოველთვის რობროხაძები, სომხური სცენები და ტანის ქვე-და ნაწილის რხევა, ისიც „სტანდარტული“ წესით, რასაც ზიანის მეტი არაფერი არ მოაქვს, ვინაიდან ასეთი მასალა მხრების აჩეჩვას, უკეთეს შემთხვევაში განურჩეველ ლიმილს იწვევს.

აუცილებელია „ტარტაროზის“ რედაქციაში შეიგნოს, რომ იუმორი ეს „იაფი—სენსაციების სამზარეულო“ ან პამპულობა არაა. იუმორის უურნალიც მოვალეა გარკეული პროგრამა ჰქონოდეს, საბჭოთა იუმორი შეუძლებელია იყოს „უურნალ დლია ვსეხ“ ეს იქნებოდა თავდავიწყება ჩევნი ბეჭვდითი სიტყვის კლასიური ამოცანების. ჩევნი იუმორი განურჩეველ სიცილს არ უნდა იწვევდეს.

ნიშნეულია იგრეთვე ისიც, რომ რაც კი ლირებული მასალა თავსდება — „ტარტაროზი“-ში ის უთუოდ თარგმნილია რუსეთის იუმორისტულ უურნალებიდან ან „გადმოკეთებულია რაც დასაშვებია“, მხოლოდ ეს სისტემად არ უნდა გადაიქცეს.

საბჭოთა იუმორისტული უურნალი „ხალხურ სჩიკების“ და „გონიორარშიკების“ თავშესაფარი როდია. ჩევნი ერთად ერთი იუმორისტული უურნალი მივიწყებულია, ის ძირითად რეორგანიზაციას საჭიროებს, ის იდეური უნდა გახდეს. მარტო აშე: სილვა თოლიათი შორს ვერ წავალთ. იუმორისტიულ სიცალიერეს ვერ ამოვაესებთ.

ჩენენში არ უნდა არსებობდეს „სპეციფიური“ საგაზეთო ფანრი (ე. წ. საკუირაო ფელეტონი) რომელშიაც ამფითიატროვები დოროშევის მიერ, თაუგუნები და ბურუუაზიული ფელეტონიზმის დანარჩენა წარმომადგენელი ბაზონობდენ. ჩენ ვკირდება, ერთის მხრივ, პოლიტიკური ფელეტონისტი—პამფლეტისტი კოლცოვი, ზორისი და სხვ.

ამას წინეთ გამოვიდა ამს: გადარეულის იუმორისტული კრებული: „გადარეული საქართველოში“ ამს: ეულმა იუმორისტიულ ეანრზედაც სცადა გადასვლა და, უნდა ითქვას არც უშედეგოთ. აღსანიშნავია, რომ გადარეულს ეხერხება სალი, იდეური, იუმორი რომელიც მკითხველშიაც საკირო ლიმილს იწვევს გარევეული მისამართით. საბჭოთა ყოფილი სატირა, საბჭოთა ყოფილი იუმორისტიკა, ბრძოლაა პროლეტარული მშენებლობის შემაფერხებელ მოვლენებთან და სხვ. აი გადარეულის თემატიკა.

ერთგვარი ოსტატობაც გამოიჩინა გადარეულმა იმდენათ, რამდენათაც ის მასალას ფლობს და არა პირიქით, როგორც ეს ხშირათ მოსდის ისეთ სტაჟიან იუმორისტს, როგორიცაა ონისიმე. გადარეული შორსა სდგას უნგლიონობისაგან, ანეგდოტიზმისაგან, რაიმე „საინტერესო“ „ფაქტით უსაგნო თამაშობისაგან“.

ავტორი საზოგადოებრივათ სასარგებლო იუმორისტი დადგება, თუ აქტუალურ იუმორისტულ თემებს დაამუშავებს და ძველ იუმორისტულ ხერხების რუტინას თავს დაახწევს. გადარეულს შეუძლიან სერიოზულად იმუშაოს ჩენი იუმორის მივიწყებულ ფრონტზე.

წიგნი ბევრს მოიგებდა, რომ ავტორს შიგ მხოლოდ „გადარეული საქართველოში“ „როგორ გადავირიე“ და „გადარეული ბორჯომში“ შეეტანა, ვინაიდან დანარჩენი მასალა „ტარტაროზული“ ხასიათისაა, ფსევდონიმი გაუმართლებელია.

3. ლ.

ს. თოდისა მიერ ჩატულად გადასახლი დამიანდების: „ახალი ძლიერება“. საქ. პრ. მწ. ასოციაციის გამოცემა

1928 წ. გვ. 74 ფ. 50 კ.

უკანასკნელ ორ წელში საგრძნობლად წამოყო თავი „რეფორმა“ ქმნილმა ეკლესიამ. ჩენი კავშირის თითქმის ყოველ კუთხეში დაარსდენ ბაბტისტური და ეკანგველისტური ამხანაგობანი, რომელთაც თავისი მუშაობა სახელგარებილ ქრისტიანიზმის „ავტორიტეტის“

ალდგენისაკენ წარმართეს. იმის გამო, რომ ჩვენი შმართველი საზოგადოებრივი მართვის სამსახური არი სათანადოთ არ (და არა ვერ) ებრძევის ამ ანტი-სოციალურ მოვლენას ის უკვე ცდილობს მასიური ხასიათი მიიღოს და იდეურად ხელიდან მშრომელ მოსახლეობის ერთი ნაწილი გამოვეტაცის. ლიკვიდატორობა არ იქნება ჩვენს მხრივ თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ანტირელიგიური საქმიანობა ძალზე მოისუსტებს და ჯერ ორგანიზაციულ საზღვრებს არ გასცილებია; ჩვენი ანტირელოგიური ფრონტი თითქმის მივიწყებულია იმ დროს, როდესაც სიბრძნის და თვალმაქცობის მოციქული ამონდრაგებული არიან და „იხტვიან“ იმისათვის, რათა დამაზიანებელ საქმიანობას ორგანიზაციული ხასიათი მისცენ, ნუ დავივიწყებთ რომ სოფლად კულაკი, ქალაქად ნეპმანი და, მემკვიდრეობით მიღებული კველა ჯურის ნაძირალები „ჯვარს“ ეფარებიან.

ანტირელიგიური ფრონტის ამუშავებაა საჭირო, ამას ნაწილობრივ მემარჯვენე საშიშროებასთან ენერგიული ბრძოლის კლასიური ამოცანებიც გვიკარნახებს. აქ ერთ-ერთ მთავარ მებრძოლ როლს ანტირელიგიური მხატვრული ლიტერატურა შეასრულებს.

ჩვენ სამწუხაროთ ასეთი რიგის ლიტერატურით ძალზე ღარიბი ვართ, უკეთ არ მოგვეპოვბა რა, მაშინ, როდესაც ჩვენი სახელმწიფო თუ კერძო გამომც. საკმაო რაოდენობით მისტიურ, დაცემულობის და ნაციონალისტურ ხასიათის წიგნებს სცემენ. კატეგორიულად აუკილებელია ჩვენმა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა, კერძოთ კი „ურწმუნოთა კავშირმა“ დიდ ტირაებიანი, მასიური ანტისარწმუნოებრივი მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმე მთაწყოს, რაც ფართე მასებში სარწმუნოების საწინააღმდეგო პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი იარაღი იქნება, მით უმეტეს, რომ ე. წ. ევნიგელისტური ამხანაგობანიც კი თავიანთი წესდებების და ლოცვანების ბეჭდებას ახერხებენ.

ამბ. ს. თოდრიან მიერ ქართულად გადმოკეთებული ბედნის: „ახალი ილოება“ უსათუოდ დამხმარე იარაღი იქნება ამ ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრივობა გაშლილი ფრონტით აწარმოებს ყოველგვარ სიბრძნის და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. მხოლოდ საჭიროა, რომ ეს იშვიათი ანტისარწმუნოებრივი წიგნაკი მკითხველთან მიეიდეს, ვინაიდან ჩვენ ვიცით სახელგამის პრაქტიკიდან, რომ თითქმის ყოველი ახლად გამოცემული წიგნი თვეობით საწყობში ლპება.

დებიან ბედნი აგიტაციური (და ბატალური) პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია და ყველასათვის არამართებულად ათვალისწინებული აგიტკის კარგი ოსტატი; მისი აგიტკები დიდი ყურად-

ლების ლირსია და საზოგადოებრივ—ლიტერატურული ლირებულების.
 ბედნიმ პირველმა განამტკიცა რუსულ შექმნილობაში საგაზეთო პოე-
 ტურ ფელებითის ს ტილი და ფელეტონი ფართო მასების შეგნება-
 მდე დაიყვანა. დემიანის აგიტკები მიუხედავად მისი დიდი სადაობისა
 რუსული ლიტერატურლი ენის საუკეთესო ნიმუშებია. ასევე შეიძ-
 ლება ითქვას რამდენიმედ ამს. სილვა თოდრიაზე, რომელიც დემი-
 ანის მანერით სწერს; ნაწილობრივ ამითაც აიხსნება, რომ თოდრია
 სათარგმნელ მასალას უმთავრესად დემიანის პროდუქციიდან იღებს.

ს. თოდრიას მიერ გადმოქართულებული ბედნის ცნობილი ურ-
 წმენოთა „სახარება“: „ახალი ალთქმა“, სადაც ოთხ მოციქულთა
 სახარება ვარკეულად დისკურსიტაცია ქმნილია და მოხდენილად
 ავდებული, მართალია მთლიანათ არაა გადმოქეთებული თოდრიას.
 მიერ, მაგრამ ისეთი გეგმითაა ვაკეთებული, რომ ნაწარმოების მთლი-
 ანობა არ ირვევა. ყველასათვის ცნობილია, რომ მხატვრულ ნაწარ-
 მეოების თარგმნა ძნელია, განსაკუთრებით კი დემიან ბედნის, (რუ-
 სული ხალხური გამოთქმები, ფრაზის კონსტრუქცია, ლექსიკა სხვ.).
 მაგრამ თოდრიამ შესძლო დემიანის „სპეციფიურობის“ გადმოქარ-
 თულება და კითხვის პროცესში თქვენშე ორიგინალის შთაბეჭდილე-
 ბას სტოვებს.

აღსანიშნავია, რომ ბედნის იუმორისტული, სატირული სიბა-
 სრე ქართულ გამოცემაშიცაა გადმოსული. „ახალი ალთქმის“ ისეთი
 დეტალები, როელიც „მოესტეტო“ ხალხს უულგალურად მოეჩვენება,
 ისეთი ოსტატობითაა მოცემული, რომ ნაწარმოებს მხატვრულად
 უფრო დამაჯერებლად და სავიტაციურად ხდის, მით უმეტეს, რომ
 კველა ეს შეკავებული იუმორითაა წარმოდგენილი. მაგ.:

„ნათქვამია, რომ ერთი ჭირი მარგებელია.

ვის რა ევნო მით, თუ რომ შესცდა ერთხელ ბებია?

დრო გაატარა—წუთი სამო,

თვით ინეტარა სხვასაც აამო!

არ ჩაედინა ელისაბედეს ეს ეშმაკობა,

წინ მორბედი იოანე ვილას ეშობა?

მარიამის მინამართით:

„გადაეკიდა ვილაც გაბრიელა,

აღარც აცივა და არც აცხელა:

ხელი მოხეია ჩაიკრა გულში, *

დაუწყო ლოშნა უმანკო ტუჩში!..

ეუბნებოდა:—,,შენ გენეცეალეო

იოსებზე მე როგორ გამცვალეო,

ნუ ინაზები, ნუ იმანკებიო.

რატომ მაწვალებ,—გასწი კანკებიო!“

და სხვ. „წმინდანური“ იშვიათობანი.

როგორც ხედავთ ე. წ. სასწაულებისადმი და წმინდანობისა-დმი იროვნიული, სატირული დამკიდებულობის მომენტები სათა-ნადო ოსტატობითაა გაკეთებული. და მეითხველი თავის მხარზე გა-დაჰყავს, იდეურად მოქმედობს მასზე, რაც პატარა საქმე როდია.

ქართულ „ახალ აღთქმას“ ნაწილობრივ ნაკლიც ახასიათებს: სასურველი იყო ე. წ. სასწაულები და იქსო ნაზარეველის „ინტი-მური“ ცხოვრება უფრო კონკრეტულად მოეცა ამხ. თოდრიას და ზოგიც ჩამატებინა, მით უმეტეს, რომ ქართული „ახალი აღთქმა“ უფრო გაღმიყეთებული ყაქტია, ვიდრე თარგმანი. მეორე: წიგნაკი ბევრს მოიგებდა, რომ კუთხურ გამოთქმებს და გრამატიკულ დაუ-დევრობას ადგილი არ ქონებოდა, მაგ. ჰყავდენ, გაჯინდა, მაგენმა, გარებული, თორმეტი მოციქულები, თრი ყაჩალები და ა. შ. რასა-კირველია, ეს ნაკლი შედარებით უმნიშვნელოა, როდესაც გაღმო-მეთკებელმა ხაერთოდ სათანადოთ დახსროა ორიგინალი.

წიგნი ჩვენის აზრით გათვალისწინებულია გლეხობისათვის და ქალაქის ჩამორჩენილ, რელიგიურად განწყობილ ელემენტისათვის ყოველი კლუბი ბიბლიოთეკა და ქოხ-სამკითხველო მოვალეა შეიძი-ნოს ეს სასარგებლო წიგნი.

ფასი დიდია, რაც ნაწილობრივ ხელს შეუშლის წიგნაკის მა-სიურ გაფრცელებას.

3. ლუარხაშიძე.

პაპაში ზერეთელი: „ჩიუშლი ნაზერები“ ტ. IV, ხ. გორგა-ძის და ხ. აბაშელის რედაქციით, სახელგამი, 1928 წ. გვ. 238—XXV. ფასი 3 მან.

უკანასკნელ ხანებში ქართველი კლასიკოსების გამოცემას მე-ტად დიდი ყურადღება ექცევა. ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში გამოვიდა ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ეგ. ნინოშვილის, გ. წერე-თელის, ნ. ბარათაშვილის და სხვ. სრული ან რჩეული ნაწერები. მათ ეხლახან მოემატა აქაკი წერეთლის რჩეული ნაწერების 4 ტომი, რაც მეტად ლირსშესანიშნავი ფაქტია.

ა. წერეთლის „რჩეული ნაწერების“ მე-4 ტომში, რომლის შესახებაც აქ ჩვენ ვვინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთვათ, წარმოდგე-ნილია ლირიკა. როგორც ცნობილია კაკის დაახლოებით 750 ლი-

ა. წერეთლის ლირიკას თემების მრავალფეროვანება ახასიათებს. მაგრამ მაინც შეიძლება ძირითადი თემების, ძირითადი მოტივების გამოყოფა. როგორც ძირითადი მოტივები შეიძლება გამოყოფილი იქნას: 1) სიყვარული (ეროტიკა), 2) პატრიოტიზმი (მამულის სიყვარული), 3) მშრომელი ხალხი და 4) სატირა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. რასაკირველია, ლექსების განაწილება ნიჩვენები ჯგუფების მიხედვათ მეტად საძნელოა, რადგანაც ცალკე თემები ხშირია გადადინ ერთიდან მეორეში, ან ეითარდებიან პარალელურად.

ასე, მაგ. ინტიმური ლირიკა ჩვეულებრივად უკავშირდება მის სხეა სახეს—სიყვარულს და ა. შ.; ან კიდევ: ეხება რა პოეტი თავის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი. ის ამასთანავე ეხება საერთოდ ცხოვრებას და სხვ. ამიტომ მცელევარი იძულებულია რამოდენიმეთ სუბიექტივიზმს მიმართოს, როდესაც ის ამა თუ იმ ლექსს აკუთვნებს ამა თუ იმ ჯგუფს. მხატვრული ფაქტების ასეთ ჯგუფებათ დაყოფა კი საერთოდ აადვილებს მწერლის გაგებისა და შესწავლის საქმეს...

ა. წერეთლს განსაკუთრებული აღგილი უჭირავს საქართველოს მე-XIX საუკუნის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარების ისტორიაში. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ცხოვრებაში თავის დროისათვის შესაფერისი პროგრესიული იდეალების შემოტანა.

ა. წერეთლის შემოქმედებაში გარკვეული და თვალსაჩინო ნაკადის სახით მიემართება დემოკრატიულ-ხალხური იდეები. ეს განსაკუთრებით მოსჩანს მის დამოკიდებულებაში გლეხობის მიმართ. აკაკი გაბატონებული, თავადური წრიდან იყო გამოსული, მაგრამ მან გაბედულად შეაქცია წერები ამ წოდებას და გლეხობაში, მის შრომაში დარჩახა ცხოვრების ახალი დასაყრდენი. თავისი „ბედის-წერის“ გლეხობასთან შეერთების შესახებ აკაკი გარკვეულად ლაპარაკობს „მოხუცის გრძნობა“-ში:

სიმად ავილე კალამი,
ჩანგით მივმართე წერასა
და შეფუტუ ჩედი სეეც
გლეხების ბედისწერასა.

მაგრამ აკაკი არა მარტო გლეხობას დაუახლოედა, არამედ რამოდენიმეთ რევოლუციონურ მოძრაობასაც. 1905 წლის მოძრაობას ისიც აღტაცებაში მოჰყავს:

Ե Ա Խ Ե Բ Հ Յ Ց Ց Ա Յ Ո

წელი 1950 გვ. 17

ՆՐԴՎԱՑՎԱԿԱԳՈ ԹԵՐԵՇՈՒՅՆ

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური
ორგანო

მიუღა სელის გოვერა
1929 ჭლისათვის

წელიწადში 4 მან. სამი თვეთ 1 გან. 20 კაპ. ექვსი თვეთ 2 გან.
50 კაპ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

የግድያዊ

ტელავისი, ივ. მარტონელის ქ. № 13.
ხულოვნების სასახლე.
ტელ. 24—51

ପାନ୍ଦିତଙ୍କ

ବ୍ୟୋମିଲ୍-ସି, ଶାକେଳଗାମି ପ୍ରେସରିଟ୍‌ର
ଶ୍ରେଣୀରେ,
ଖୁବ୍‌ସତାଫ୍ରେଲିସ ଓ. № 22